პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 აპრილი **შაბათი** 2010

№094(13082) ფასი 60 თეთრი



ლუკას ჰუფნაგელი (მარჯვნივ) და მათე ლვინიანიძე

## ლუკას [illegible] საქართველოს ნაკრებში გამოიძახეს

» გვერდი 5

# როტა მოტივაცია უადგილოა...

წინათქმა » გვერდი 2



## დღეს ვიტ ჯორჯია–დინამო

21 თებერვალი. დინამო-ვიტ ჯორჯია 1:2

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



## დღეს კოზი შალკეს გაიხსენებს... და დაამარცხებს?

» გვერდი 5,9



## ფერგიუსონმა გადაწყვიტა...

პრემიერლიგა. წინათქმა

» გვერდი 7





## ვის უმტყუნებს ნერვები?

სერია A წინათქმა

» გვერდი 8

## სიკვდილის მატჩი და საპლეიოფო ციებ-ცხელება



ლეგიონერები » გვერდი 13



ზაზა კედელაშვილის (მარჯვნივ) ორთაბრძოლა

## კვლავ უმედლოდ

ევროპის ჩემპიონატი » გვერდი 11

# განსაკუთრებული ურთიერთობა

...ვერაფერს ვიტყვით: მართლაც „განსაკუთრებული“ ტური გველოდება! განსაკუთრებული იმიტომ, რომ ტურის ორი მატჩი ძალიან დიდ ინტერესს იწვევს. ამასთან, ერთპიროვნული ლიდერის გამარჯვების შემთხვევაში „ვიტ ჯორჯია“ მოქმედი ჩემპიონის „სტატუსს“ დაკარგავს; თანაც, იმის მიუხედავად, თუ როგორ დასრულდება ტურის ცენტრალური დაპირისპირება ჯერჯერობით კვლავაც მოქმედ ჩემპიონსა და „დინამოს“ შორის.

ზემოთ ტურის ორი საინტერესო მატჩი ვახსენეთ და ალსანიშნავია, რომ ორივე შეხვედრას რუსთავმა უნდა უმასპინძლოს; დღევანდელ პაექრობას ვრცელი ანონსი არც სჭირდება: ერთმანეთის პირისპირ ხომ ბოლო წლების ყველაზე პრინციპული მოწინააღმდეგეები („ვიტ ჯორჯია“ და „დინამო“) წარდგებიან. აი, რაც შეეხება ხვალინდელ რუსთავულ შეხვედრას, მართალია, ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი ბოლოადგილოსანს ხვდება, ამ მატჩსაც არანაკლები ინტრიგა ახლავს. ჰოდა, სწორედ ამის გამოც, დღევანდელ „ტურის წინათქმაში“ განსაკუთრებულ ყურადღებას ამ ორ რუსთავულ შეხვედრას დავუთმობთ.

**ვიტ ჯორჯია–დინამო**

24.04. რუსთავი.
ფოლადი
**16:30**
წინა მატჩები: 0:0, 0:0, 2:1
არბიტრი: ლ. სილაგავა
ასისტენტები: ლ. მიქელაძე, ზ. ჯვარიძე
მეოთხე მსაჯი: გ. ვადაჭკორია
Live პირველ არხზე

## როცა მოტივაცია უადგილოა...

ადრეც და ახლაც ხშირად გვითქვამს, რომ ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის წინააღმდეგ ნებისმიერი მეტოქე განსაკუთრებული მოტივაციით ასპარეზობს; თუმცა, როდესაც „ვიტ ჯორჯია“-“დინამოს“ დაპირისპირებაზეა ლაპარაკი, ამ შემთხვევაში სიტყვა „მოტივაცია“ აშკარად უადგილოდ გვეჩვენება. წლები გადის, ორივე გუნდში უამრავი მწვრთნელი თუ ფეხბურთელი იცვლება, მაგრამ „ვიტ ჯორჯიასა“ და „დინამოს“ შორის არსებული მართლაც განსაკუთრებული „ურთიერთობა“ კვლავაც „განსაკუთრებულია“. ეგ კი არა, ალბათ, კარგა ხანს ასე გაგრძელდება და ამას დღევანდელ მეტოქეებს შორის აქამდე ჩატარებული მატჩების სტატისტიკაც მოწმობს; 1998 წლიდან დღემდე „ვიტ ჯორჯიამ“ და „დინამომ“ ჩემპიონატში 38 შეხვედრა ჩაატარეს და აბსოლუტურად სრული თანაფარდობაა: მეტოქეებმა თერთმეტ-თერთმეტი მატჩი მოიგეს, ხოლო თექვსმეტი ფრედ დასრულდა! ისიც ალსანიშნავია, რომ დღევანდელ მოწინააღმდეგეთა თავდაპირველ დაპირისპირებებში „დინამოს“ უპირატესობა აშკარა იყო.

სამაგიეროდ, მერე და მერე, „ვიტ ჯორჯია“ „დინამოსთვის“ ერთ-ერთ ყველაზე უხერხულ მეტოქედ გადაიქცა და ბოლო წლებში სულაც „ვეტერინარებს“ აქვთ უპირატესობა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „დინამო“ უკვე სამი წელიწადია ვერაფრით ახერხებს ამ მართლაც უხერხული მოწინააღმდეგის დამარცხებას; 2006/07 წლების სეზონში, **სანდრო იაშვილის** ერთადერთი გოლის წყალობით მოგებული შეხვედრის შემდეგ „დინამო“ ჩემპიონატში უკვე რვა მატჩია ვერ უგებს თავის პრინციპულ მეტოქეს. ერთი ხანობა კი დღევანდელ მეტოქეებს შორის მართლაც „საყაიმო სინდრომი“ ჩამოყალიბდა - ზედიზედ ექვსი შეხვედრა ფრედ მთავრდებოდა, ხოლმე; ოღონდ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არც ერთი ფრე იყო... მშვიდობიანი“ - თითქმის ყველა დაპირისპირებას არნახული აჟიოტაჟი და ვნებათაღელვა ახლდა. სკანდალებიც მრავლად ხდებოდა და სამსაჯო ლაფსუსებიც; საეჭვო პენალტებიც კარგად გვახსოვდა და პირიქით - ნაღდი, მაგრამ... არდანიშნულიც; მეტოქე გუნდებს შორის გაწევ-გამოწევაც ხშირად ყოფილა და მსაჯებისგან წითელ-ყვითელი ბარათების ფრიალიც; მოკლედ, ნამდვილი „დერბია“...

...“საყაიმო სინდრომი“ ვახსენეთ და ისიც უნდა ვთქვათ, რომ დღევანდელმა მეტოქეებმა ჩემპიონატის სამი მატჩის გარდა ამ სეზონში ერთმანეთთან კიდევ ერთი შეხვედრა ჩაატარეს; 2009 წლის 17 დეკემბრის მატჩს ვგულისხმობთ: საქართველოს სუპერთასზე „ვიტ ჯორჯიამ“ დამატებით დროში შეძლო „დინამოს“ დამარცხება და ეს პრიზი პირველად მოიპოვა. ეგ კი არა, დღევანდელ მეტოქეებს ერთ თვეში კიდევ მოუწევთ ერთმანეთთან დაპირისპირება - ამჯერად უკვე საქართველოს თასის ფინალში. ანუ, გამოდის, რომ ერთი სეზონის განმავლობაში პრინციპული მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ... მეექვსედ დაუპირისპირდებიან!

ჯერჯერობით კი ამ სეზონში უპირატესობა „ვიტ ჯორჯიას“ მხარეს არის: სუპერთასის გარდა, **გელა გომელაურის** გუნდმა ჩემპიონატშიც, კერძოდ, მესამე წრის შეხვედრაში აჯობა „დინამოს“. სამაგიეროდ, სატურნირო ცხრილშია განსხვავებული სიტუაცია - „დინამო“ ხუთი ქულით უსწრებს ბოლო წლების ყველაზე პრინციპულ მეტოქეს და ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებს თუ არ უნდათ საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველად აღმოჩნდნენ სამეულს მიღმა, მაშინ დღევანდელ მატჩში, მინიმუმ, ფრე მაინც უნდა გაახერხონ. თუმცა, მეორე მხრივ, დღევანდელ მეტოქეებს სატურნირო მოტივაცია ნაკლებად უნდა აღელვებდეთ - „დინამოსაც“ და „ვიტ ჯორჯიასაც“ ევროტურნირებზე ასპარეზობის უფლება გარანტირებული აქვთ. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში ხომ „სხვა,“ მართლაც განსაკუთრებულ მოტივაციასთან გვაქვს საქმე...

დღევანდელ მატჩს მეტოქეები თითქმის ერთნაირი საკადრო პრობლემებით ხვდებიან; თუმცა, „დინამოს“ დანაკლისი უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია: დისკვალიფიკაციის გამო „ვეტერინართა“ ფორვარდების განეიტრალებას ვერ მოახერხებს **ალექსანდრ კრსტესკი**. ჩვენი ვარაუდით, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი **კახა კაჭარავა** გუნდის მაკედონიელ ლეგიონერ **ლევან კაკუბავათი** ჩაანაცვლებს. სხვათა შორის, ამ ახალგაზრდა ბიჭმა ამ სეზონში უკვე რამდენიმე პოზიციაზე იასპარეზა და მისი ასეთი უნივერსალიზმი მართლაც დასაფასებელია.

დაბოლოს, იმასაც ვიტყვით, რომ ამ მატჩის პირდაპირი რეპორტაჟის ხილვა ტელემაყურებლებსაც შეეძლებათ.

**ოლიმპი–გაგრა**

25.04. რუსთავი.
ფოლადი
**16:00**
წინა მატჩები: 1:0, 5:0, 2:0
არბიტრი: გ. კოკაჩეიშვილი
ასისტენტები: კ. გაბრიაძე, კ. ბერაძე
მეოთხე მსაჯი: მ. ურუშაძე

## შეხვედრა წარსულთან

ერთი შეხედვით, მართლაც რა ინტრიგა უნდა ჰქონდეს ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერისა და ბოლო ადგილზე მყოფი გუნდის შეხვედრას; თუმცა, „ოლიმპისა“ და „გაგრას“ ხვალინდელი მატჩი მაინც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და ყოველივე ამას, რამდენიმე ფაქტორიც „ხელს უწყობს“; თავდაპირველად, რაღა თქმა უნდა, სატურნირო მოტივაცია უნდა ვახსენოთ: მასპინძლები ძალიან ახლოს არიან, ვადაზე ადრე მოიპოვონ ჩემპიონობა და ისე როგორც მომავალ ტურში (ბოლნისის „სიონთან“), ხვალაც მაქსიმალურად შეეცდებიან „დაგეგმილი“ სამი ქულის მოპოვებას. გასაგებია, რომ „ოლიმპის“ უპირატესობა უახლოეს მდევრებთან საკმაოდ სოლიდურია (თერთმეტი ქულა), მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, თუ როგორი სამი მატჩი ელოდება ქვემოქართლურ „დერბის“ შემდეგ: **თემურ მახარაძის** გუნდი მიყოლებით „დინამოს“ უნდა შეხვდეს, „ვიტ ჯორჯიას“ და „ზესტაფონს“. ჰოდა, ასეთ ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრამდე „ოლიმპი“ ვერაფრით დაუშვებს კონკურენტებთან ქულათა სხვაობის შემცირებას.

მოკლედ, ხვალინდელ ამ შეხვედრაში მასპინძლები უპირობო ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ; მით უფრო, რომ გუნდს უბრუნდება დისკვალიფიკაციამოხდილი **ანდერსონ აკინო**, აპრილში მხოლოდ ერთი გოლი რომ შემატა თავის აქტივს. თუმცა, საუკეთესო ბომბარდირთა დავაში „ოლიმპის“ ბრაზილიელ ლეგიონერს, ალბათ, ვერავინ „შეავიწროვებს“ - იმდენად დიდია აკინოს უპირატესობა; უბრალოდ, ყველას ის გვაინტერესებს, შესძლებს თუ არა ჩემპიონატის მართლაც ნომერ პირველი ფეხბურთელი 30-ზე მეტი გოლის გატანას. არადა, აკინოს უკვე აქვს გამოცდილება, თუ როგორ უნდა გაიტანოს გოლი „გაგრას“ კარში - ხვალინდელი მეტოქეების მეორე წრის შეხვედრაში ბრაზილიელმა ჰეთ-თრიქი შეასრულა!

აკინოს გოლების სარეკორდო ნიშნულის გარდა სხვა სარეკორდო მაჩვენებლის ზრდაც გვაინტერესებს: ამ სეზონში თემურ მახარაძემ უკვე 25 მატჩი ჩაატარა წაუგებლად (18 - „ოლიმპის“ თავკაცის რანგში, 7 - „სიონის“ მთავარი მწრთნელობის დროს); ამ შემთხვევაშიც ვერაფერს ვიტყვით - მართლაც, ჩინებული შედეგია...

ახლა კი, ალბათ, დროა, სტუმრებზეც ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. ამ ბოლო დროს უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ „გაგრა“ წინა თვეებთან შედარებით აშკარად უკეთ გამოიყურება. ყოველივე ეს კი, რაღა თქმა უნდა, გუნდის ახალი თავკაცის უკრაინელი სპეციალისტის **ანატოლი პისკოვეცის** დამსახურებაა. პისკოვეცის ხელმძღვანელობით „გაგრას“ ლიდერებთან მოუწია პაექრობამ: „დინამოსთან“, „ვიტ ჯორჯიასთან“, „ზესტაფონთან“ და აი, ხვალ უკვე ჩემპიონატის საუკეთესო გუნდს უნდა შეხვდეს. თანაც, „ოლიმპი“ ხომ ის გუნდია, პისკოვეცი ორი წლის წინათ რომ წვრთნიდა და მეტ-ნაკლები წარმატებით ათამაშებდა-კიდეც. ორი წლის წინანდელი შემადგენლობიდან „ოლიმპში“ მხოლოდ ოთხი ფეხბურთელიღა (**რეზო ჯიქია, მირზა მერლანი, გელა ხუბუა, გიორგი რეხვიაშვილი**) დარჩა, პისკოვეცთან მეტ-ნაკლები ხანგრძლივობით რომ ასპარეზობდა. სწორედ იმდროინდელ „ოლიმპში“ თამაშობდა პისკოვეცის თანამემამულე **ალექსანდრ ომელიანოვი**, დღესდღეობით „გაგრას“ ძირითადი თავდამსხმელი რომ გახლავთ. არანაკლებ ინტერესს იწვევს მშობლიურ ქალაქში **ვარლამ კილასონიას** დაბრუნებაც, ოღონდ, ამჯერად უკვე... მოწინააღმდეგის რანგში - პისკოვეცი-კილასონიას „დუეტი“ ხომ ამჯერად „გაგრაში“ მოღვაწეობს...

**გია ტუხაშვილი**



21 თებერვალი. დინამო-ვიტ ჯორჯია 1:2

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

| | სულ | | | | | | შინ | | | | | სტუმრად | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ოლიმპი* | 30 | 22 | 6 | 2 | 59-17 | 69 | 12 | 3 | 0 | 32-3 | 39 | 10 | 3 | 2 | 27-14 | 30 |
| 2. დინამო | 30 | 17 | 7 | 6 | 47-17 | 58 | 11 | 2 | 2 | 29-5 | 35 | 6 | 5 | 4 | 18-12 | 23 |
| 3. ზესტაფონი | 30 | 16 | 10 | 4 | 48-26 | 58 | 9 | 4 | 2 | 32-15 | 31 | 7 | 6 | 2 | 16-11 | 27 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 30 | 14 | 11 | 5 | 41-28 | 53 | 7 | 7 | 1 | 25-13 | 28 | 7 | 4 | 4 | 16-15 | 25 |
| 5. სპარტაკი | 30 | 10 | 9 | 11 | 36-45 | 39 | 6 | 6 | 3 | 22-16 | 24 | 4 | 3 | 8 | 14-29 | 15 |
| 6. სამტრედია | 30 | 8 | 7 | 15 | 36-56 | 31 | 7 | 3 | 5 | 19-20 | 23 | 1 | 5 | 9 | 17-36 | 8 |
| 7. სიონი | 30 | 6 | 13 | 11 | 22-38 | 31 | 2 | 7 | 6 | 10-19 | 13 | 4 | 6 | 5 | 12-19 | 18 |
| 8. ბაია | 30 | 6 | 8 | 16 | 25-39 | 26 | 4 | 5 | 6 | 17-22 | 17 | 2 | 3 | 10 | 8-17 | 9 |
| 9. ლოკომოტივი | 30 | 3 | 10 | 17 | 14-40 | 19 | 2 | 4 | 9 | 8-22 | 10 | 1 | 6 | 8 | 6-18 | 9 |
| 10. გაგრა | 30 | 3 | 7 | 20 | 22-50 | 16 | 3 | 4 | 8 | 11-13 | 13 | 0 | 3 | 12 | 11-37 | 3 |

შენიშვნა: *ოლიმპს დაკლებული აქვს 3 ქულა; ზესტაფონი-ოლიმპის მატჩში ორივე გუნდს ჩაეთვალა წაგება 0:3

**ბაია–სამტრედია**

25.04. ზუგდიდი.
გ. თუთბერიძე
**16:00**
წინა მატჩები: 0:1, 2:2, 1:0
არბიტრი: მ. ბეჟქლიშვილი
ასისტენტები: კ. ტეფნაძე, ი. მარიტიძე
მეოთხე მსაჯი: გ. დოგრაშვილი

**ლოკომოტივი–სპარტაკი**

25.04. თბილისი.
ამერი
**16:00**
წინა მატჩები: 0:2, 0:0, 1:1
არბიტრი: ა. კრიჭაშვილი
ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, ლ. თოდრია
მეოთხე მსაჯი: ვ. გუმბერიძე

**ზესტაფონი–სიონი**

25.04. ზესტაფონი.
ცენტრალური
**19:30**
წინა მატჩები: 0:0, 3:0, 1:0
არბიტრი: ა. ნონიკაშვილი
ასისტენტები: ბ. ქაჟინაძე, ი. უკლება
მეოთხე მსაჯი: ო. ხეცაძე

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ “ლელო” უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

მთავარი მატჩი · ვიტ ჯორჯია-დინამო · ინტერვიუ

# შანსები და კოზირები

სეზონის ბოლომდე 6 ტური დარჩა და უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა დასკვნით ფაზაში შევიდა. რუსთავის „ოლიმპი" გვარიანი ფორით ლიდერობს და უფრო ისაა გასარკვევი, ვის ერგება მეორე და მესამე ადგილები. რუსთავში დღეს გასამართი მატჩიც სწორედ ამ მხრივაა საკვანძო. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში ამ გუნდების სამი საჩემპიონატო დაპირისპირებიდან პირველი ორი უგოლოდ დასრულდა, მესამეში კი ვეტერინარებმა 2:1 მოიგეს. ამას გარდა, „ვიტ ჯორჯიამ" „დინამო" სუპერთასზეც დაამარცხა...

ვნახოთ, რას ფიქრობენ ამ მნიშვნელოვან მატჩზე მეტოქე გუნდების გამორჩეული ფიგურები - „ვიტ ჯორჯიას" შემტევი ნახევარმცველი ირაკლი კლიმიაშვილი და „დინამოს" მცველი (თან არა ერთი საჭირო გოლის ავტორი) თენგიზ ჩიკვილაძე...

## ირაკლი კლიმიაშვილი: მჯერა, მოვიგებთ

- ყველას კარგად გვაქვს გათავისებული, თუ რა მნიშვნელობის მატჩი გველის და სათანადოდ ვემზადებით.

**- ეს გასაგებია, მაგრამ დანაკლისი არცთუ მცირე გაქვთ...**

- სამწუხაროდ, ასეა. დისკვალიფიკაციის გამო დავით ხურცილავა დაგვაკლდება. ალბათ კიდევ ერთი მცველი, გიგა ბეჟვაია არ გვეყოლება, თავ-



დასხმაში - კი ვახტანგ კვარაცხელია. მართლაც, დანაკლისი მცირე ნამდვილად არ არის. ეს ფეხბურთია, ტრავმისგან არავინაა დაზღვეული. გუნდში გვყავს ფეხბურთელები და გამოკლებულ მოთამაშეებს ყველა ერთად შევცვლით.

**- ხურცილავა და ბეჟვაია - ორივე მარჯვენა მცველია, უკანა ხაზზე ამ ფრთაზე ვინ ითამაშებს?**

- გუნდში გვყავს ფეხბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ ამ ფუნქციის შესრულება. მათგან თუ ვინ ითამაშებს, ამას მწვრთნელები გადაწყვეტენ.

**- ამ სეზონში „დინამოსთან" დადებითი ბალანსი გაქვთ... შაბათს რას უნდა ველოდეთ?**

- მართლაც, ჩვენ შორის პირველი ორი შეხვედრა უგოლოდ დასრულდა, მესამეში კი „დინამო" სტუმრად 2:1 დავამარცხეთ. ამავე გუნდს გამოვტაცეთ სუპერთასიც და ისევ დინამოელებთან მოგვიწევს დაპირისპირება თასის ფინალშიც. ერთი სიტყვით, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს დადებითი ბალანსი შევინარჩუნოთ და გავამდიდროთ. მჯერა, ისევ მოვიგებთ.

**- მეტოქის კოზირად რას მიიჩნევთ?**

- უმთავრესად ალბათ „სტანდარტულებს". გარდა ამისა, „დინამოს" ყველა რგოლში კარგად დაბალანსებული გუნდი ჰყავს...

**- შანსებს როგორ დაყოფთ?**

- დადებითი ბალანსი გვაქვს და შინ ვთამაშობთ, მაგრამ შანსებს მაინც თანაბრად გავანაწილებდი.

**- ბოლოს ჩატარებულ ტურში „დინამო" „სპარტაკთან" სტუმრად დამარცხდა, „ვიტ ჯორჯია" კი ბოლნისში ფრეს დასჯერდა. ხვალინდელი მატჩის მეტოქეებზე ეს შედეგები რამდენად აისახება?**

- ჩვენ უკვე დავივიწყეთ ბოლნისში დაკარგული ქულები. ალბათ „დინამოშიც" ასე მოხდა. არა მგონია, ამან რუსთავის მატჩზე რაიმე ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინოს.

## თენგიზ ჩიკვილაძე: მოიგებს ის, ვინც...

- „ვიტ ჯორჯიასთან" „დინამოს" ყველა მატჩი რთულია და ამჯერადაც ასე იქნება. სათანადოდ ვემზადებით. ამ სეზონში ვეტერინარებთან დადებითი ბალანსი არ გვაქვს, მაგრამ ეს უნდა დავარღვიოთ და დავამტკიცოთ, რომ მათზე ძლიერები ვართ. რუსთავში სწორედ ამას შევეცდებით და იმედია გამოგვივა.

**- დაცვაში საკვანძო ფიგურა, მაკედონიელი ალექსანდრ კრტესკი არ გეყოლებათ. შესაბამისად, უკანა ხაზზე მეტი გარჯა მოგიწევთ...**

- დაცვაშიც და ყველა რგოლშიც დიდი გარჯა მოგვიწევს. მეტსაც ვიტყოდი, ეს მატჩი მხოლოდ ჩვენთვის კი არა, მეტოქისთვისაც რთული იქნება.

**- „ვიტ ჯორჯიას" კოზირად რა მიგაჩნიათ?**

- ვფიქრობ, ბრძოლა და მოძრაობაა მეტოქის კოზირი. „ვიტ ჯორჯიას" სტაბილური და ძლიერი შემადგენლობა ჰყავს.

**- შანსებზე რას იტყოდით?**

- სტუმრად გვიწევს თამაში, მაგრამ შანსებს მაინც თანაბრად გავანაწილებდი. უკან დასახევი გზა არც ერთს გვაქვს, ორივეს გვჭირდება ქულები. პრინციპული მატჩი იქნება და გულშემატკივარი ნამდვილად არ ინანებს.

**- როგორ ფიქრობთ, რა ფაქტორები იქნება ამ დაძაბულ მატჩში გადამწყვეტი?**

- ჩემი აზრით, ვინც ბოლომდე იბრძოლებს, მეტს იმოძრავებს და უკეთეს კლასს წარმოაჩენს, თამაშსაც ის მოიგებს.

**- მცველი ხართ, მაგრამ „დინამოში" უკვე 5 გოლი გაიტანეთ. მათ შორის ერთი თასის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრაში, ცხინვალის „სპარტაკთან". მცველისთვის გოლების ხშირად გატანა იშვიათობაა. ამას რით ახსნით?**

- მოვინდომე და ალბათ გამიმართლა კიდეც.

**- რუსთავშიც უნდა ველოდოთ ამ მაჩვენებლის გაზრდას?**

- შევეცდები და ვნახოთ, რამდენად გამომივა. მთავარია მოვიგოთ და გავიტან თუ არა, ამაზე ნაკლებად ვფიქრობ.

**- მეტოქე გუნდში „დინამოს" ერთ-ერთ კოზირად „სტანდარტულებს" მიიჩნევენ. ჯარიმებს თქვენც სახიფათოდ ურტყამთ...**

- „სტანდარტულებზე" სპეციალურად ვვარჯიშობთ ხოლმე. იმედია, რუსთავშიც გამოგვივა „სტანდარტულები" და მთლიანად თამაში ჩვენი კარნახით წარიმართება.

**- დაბოლოს, წინა შეხვედრაში „დინამო" „სპარტაკთან" სტუმრად დამარცხდა. „ვიტ ჯორჯიამ" კი ბოლნისში ფრე ითამაშა. დაკარგული ქულები რამდენად იმოქმედებს რუსთავის მატჩზე?**

- ეს მატჩი ჩვენ დავივიწყეთ და ალბათ ვიტელებიც იმავეს იტყვიან. თუმცა არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ წინა თამაშებში დაკარგული ქულები გუნდებს მხოლოდ გაგვახელებს.

**დავით ცაბაძე**



ქართველები რუსეთში



რევაზ ბარაბაძე

# ისევ რუსეთის ვიზაზე...

## თბილისი-მახაჩყალის რეისმა ბარაბაძე შემადგენლობიდან ამოაგდო

მახაჩყალის „ანჟის" თავდამსხმელი **რეზო ბარაბაძე** 15 აპრილს ვარჯიშზე დაშავდა. კლუბის მთავარი მწვრთნელის მოვალეობის მაშინდელი შემსრულებელი **არსენ აკაევი** იმედიანად იყო განწობილი, რომ რეზო მომჯობინდებოდა და „როსტოვთან" 19 აპრილს გამოჩნდებოდა, მაგრამ ტანმაღალი ქართველი ფორვარდი ვერც ამჯერად ვიხილეთ.

როგორც გავარკვიეთ, რეზო ამჟამად ტრავმისგან განიკურნა და თავს მშვენივრად გრძნობს, მისი პრობლემა კი არა ფიზიკური მოუმზადებლობა, ან არასათანადო ფორმაში ყოფნა, არამედ, რუსეთის ვიზასთან დაკავშირებული გაუთავებელი ბარიერები გამხდარა.

„როსტოვთან" მატჩამდე, რეზო სერიოზულად არც დაშავებულა, უხოლოდ კუნთი დაეჭიმა, ორ დღეში დაუმუშავეს, ვარჯიშიც უპრობლემოდ განაახლა და არის ვეფხვივით.

ბუნებრივია, იკითხავთ, აბა, რატომ არ ათამაშებენ ბარაბაძეს, იქნებ, მწვრთნელი იწუნებს და ომარ თეთრაძისგან განსხვავებით, ქართველებს აღარ წყალობს? სხვათა შორის, ორიოდე დღის წინ, „ანჟის" მთავარ მწვრთნელად ოფიციალურად დაინიშნა ცნობილი სპეციალისტი **გაჯი გაჯიევი**, რომელმაც თეთრაძეს სამწვრთნელო კარიერის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა, როდესაც სამი წლის წინ სამარის „კრილის სოვეტოვში" ასისტენტად დაინიშნა.

საქმე ისაა, რომ „ანჟიში" მოთამაშე ქართველი ფეხბურთელებისგან განსხვავებით, რეზო ბარაბაძე ერთადერთია, ვინც რუსეთის მოქალაქე არ გახლავთ – ყველა დანარჩენს ან რუსეთის პასპორტი აქვს, ან ორმაგი მოქალაქეა. რუსეთში შესასვლელად, მას ერთთვიან ვიზას აძლევენ და ეს გაუთავებელი „ვიზომანია" დღემდე გრძელდება და ფეხბურთელი დაიტანჯა.

სწორედ ეს გახდა ბარაბაძის უთამაშებლობის მიზეზი. იგი ორი ტურის წინ, მახაჩყალაში მატჩის წინა დღეს გამოცხადდა, რადგან მანამდე რამდენიმე დღე რუსეთის ვიზის ასაღებად თბილისში იმყოფებოდა. მატჩის წინა დღეს გუნდში დაბრუნებულ ფეხბურთელს არც ერთი მთავარი მწვრთნელი არ ათამაშებდა და 18-კაციან განაცხადშიც ვერ მოხვდა. „როსტოვთან" კი კუნთი მოირჩინა, მაგრამ მაინც არ ათამაშეს.

მალე რეზოს თბილისში მოუწევს ჩამოსვლა და ისევ ერთთვიანი ვიზის ასაღებად. თუ ვიზა ვერ გაკეთდა, მაშინ, შესაძლოა, რეზო თბილისში დარჩეს, რადგან მაისის ბოლოს, რუსეთის პრემიერლიგაში შესვენება იწყება და მისი ჩასვლა აზრს კარგავს. ბარაბაძის წვალება ასე დიდი ხანია გრძელდება. საინტერესოა, რა პრობლემა გახდა სპორტსმენებისა და ყველა იმ ადამიანისთვის ვიზის გაცემა იმ ქვეყანაში, რომელიც ძმობას გვეფიცება? რაღაც, არ ჰგავს ეს ძმობასა და მეგობრობას და მომკალი. თუმცა, ბოლო დროს გაჩნდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, სპორტსმენებზე რუსებმა გამარტივებული წესი შემოიღონ და იქნებ, ჩვენი მოთამაშეების წვალებას წერტილი დაესვას.

ფაქტია, რომ სავიზო დავიდარაბა ნიჭიერ ფეხბურთელს სერიოზულ პრობლემას უქმნის. რეზო წელიწადნახევრიანი უთამაშებლობის შედეგად ისედაც საკმაოდ დაზარალდა. ძნელია, აქეთ-იქით სიარულში ფეხბურთელმა სასურველ კონდიციებს მიაღწიოს. თუმცა, მოსამზადებელ ეტაპზე რეზომ ფორმა აღიდგინა და მოსკოვის ცსკა-სთან საკმაოდ კარგად ითამაშა. თბილისი-მახაჩყალის რეისი კი ფორმააღდგენილს მწყობრიდან აგდებს.

რაც შეეხება ომარ თეთრაძის დაღესტანიდან წასვლის შემდეგ ქართველებისადმი დამოკიდებულებას, რა თქმა უნდა, ის შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ გაჯი გაჯიევი ქართველებისადმი კეთილგანწყობილ ადამიანად ითვლება, ის ჩვენიანებს ომარივით ვერ და არც დაიცავს. ამას გარდა, ქართველი თავდამსხმელის პრობლემა „ანჟის" პრეზიდენტია, რომლის ვაჟიც კლუბის თავდამსხმელია და ბუნებრივია, „თავის შვილს არ მოჭრის თავს".

ლოგიკური ჩანს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მახაჩყალურ კლუბს თეთრაძის მიყვანილი სპორტული დირექტორი **მამუკა ჯულელი** დატოვებს. ყველა ახალი მთავარი მწვრთნელი პოსტზე თავის ხალხს ნიშნავს და ძნელი წარმოსადგენია, გაჯიევს ამ პოსტზე საკუთარი კანდიდატურა არ ჰყავდეს.

რაც შეეხება ომარ თეთრაძეს, ზამთარში მას ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში" იწვევდნენ, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, მან ამ წინადადებაზე უარი განაცხადა. თუმცა, ვფიქრობთ, ეს საკმაოდ რეალური ვარიანტი უნდა ყოფილიყო, რადგან „ვოლგაში" გადავიდნენ ოთარ მარცვალაძე და ედიკ საჯაია, კახა ალადაშვილიც წასვლას ფიქრობდა. თუ გახსოვთ, ცნობილი გახდა, რომ იმავე მიმართულებით მიდიოდა გოჩა ხოჯავა - თეთრაძის ინტერვიუდან შევიტყვეთ, რომ ნიჟნინოვგოროდელებმა მისი ტრანსფერიც გამოისყიდეს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, გოჩას თავს საოცრება მოხდა და კვლავ „ანჟიში" დარჩა. ხოჯავამ ხომ ზაფხულში კონტრაქტი ყაზანის „რუბინთან" გააფორმა და მაინც მახაჩყალაში დარჩა.

ფაქტია, რომ დასახელებული ქართველი ფეხბურთელები მამუკა ჯულელთან არიან დაკავშირებული, მისი პატრონაჟით სარგებლობდნენ და ამდენად, თეთრაძის ნიჟნიში წასვლა გასაკვირი არ იქნებოდა. თუმცა, ბოლო ინფორმაციით, „ანჟის" ყოფილ თავკაცს, ამჟამად პრემიერლიგის ერთ-ერთ კლუბში იწვევენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ამბები

### რატომ არ თამაშობს ანანიძე

„სოვეტსკი სპორტთან" საუბარში მოსკოვის „სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა **ვალერი კარპინმა ჯანო ანანიძის** უთამაშებლობის მიზეზი ახსნა:

„იგი ბოლო ხანებში მოედანზე მცირე დროს ატარებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი მომზადების დონით უკმაყოფილო ვარ. უბრალოდ, ამ ამპლუის სხვა ფეხბურთელები ამ ეტაპზე უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებენ. ჯანო შრომას ძველებურად განაგრძობს და მას თავის გამოჩენის საშუალება აუცილებლად მიეცემა", - ამბობს კარპინი.

### გოცირიძე დუბლებში გამოჩნდა

**ბექა გოცირიძე**, რომელიც ხანგრძლივი იძულებითი უქმობის შემდეგ, „დნეპრის" მთავარი გუნდის შემადგენლობაში ჯერ არ გამოჩენილა, დუბლებში თამაშობს. დნეპროპეტროვსკელთა დუბლშემადგენლობამ გუშინ სიმფეროპოლის „ტავრიას" დუბლებს უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა. გოცირიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# გრიგალავა რადიოში გაიყინა

## არც ერთი იყო ლეკი და არც მეორე რუსი




რუსეთის პრემიერლიგის ბოლო ტურში **გია გრიგალავას** „როსტოვმა" გასვლაზე მახაჩყალის „ანჟის" უმასპინძლა, სადაც საკმაოდ ბევრი ქართველი თამაშობს. მატჩი სტუმართა გამარჯვებით - 2:1 დასრულდა. 42-ე წუთზე გრიგალავა მოწინააღმდეგე გუნდის ქართველ ნახევარმცველ **ზურაბ არზიანს** დაეჯახა და დაამტვრია, რის შემდეგაც არზიანმა მოედანი დატოვა. „როსტოვის" ქართველმა ფეხბურთელმა თავად თავი იტკინა, მომხდარის გამო კი მატჩის შემდეგ სინანული ვერ დამალა.

*„ეს იყო ჩვეულებრივი „საჰაერო ბრძოლა", ორი თანამემამულე შევეჯახეთ და სამწუხაროდ, დავაშავე. მატჩამდე კი დაველაპარაკე, მაგრამ შემდეგ ველარ მოვახერხე. ეს ფეხბურთია და ყველაფერი ხდება, ზურას დაშავება კი ნამდვილად არ მინდოდა. მე კარგად ვარ, მიუხედავად იმისა, რომ თავი გამიტყდა, მაგრამ სერიოზული არაფერია. დარწმუნებული ვარ, შემდეგი შეხვედრისთვის სათამაშოდ მზად ვიქნები"*, - ამბობს გრიგალავა.

იმავეს იმედოვნებს „როსტოვის" მთავარი მწვრთნელო **ოლეგ პროტასოვი:** *„არა მგონია, თავშეკრული ფეხბურთელი ვათამაშოთ. გია ლონიერი ბიჭია და კარგად უნდა იყოს".*

ეს მართლაც ის შემთხვევაა, როდესაც არც ერთი იყო ლეკი და არც მეორე რუსი, გრიგალავაც და არზიანიც ბედკრული საქართველოს შვილები არიან, ერთმანეთს რუსეთში გადააწყდნენ და ორთაბრძოლაში კინალამ „თამაშგარეში დარჩნენ".

გრიგალავა, რომელიც გასულ სეზონში განათხოვრებით „მოსკვაში" თამაშობდა, „როსტოვს" დაუბრუნდა, სადაც დიდ ფეხბურთში პირველი ნაბიჯი გადადგა. საქმე ისაა, რომ „მოსკვა" დაიშალა და 20 წლის ქართველ მცველს სხვა გზა არ დარჩენოდა - მისი ტრანსფერის მფლობელი **ივან სავიდი** ფეხბურთელის ამ ქალაქის გუნდში დარჩენით იყო დაინტერესებული.

გია ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილია და ეს არ დაუმალავს: *„ყველაფერი უცებ და მოულოდნელად მოხდა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიხარია მშობლიურ კლუბში დაბრუნება, სადაც გავიზარდე და ფეხბურთელად ჩამოვყალიბდი. როსტოვში უამრავი მეგობარი მყავს, რომლებიც ყოველთვის მამხნევებდნენ".*

sports.ru-სთან ინტერვიუში გრიგალავამ ერთი კურიოზული ამბავი გაიხსენა, როცა რადიოში კინაღამ... გაიყინა.

*„ფეხბურთელები ინტერვიუებს სხვადასხვა ვითარებაში ვიძლევით, თოვლში, ყინვაში, წვიმასა და პაპანაქება სიცხეში და ამას უკვე შევეჩვიეთ, რადგან ჟურნალისტებთან ურთიერთობა ჩვენი პროფესიის ნაწილია. თუმცა, კურიოზული შემთხვევაც მახსენდება. გასულ ზაფხულს რადიოში მიმიწვიეს. რა თქმა უნდა, ცუდზე არ მიფიქრია და ეთერში სასაუბროდ შორტებითა და მაისურით მივედი. მზიანი ამინდი იყო და სხვაგვარად შემოსვლის სურვილი არ მქონია. თუმცა, შევედი სტუდიაში და იქაურმა სიგრილემ გამაოცა - სადღაც, 10-12 გრადუსი იყო. არ ვიცი, რის გამო იყო ასეთი დაბალი ტემპერატურა, კბილებს არ ვაკრაჭუნებდი, მაგრამ რადიოგადაცემის ბოლოს შემცივდა და კინალამ გავიყინე. თუმცა გადაცემა საკმაოდ სახალისო გამოდგა"*, - სიცილით იხსენებს გრიგალავა.

**მერაბ მამულაშვილი**

დაპირისპირება

# ჭანტურიამ არბიტრაჟს მიმართა

„ზესტაფონის" ყოფილი მეკარე **გია ჭანტურია**, კლუბისგან კონტრაქტის ვადაზე ადრე გაწყვეტის გამო, კომპენსაციას დღემდე ითხოვს. ამ გუნდის კაპიტნის რანგში ჭანტურიამ ბოლო შეხვედრა 2008 წლის 28 ოქტომბერს, „ბორჯომთან" (1:1) ჩაატარა. როგორც იცით, მატჩის შემდეგ მას „ზესტაფონის" პრეზიდენტ **ილია კოკაიასთან** ინციდენტი მოუვიდა, რის გამოც კლუბს მიღმა აღმოჩნდა - ჯერ ვარჯიშებზე არ დაუშვეს, შემდეგ კი საბანკო ანგარიშზე ერთი თეთრი რომ არ დაუჯდა, მიხვდა - კონტრაქტი გაუწყვიტეს და ბრძოლაც დაიწყო. ჭანტურიას დღემდე 3,5 თვის საკომპენსაციო თანხაც არ აუღია და ახალარჩეული ფედერაციის ალმასკომს მიმართა, მათ კი სარჩელი სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოსკენ გადაამისამართეს.

არბიტრაჟი დეკემბერში დაფუძნდა, მაგრამ რეგისტრაციაში გასატარებლად გვარიანი დრო დასჭირდა. როგორც შევიტყვეთ, ეს დღეც დადგა და ჭანტურია ერთ-ერთი პირველია, ვინც საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა.

*„როგორც იქნა, სპორტული არბიტრაჟი დაარსდა და 16 აპრილს სარჩელიც შევიტანე. უკვე ადვოკატიც დავიქირავე და დარწმუნებული ვარ, გავაბათილებ ყველა იმ აბსურდულ არგუმენტს, რომლის გამოც კლუბიდან დამითხოვეს. ადრე თუ გვიან, საქართველოშიც უნდა დამყარდეს კანონის უზენაესობა და ზოგიერთი მიხვდეს, რომ ფეხბურთელებს ისე არ უნდა ეპყრობოდეს, როგორც აქამდე გასდიოდათ. ეს უკანონობა უნდა დასრულდეს და მჯერა, მე გავხდები პირველი ფეხბურთელი, რომელიც სამართალს დააპურებს. სხვათა შორის, ჩემთან ერთად, „ზესტაფონის" სარჩელიც განიხილება, რომლის პრეზიდენტიც ხვიჩა ქასრაშვილს უჩივის. ქასრაშვილმა კლუბი იმიტომ დატოვა, რომ „სიონის" მთავარ მწვრთნელად მიიწვიეს, ილია კოკაია კი გაბრაზდა, ბოლნისში კონტრაქტის დარღვევით წავიდაო. მე დალოცვილო, კონტრაქტის დარღვევა თუ ასე გაღელვებს, მე რატომ გამიწყვიტე? თან ისე, რომ დალაპარაკების ღირსადაც არ ჩამთვალე? თავიდან არც მსურდა, დავას ამხელა ხმაური მოჰყოლოდა, ძალიან რბილად ვლაპარაკობდი და დაპირისპირების ნაცვლად, ადამიანურად ვცდილობდი ვითარების გარკვევას, „ზესტაფონში" თამაში მსურდა, მაგრამ გავიგე, რომ კლუბიდან გამიშვეს და ბუნებრივია, ჩემი უფლებების დაცვა გადავწყვიტე. მან კუთვნილი თანხის გადახდა არ ისურვა და ახლა გაარკვიოს არბიტრაჟმა, ჩვენს დაპირისპირებაში ვინაა მართალი. იმედია, ეს ორგანო, ახალკაცის დროინდელი ფედერაციისგან განსხვავებით, სამართლიანი იქნება"*, - გვითხრა ჭანტურიამ.

**მერაბ მამულაშვილი**



გია ჭანტურია

U 17

# მიუნხენელთა სანაკრებო მზადყოფნა



ევროპაში ავიარეისები ნაწილობრივ აღდგა და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კობა ჟორჟიკაშვილი** მიუნხენიდან დაგვიანებით დაბრუნდა. „ლელოს" მკითხველმა იცის, რომ მან გერმანიაში იტალიიდან გადაინაცვლა, სადაც **გაიოზ დარსაძესთან** ერთად, მწვრთნელთა ლიცენზირების პროგრამაში მიიღო მონაწილეობა.

მიუნხენში ჟორჟიკაშვილი ნაკრების იქ მოთამაშე კანდიდატებს, **ლუკას ჰუფნაგელსა** და **ლუკა ჩხაიძეს** შეხვდა. შეგახსენებთ, ნახევარმცველი ჰუფნაგელი დედით ქართველია და „ბაიერნის" წევრია, ჩხაიძე კი თავდამსხმელია და „მიუნხენ 1860"-ში თამაშობს.

ჟორჟიკაშვილმა ჩხაიძის თამაშს ვერ ჩაუსწრო, იგი მიუნხენში კალენდარული მატჩის მეორე დღეს ჩავიდა და ლუკას ვარჯიშს დაესწრო. ჰუფნაგელი კი ამჟამად ტრავმირებულია (საზარდული აწუხებს) და მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობს. ჟორჟიკაშვილი ჩხაიძესა და ჰუფნაგელს, ასევე მათ მშობლებს გაესაუბრა და მათგან კიდევ ერთხელ მიიღო ნაკრებში თამაშზე დასტური. ცნობისთვის, ლუკას ჰუფნაგელის მამა, კრისტიანი, „ბაიერნის" ბავშვთა გუნდში მუშაობს მწვრთნელად.

ბუნებრივია, ნაკრებში სათამაშოდ მხოლოდ ფეხბურთელთა სურვილი არაა საკმარისი. გერმანიაში მოთამაშე კანდიდატებს ნაკრების სამწვრთნელო შტაბი ჯერ ზაფხულის შეკრებაზე დააკვირდება და თუ ისინი სანაკრებოდ მზად აღმოჩდნენ, შემდეგ უკვე მათთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცედურა დაიწყება. შეკრებამდე კი ჟორჟიკაშვილი და მისი ასისტენტები ჩხაიძისა და ჰუფნაგელის თამაშების ვიდეოჩანაწერს მიიღებენ და ამის მეშვეობით გაეცნობიან მათ შესაძლებლობებს.

გერმანიაში გამგზავრებამდე კი ჟორჟიკაშვილი ფლორენციულ კლუბში მოთამაშე **მესხსაც** შეხვდა. დროის სიმცირის გამო, ვერ მოესწრო ჰამბურგულ გუნდში მოასპარეზე **ფურცელაძის** მონახულება. ევროპაში კიდევ არაერთი ქართველი 17-წლამდელი თამაშობს და ყველა მათგანს საქართველოს ნაკრებში მოხვედრის შანსი საზაფხულო შეკრებაზე მიეცემა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონი



ალექსანდრე იაშვილი

# იაშვილის ხუთიანი

## ცხადაძე ამაყია

აზერბაიჯანული პრემიერლიგის 29-ე ტურში ოთხი მატჩი გაიმართა და ოთხივე ფრით დასრულდა. ბუნებრივია, ყველაზე დიდ ინტერესს ლიდერთა ლენქორანული ჯახი იწვევდა - „ხაზარი" **კახა ცხადაძის** „ინტერს" მასპინძლობდა. მატჩი 2:2 დასრულდა და „ხაზარის" ქულიანი უპირატესობა ქართველთა გუნდზე შენარჩუნდა. ვფიქრობთ, პირველად მოხდა, რომ „ინტერის" ოთხივე ქართველმა ლეგიონერმა 90-90 წუთი ითამაშა, მოედანზე იყვნენ **გიორგი ლომაია, კახაბერ მჟავანაძე, დავით ოდიკაძე** და **გიორგი ნავალოვსკი**. ტურის ცენტრალურ მატჩს 12 ათასი მაყურებელი დაესწრო. „ინტერი" **პოშკუსის** გოლით დაწინაურდა, შემდეგ კი თამაში კონტრშეტევებზე ააგო, მაგრამ ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა პენალტით გაათანაბრეს. მეორე ტაიმიც ანალოგიური სცენარით დაიწყო, „ინტერი" პოშკუსმა ისევ წინ გაიყვანა. თუმცა ამის შემდეგ „ხაზარმა" ველარ შეძლო უპირატესობის მოპოვება. მასპინძლებმა ბოლოსწინა წუთზე მაინც გაათანაბრეს, ლომაიას კარში თავით **ემეკა ოპარამ** გაიტანა.

*„ჩემი ფეხბურთელების თამაშით ვამაყობ. პირველ ტაიმში გოლი გავიტანეთ თუ არა, მეტოქეს ინიციატივა დავუთმეთ. მეორეში ჩვენ ვდომინირებდით, მაგრამ ბოლოს დასანანი გოლი გავუშვით. პრემიერლგის გამარჯვებულის ვინაობა ბოლო ტურამდე არ გაირკვევა"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ კახა ცხადაძემ. ბაქოურ დერბიში „ბაქი" და „ნეფთჩი" 1:1 დაზავდნენ. სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ვალერი აბრამიძემ**. „ნეფთჩი" 19 ქულით მე-5 ადგილზეა.

მეორე ექვსეულში ორივე მატჩი 0:0 დასრულდა, როგორც ჩანს, სისტემის შეცვლამ არ გაამართლა, ქვედა ექვსეულში გუნდები მოვალეობის მოხდის გამოლა გადიან მოედნებზე. „ოლიმპიკი" „სიმურგს" დაუზავდა. მასპინძელთა შორის **ნუგზარ კვირტიამ** მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა, სტუმრებში **კახაბერ ჩხეტიანმა** და **დავით ბოლქვაძემ** 90-90 წუთი ითამაშეს, **რომან ახალკაცი** კი 67-ე წუთზე შეცვალეს. „ოლიმპიკი" 28 ქულით მეშვიდეა, მას ერთი ქულით ჩამორჩება „სიმურგი". „თურანი"-"სტანდარდიც" 0:0 მორჩა. სტუმართა რიგებში ითამაშეს: **დავით ჭიჭვეიშვილმა, სერგი ორბელაძემ** და **გიორგი სეთურიძემ** (89-ე წუთზე შეცვალეს), **ამირან მუჯირი** სათადარიგო იყო. „სტანდარდი" 18 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა.

უკრაინის ვიშალიგაში **გიორგი გაბედავას** „ილიჩევეცი" კიევში „არსენალთან" 1:3 დამარცხდა. ჩვენებურმა პირველად ითამაშა უკრაინულ კარიერაში 90 წუთი. „ილიჩევეცი" 25 ქულით მე-12 ადგილზეა.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში „კარლსრუემ" მინიმალური ანგარიშით დაამარცხა „ალენი". გუნდის ქართველმა კაპიტანმა **ალექსანდრე იაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა. 'შპორტალმა" ჩვენებურს გარჯა დაუწუნა - 5 ბალით შეაფასა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# კობიაშვილი შალკეს ელის...

## ...და მიიჩნევს, რომ საუკეთესოა

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, **ლევან კობიაშვილის** ბერლინის „ჰერტას“ ბუნდესლიგიდან დაქვეითება ელოდება. სეზონის დასრულებამდე 3 ტურით ადრე, ჩვენებურის გუნდი 23 ქულით ცხრილის უკანასკნელ საფეხურზეა და წინ მყოფ „ჰანოვერსა“ და „ფრაიბურგს“, შესაბამისად 4 და 5 ქულით ჩამორჩება. უახლოეს ტურში, შაბათს, 24 აპრილს, კობიაშვილს ყოფილ გუნდთან, გელზენკირხენის „შალკესთან“ „საშინაო კედლებში“ მოუწევს დაპირისპირება. ცნობისათვის, „ხუმარები“ ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებენ, მეორე ადგილზე არიან და ლიდერ მიუნხენის „ბაიერნს“ 2 ქულით ჩამორჩებიან.

სატურნირო მდგომარეობასა და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლას თავი რომ დავანებოთ, ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაში კობისთვის ერთი ჩვეულებრივი მატჩი სულაც არ არის. ეს ფაქტორი კი გერმანელ მიმომხილველებსაც არ გამორჩენიათ და ქართველ ფეხბურთელთან საუბარშიც სწორედ ეს იყო მთავარი თემა.

*„მართალი გითხრათ, ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაში ჩემთვის ერთი ჩვეულებრივი, რიგითი მატჩი ნამდვილად არ არის. ზამთრის პაუზისას სწორედ „შალკედან“ გადავედი „ჰერტაში“. მართალია, გელზენკირხენელთა გუნდი უთამაშებლობის გამო დავტოვე, მაგრამ არც იმას დაგიმალავთ, რომ „შალკეს“ მიმართ ბოღმა და შური ნამდვილად არასდროს მქონია. ამ გუნდში ექვსნელინად-ნახევარი გავატარე და „შალკესთან“ არაერთი კარგი მოგონება მაკავშირებს. ამ გუნდში წლების განმავლობაში თავს ბედნიერად ვგრძნობდი. გელზენკირხენიდან იმიტომ წამოვედი, რომ თამაში არ მიწევდა. 32 წლის ვარ, მაგრამ ენერგიულად ვგრძობ თავს. აშკარად ვგრძნობ, რომ მაღალ დონეზე თამაში შეიძლია და ეს „ჰერტაში“ დავამტკიცე კიდეც. 32 წელი ის ასაკი ნამდვილად არაა, რომ მოედნის ნაცვლად სათადარიგოთა სკამზე გადავინაცვლო“*, - გერმანულ ვებგვერდ westline.de-სთან საუბარში აღნიშნა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა.

ბუნებრივია, „ჰერტა“ „შალკეს“ დონის გუნდი არ არის და ამას ამ გუნდების ცხრილის სხვადასხვა პოლუსზე ყოფნაც ადასტურებს. თუმცა ლევან კობიაშვილი ბერლინშიც კარგად გრძნობს თავს და ამას მასმედიასთან საუბარშიც არ მალავს.

*„ჩემს ოჯახთან ერთად ბერლინში თავს ბედნიერად ვგრძნობ. დედაქალაქში ჩინებულად დავბინავდი. ბერლინში ფეხბურთი ძალიან უყვართ და „ჰერტას“ გამორჩეული გულშემატკივარი გვყავს. სამწუხაროდ, კვლავაც გვემუქრება ბუნდესლიგიდან გავარდნის საფრთხე. არ მინდა დავიჯერო, რომ დაქვეითება მოგვიწევს, ეს ჩვენი გულშემატკივრებისთვის დიდი დარტყმა იქნება.*

*მეორე წრეში რამდენიმე მნიშვნელოვანი ქულა მოვიპოვეთ, მაგრამ კვლავ გასავარდნ ზონაში ვართ. წინა საფეხურზე მყოფ გუნდებთან ჩამორჩენაც არაა მცირე. ბუნდესლიგაში დარჩენა ჩვენთვის ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ხელი არ ჩაგვიქნევია და ბოლომდე ვიბრძოლებთ. წინ კიდევ სამი ტურია და ვნახოთ, ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს,* - განაცხადა კობიაშვილმა.

გერმანელი მიმომხილველი ბუნდესლიგაში ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კობიაშვილის აზრითაც დაინტერესდა.

*„მართალია „შალკე“ ამჟამად მეორე ადგილზეა, მაგრამ უკეთეს პოზიციას ნამდვილად იმსახურებს. ყოფილი გუნდისადმი ჩემი სიმპათია აქ არაფერ შუაშია. ჩემი აზრით, ამ სეზონში „შალკე“ ბუნდესლიგაში საუკეთესოა. ამ გუნდში წლები მაქვს გატარებული, კარგად ვიცნობ ფეხბურთელებსა და მწვრთნელს. შესაბამისად, „შალკეს“ ასეთი თამაში, ჩემთვის გასაკვირი ნამდვილად არ არის. შაბათის მატჩი, როგორც ჩვენთვის, ასევე გელზენკირხენელებისთვისაც ბევრს წყვეტს. მოუთმენლად ველი ამ თამაშს. ვფიქრობ დაძაბული და საინტერესო მატჩი იქნება“*, - აღნიშნა ლევან კობიაშვილმა.

დაბოლოს, ბერლინელთა კლუბთან ზამთარში გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, თუ გუნდი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა, ჩვენებურის ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდება. ასეთ შემთხვევაში კობის კიდევ ერთხელ მოუწევს მისამართის შეცვლა. ბუნებრივია, გერმანიაშიც აინტერესებთ, თუ სად გააგრძელებს კარიერას ფეხბურთელი, რომელსაც ბუნდესლიგაში 300-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული.

*„ახალ გუნდზე ჯერჯერობით არ ვფიქრობ, რადგან ამჯერად ჩემი უმთავრესი საზრუნავი ერთია - ბოლომდე ვიბრძოლოთ ბუნდესლიგაში „ჰერტას“ დარჩენისთვის. თუკი მაინც მომიწევს კლუბის შეცვლა, რა თქმა უნდა, ბუნდესლიგაში მირჩევნია თამაში. ყველასათვის ცნობილია ისიც, რომ „ფრაიბურგში“ ასპარეზობისას მეორე ბუნდესლიგაშიც მითამაშია, მაგრამ არასდროს მიწუწუნია. პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ და ასეა, ხან ერთ გუნდსა და ლიგაში მომიწევს თამაში და ხან სხვა დონის ლიგასა და კლუბში“*, - აღნიშნა ჩვენი ნაკრების ვიცე-კაპიტანმა.

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

# მალხაზ ასათიანი

# სიომინის ფავორიტი არ ვარ

## ქართველს ფული დააკლეს, მაგრამ...

**განვლილი წლების შეფასება, სამომავლო მიზნები... არის თუ არა „ლოკომოტივის“ ქართველი მცველი ამავე გუნდის თავკაც იური სიომინის ფავორიტი. კეთილია ის თუ კონფლიქტური, ვინ და რატომ დააკლო ფული, ვინ დაუდგა მხარში მძიმე პერიოდში... ამ და სხვა საინტერესო თემებს ეხება მალხაზ ასათიანის ინტერვიუ, რომელიც რუსულმა ვებგვერდმა „ჩემპიონატმა“გამოაქვეყნა.**

**მასალა ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს და მას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**

**- მალხაზ, უკვე რამდენიმე წელია, რაც მოსკოვის „ლოკომოტივში“ გამოდიხართ. ამ ხნის განმავლობაში რა მხრივ შეიცვალა გუნდი და რა ტენდენციებს ამჩნევთ, დადებითს თუ უარყოფითს?**

- გუნდში ჩემი თამაშის განმავლობაში რამდენიმე მომენტის გამოყოფა შეიძლება. კარგი იყო, როცა ოქროს მედლები მოვიპოვეთ და ჩემპიონთა ლიგაზე ვიასპარეზეთ. თუმცა მას მერე უფრო ნაკლები შედეგები ვაჩვენეთ, ზედიზედ ორჯერ დავიკავეთ მესამე და მეშვიდე ადგილები. გასულ სეზონში უკეთესი შედეგი ვაჩვენეთ, მე-4 ადგილზე გავედით და ძალზე ცოტა დაგვაკლდა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებისთვის. ამ სეზონში კი მაქსიმუმისთვის, ჩემპიონობისთვის ვიბრძვით.

**- ამ ბრძოლაში მთავარ კონკურენტებად რომელ გუნდებს მიიჩნევთ?**

- ყველას, ამ სეზონში ბევრი ძლიერი გუნდია. ეს ჩემპიონატი ამითაა საინტერესო. ზოგი გუნდი ჯერ აუტსაიდერთა შორისა, მაგრამ ასეთების წინააღმდეგ თამაშშიც არ შეიძლება მოდუნება, თორემ დაისჯები... ყველა გუნდი მოუმატებს და უკეთ ათამაშდება.

**- გარკვეული პერიოდის განმავლობაში იური სიომინი არ თავკაცობდა „ლოკომოტივს“, ის გასულ ზაფხულს დაბრუნდა. მის არყოფნაში გუნდმა არაერთი მწვრთნელი შეიცვალა და ყველა მათგანთან მოგიწიათ მუშაობამ. რომელი სპეციალისტის მუშაობა იყო უფრო სასარგებლო და ეფექტური?**

- ვფიქრობ, ყველა ეს მწვრთნელი განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მათ შორის მხოლოდ ის მსგავსებაა, რომ ყველა მათგანს მხოლოდ წელიწადის განმავლობაში მოუწია მუშაობამ. სიომინის შემდეგ გუნდს ეშტრეკოვი ხელმძღვანელობდა, მე-3 ადგილი დავიკავეთ, მუსლინის მწვრთნელობის დროსაც ბრინჯაოს პრიზიორები გავხდით. მერე ბიშოვეცი მოვიდა და თასი მოვიპოვეთ, მაგრამ ჩემპიონატში მე-7 ადგილს დავჯერდით. რახიმოვის მწვრთნელობის დროსაც მეშვიდე ვიყავით. როგორც ხედავთ, ეშტრეკოვისა და მუსლინის დროს უფრო მაღალი ადგილები დავიკავეთ, მაგრამ ეს შედეგიც არ იყო მისაღები, რადგან ჩვენ ყოველთვის მაქსიმუმისთვის ვიბრძვით.

**- თქვენი საყვარელი მწვრთნელი ვინ არის?**

- მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ის კი ფაქტია, რომ იური სიომინთან მუშაობა მსიამოვნებს. თუმცა არც იმას დავმალავ, რომ „ლოკომოტივში“ გადმოსვლისას მასთანაც მქონდა პრობლემა. თავდაპირველად, თითქმის მთელი წლის განმავლობაში, სიომინი იშვიათად მათამაშებდა. მერე კი ყველაფერი დალაგდა, სიომინისა და ეშტრეკოვის ნდობა დავიმსახურე და უთამაშებლობის პრობლემაც აღარ მქონდა. შემიძლია გითხრათ, რომ მწვრთნელებს შორის ყველაზე კარგად სიომინმა დამამახსოვრა თავი. მასთან ერთად კიევის „დინამოშიც“ ვიყავი. აშკარად ვგრძნობ, რომ სიომინი მენდობა, ეს ფეხბურთელისთვის ძალზე ბევრს ნიშნავს. სიომინის გუნდში ყოველთვის კომფორტულად ვგრძნობ თავს.

**- ნათქვამია, ყველა მწვრთნელს გუნდში თავისი საყვარელი ფეხბურთელი ჰყავსო. ეთანხმებით ამ აზრს?**

- ალბათ ასეც ხდება, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ ყველა მწვრთნელი ასეთია.

**- სიომინის ფავორიტ ფეხბურთელად მიიჩნევთ თუ არა თავს?**

- არა, არა. შესაძლოა, მწვრთნელი ჩემში ხედავს იმას, რაც მის საფეხბურთო ფილოსოფიაში მნიშვნელოვანი ფაქტორია. სიომინის ნდობას ვამართლებ და ალბათ ამიტომაც ვთამაშობ სტაბილურად სასტარტო შემადგენლობაში. თუმცა უმჯობესია ეს თავად სიომინს ჰკითხოთ.

**- როგორ წარიმართებოდა თქვენი კარიერა, იური სიომინს იმ მძიმე ვითარებაში კიევის „დინამოში“ რომ არ მიეწვიეთ?**

- არ მინდა იმ მძიმე პერიოდის გახსენება და მოკლედ გიპასუხებთ. მართლაც რთულ ვითარებაში აღმოვჩნდი, ვფიქრობდი, რომ კარგად მოვემზადებოდი და თამაშიც მომიწევდა, მაგრამ პირიქით მოხდა. აღმოჩნდა, რომ გუნდს აღარ ვჭირდებოდი. კლუბის ხელმძღვანელობასთან უთანხმოებაც მქონდა, მაგრამ ეს გაუგებრობა უკვე მოგვარებულია. სიომინმა კიევიდან დამირეკა და თავისთან მიხმო. საიჯარო პირობებზეც შევთანხმდით, თანხის 70 პროცენტს უკრაინელები იხდიდნენ, დანარჩენს კი „ლოკომოტივი“. მართალი გითხრათ, მხოლოდ კიეველებმა გადაიხადეს თავიანთი წილი... თუმცა იმ პერიოდში ფინანსებზე უფრო მეტად თამაში მჭირდებოდა. „ლოკომოტივში“ სიომინის დაბრუნებისთანავე ყოფილ კლუბს დავუბრუნდი.

**- რამდენად მეგობრული ადამიანი ხართ. ამ მხრივ გაქებენ, მაგრამ გიჩხუბიათ კიდეც..**

- კონფლიქტური ნამდვილად არ ვარ და შეგიძლიათ ჩემს ნებისმიერ თანაკლუბელს ჰკითხოთ. ვცდილობ, ყველასთან ნორმალური ურთიერთობა მქონდეს და ასეც არის. ცხოვრებაში ისეც ხდება, რომ ზოგჯერ კონფლიქტის მონაწილე ხდები. მთავარია კონფლიქტი მალე დაივიწყო, ვინმეს მიმართ ბოღმა გულში არ ჩაიდო, თორემ ეს ბოღმა არ მოგასვენებს. კონფლიქტის მონაწილე მეც ვყოფილვარ, მაგრამ ყველაფერი უმალ დამივიწყებია. ვფიქრობ, საკმაოდ მეგობრული ადამიანი ვარ და ამას ალბათ ბევრი დაგიდასტურებთ კიდეც.

**- რუსეთში თამაში თუ მოგწონთ?**

- უკვე 8 წელიწადია აქ ვთამაშობ და რომ არ მომწონდეს, ამდენს ხანს ვერც გავჩერდებოდი.

**- რუსეთსა და საქართველოს შორის დაძაბულობაზე რა აზრისა ხართ?**

- რა თქმა უნდა, ეს ჩემთვისაც არასასიამოვნოა. თუმცა მჯერა, ადრე თუ გვიან ყველაფერი დალაგდება. ეს პოლიტიკაა, ჩვენ სპორტსმენები ვართ, უბრალო ადამიანები და მხოლოდ ჩვენ ამას ვერ შევცვლით.

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**





ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი

ლა ლიგა. XXXIV ტურის წინ

# რეალს კაკა უბრუნდება

## დოლი კატალონიასა და არაგონში გრძელდება

| | |
|---|---|
| **დღეს** | |
| ბარსელონა-ხერესი | 20:00 |
| სარაგოსა-რეალი | 22:00 |
| ვალენსია-დეპორტივო | 00:00 |
| **ხვალ** | |
| რასინგი-ვილიარეალი | 19:00 |
| მალიორკა-მალაგა | 19:00 |
| სპორტინგი-ვალიადოლიდი | 19:00 |
| ალმერია-ესპანიოლი | 19:00 |
| ატლეტიკო-ტენერიფე | 21:00 |
| ხეტაფე-სევილია | 23:00 |
| **ზეგ** | |
| ოსასუნა-ბილბაო | 23:00 |

პრიმერადივიზიონის 79-ე გათამაშება ხუთ ტურში დასრულდება, ფინიშის წინ მოქმედი ჩემპიონი „ბარსელონა“ მადრიდის „რეალს“ ქულით უსწრებს საჩემპიონო დოლში. დღეს ტურის სამი ყველა საინტერესო შეხვედრა გაიმართება, თუ არ ჩავთვლით ბასკურ-ნავარულ დუელს, რომელიც ორშაბათს პამპლონაში გაიმართება.

ჯერ „კამპ ნოუზე“ ჩემპიონთა ლიგაზე ალიყურნაჭამი „ბარსელონა“ ცხრილის საპირისპირო მხარეს მყოფ „ხერესს“ უმასპინძლებს, ორი საათის შემდეგ კი არაგონში „სამეფო კლუბი“ ლა ლიგის კიდევ ერთ შეჭირვებულ „სარაგოსას“ ესტუმრება. როგორც ხედავთ, მდევარს გაცილებით სერიოზული ტესტი აქვს ჩასაბარებელი, ამიტომ ცხრილის სათავეში ცვლილებას არ უნდა ველოდოთ...

„ბლაუგრანას“ განწყობის გამოკეთების შესანიშნავი შანსი აქვს, რადგან კატალონიას ლა ლიგის ობიექტურად ყველაზე სუსტი გუნდი სტუმრობს. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „ხერესის“ ფეხბურთელთა აბსოლუტურ უმრავლესობას კარიერაში პირველად მოუწევს „კამპ ნოუზე“ გასვლა. ყველა პროგნოზით, „ბარსას“ ორმატჩიანი მოუგებელი სერია უნდა დასრულდეს.

ანდალუსიურმა კლუბმა სადებიუტო სეზონი საშინლად დაიწყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც კლუბში **ნესტორ გოროსიტო** მოვიდა „ხერესი“ ბევრისთვის ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. გოროსიტოს გუნდმა ბოლო ათ მატჩში მხოლოდ ორჯერ წააგო, მაგრამ გუნდის მდგომარეობა მაინც თითქმის უიმედოა, „ხერესს“ სასწაული თუ იხსნის. მართლაც სასწაულია საჭირო იმისთვის, რომ „ხერესის“ დონის გუნდმა „ბარსასთან“ თუნდაც ქულას გამოკრას ხელი.

**პეპ გვარდიოლას** თითქმის საუკეთესო შემადგენლობის დაყენება შეუძლია „ხერესთან“ მატჩში. ტრავმირებული მხოლოდ ორი ფეხბურთელია, **ანდრეს ინიესტა** და **ერიკ აბიდალი**, ერთიც დისკვალიფიცირებულია - **დანი ალვეშმა** „ესპანიოლთან“ დერბიში წითელი ბარათი მიიღო. აბიდალმა გუშინ ვარჯიში ვერ შეძლო, მას ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და „ბარსას“ ექიმთა მოთხოვნით, მწვრთნელმა ის სავარაუდო სიიდან ამოიღო. გვარდიოლას გუნდს წინ „ინტერთან“ საპასუხო მატჩი აქვს, ამიტომაც მწვრთნელმა შეიძლება მაინც მიმართოს მინიმალურ როტაციას. ერთი ცხადია, ის კაპიტან **კარლეს პუიოლს** არ დაასვენებს, ჯერ ერთი, რომ გუნდს ჰაერივით ესაჭიროება ახლა ლიდერის ფუნქციის შემსრულებელი ფეხბურთელი, მეორეც პუიოლი „ინტერთან“ დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს და შესაბამისად, არც დასვენება ესაჭიროება. უნდა ველოდოთ **იაია ტურეს, რაფა მარკესისა** და **ტიერი ანრის** გამოჩენას ძირითად შემადგენლობაში.

ტრავმები არც „ხერესის“ ბანაკშია, გუნდს მხოლოდ **ხესუს მენდოსა** აკლდა, მაგრამ კატალონიაში თამაშისთვის ისიც მზად არის. „ხერესის“ რიგებში ყურადღების მიქცევა ახალგაზრდა ნახევარმცველ **ვიქტორ სანჩეს მატაზე** იქნება უპრიანი - იმედის მომცემი ახალგაზრდა შესანიშნავ ფორმაშია და 22 წლის ასაკში გუნდის ლიდერის ტვირთს შეეჭიდა. არის კიდევ ერთი დეტალი - სანჩესი კატალონიელია. მეტიც, უნივერსალი, რომელსაც მეკარის გარდა ყველა პოზიციაზე შეუძლია თამაში, „ბარსელონას“ აკადემიის ალზრდილია და ახლაც ამ კლუბს ეკუთვნის.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - პუიოლი, მარკესი, მილიტო, მაქსველი - ჩავი, კეიტა, ტურე - მესი, იბრაჰიმოვიჩი, ანრი.

**ხერესი (4-2-3-1):** რენანი - რედონდო, ხიოდა, აიტამი, კასადო - სანჩესი, კეიტა - ორელანა, მიჩელი, მომო - ბერმეხო.

„სარაგოსა“, რომელიც შემდეგი სეზონისთვის დიდ გეგმებს „აწყობს“, ამ ხუთ ტურში გაცილებით „მიწიერი“ საკითხის გადაჭრას უნდა შეეჭიდოს - არაგონული კლუბი სულ რაღაც 2 ქულით უსწრებს გასავარდნ ზონას, ანუ - თითქმის არაფრით. „ლოს მანოსს“ ამ ტურში დიდი გამოცდა აქვს - ჩემპიონობისთვის მებრძოლ „რეალს“ უნდა დაუპირისპირდეს. „ლა რომარედაზე“ გუნდი ცუდად თამაშობს, საკმარისია ითქვას, რომ „სარაგოსამ“ ბოლო 9 საშინაო მატჩიდან მხოლოდ ორი მოიგო.

„სარაგოსას“ თავკაც **ხოსე აურელიო გაის** ახლაც მწარედ ახსოვს მისი დებიუტი არაგონულ კლუბში, რომელიც პირველ წრეში სწორედ „რეალის“ წინააღმდეგ შედგა, „სარაგოსამ“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 0:6 წააგო. მართალია, გაის გუნდი ახლა გაცილებით კარგად თამაშობს დაცვაში (ბოლო ხუთ მატჩში სამი „მშრალად“ დაასრულა), მაგრამ სუპერშემტევი „რეალის“ წინააღმდეგ მორიგი ჩავარდნა არ არის გამორიცხული.

როგორც ჩანს, „რეალს“ მხოლოდ „ბარსელონას“ კომპლექსი აქვს, თორემ სხვა გუნდებს ესპანეთში ერთმანეთის მიყოლებით უმკლავდება - ბოლო 45 შესაძლებელი ქულიდან „სამეფო კლუბმა“ 42 მოიპოვა.

კვლავ საეჭვოა „სარაგოსას“ იტალიელი ცენტრალური მცველის **მატეო კონტინის** თამაში, თუმცა წინა უიქ ენდისგან განსხვავებით კონტინის შანსი ითამაშოს, გაცილებით მაღალია. არაგონელთა ლაზარეთში რჩებიან: **ანხელ ლაფიტა, იკეჩუკვუ უჩე** და **ვიქტორ ლაგუარდია.**

სიახლეა „რეალის“ ბანაკში **კაკამ** და **რაულმა** ვარჯიში შეძლეს და ისინი იმ 19 კაცს შორის მოხვდნენ, რომლებიც **მანუელ პელეგრინის** სარაგოსაში მიჰყავს. ასევე მოირჩინა ტრავმა გერმანელმა მცველმა **კრისტოფ მეტცელდერმა** და ისიც არაგონში გაემგზავრა. მადრიდში მხოლოდ დიდი ხნით ტრავმირებული **პეპე** და **როისტონ დრენტე** დარჩნენ, დისკვალიფიცირებულია ცენტრალური მცველი **რაულ ალბიოლი.**

### სავარაუდო შემადგენლობები

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - პულიდო, იაროშიკი, კონტინი, პონსიო - ედმილსონი, გაბი - არისმენდი, ერერა, ელიზეუ - სუასო.

**რეალი (4-3-1-2):** კასილიასი - არბელოა, ს. რამოსი, გარაი, მარსელო - გუტი, ჩაბი ალონსო, გაგო - ვან დერ ვაარტი - რონალდო, იგუაინი.

საინტერესო დაპირისპირებაა მოსალოდნელი „მესტალიაზეც“, - „ვალენსიას“ შეუძლია მომენტით ისარგებლოს (მისი მეტოქე საშინელ ფორმაშია), მოუგოს „დეპორტივოს“ და მე-3 ადგილი თითქმის გაინაღდოს. **უნაი ემერის** უკვე დაუბრუნდა **ბრუნო** და **კარლოს მარჩენა,** ახლა კი **მიგელიც** გამოჯანმრთელდა. ორ კვირაში დაცვაში კრიზისი საბოლოოდ ამოიწურება, გუნდს **დავიდ ნავარო** და **ანხელ დეალბერტი** დაუბრუნდებიან. **მანუელ ფერნანდეში** „დეპორტივოსთან“ მატჩს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს. „დეპორს“ ამ სეზონში ვეღარ დაეხმარება გუნდის მექსიკელი ლიდერი **ანდრეს გუარდადო.** ძალზე საეჭვოა **ალბერტო ლოპოს** და **ხუან დომინგესის** თამაში.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ვალენსია (4-2-3-1):** სესარი - მიგელი, მადურო, ალექსისი, ალბა - ალბელდა, ბანეგა - პ. ერნანდესი, სილვა, მატა - ვილია.

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - ლაური, ზე კასტრო, პისკუ, კარნერო - სერხიო, ტომასი - როდრიგესი, ადრიანი, პერესი - რიკი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 33 | 26 | 6 | 1 | 80-19 | 84 |
| 2. რეალი | 33 | 27 | 2 | 4 | 87-29 | 83 |
| 3. ვალენსია | 33 | 17 | 8 | 8 | 52-37 | 59 |
| 4. მალიორკა | 33 | 16 | 7 | 10 | 52-37 | 55 |
| 5. სევილია | 33 | 16 | 6 | 11 | 49-38 | 54 |
| 6. ვილიარეალი | 33 | 14 | 7 | 12 | 48-45 | 49 |
| 7. ბილბაო | 33 | 14 | 7 | 12 | 45-44 | 49 |
| 8. ხეტაფე | 33 | 14 | 5 | 14 | 48-43 | 47 |
| 9. დეპორტივო | 33 | 12 | 8 | 13 | 33-42 | 44 |
| 10. ატლეტიკო | 33 | 11 | 7 | 15 | 49-52 | 40 |
| 11. ოსასუნა | 33 | 10 | 8 | 15 | 30-39 | 38 |
| 12. ესპანიოლი | 33 | 9 | 11 | 13 | 26-40 | 38 |
| 13. ალმერია | 33 | 9 | 11 | 13 | 34-45 | 38 |
| 14. სპორტინგი | 33 | 9 | 10 | 14 | 33-44 | 37 |
| 15. რასინგი | 33 | 8 | 12 | 13 | 36-48 | 36 |
| 16. სარაგოსა | 33 | 8 | 10 | 15 | 38-56 | 34 |
| 17. მალაგა | 33 | 7 | 12 | 14 | 37-42 | 33 |
| 18. ტენერიფე | 33 | 8 | 8 | 17 | 34-63 | 32 |
| 19. ვალიადოლიდი | 33 | 5 | 14 | 14 | 32-54 | 29 |
| 20. ხერესი | 33 | 6 | 9 | 18 | 30-56 | 27 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




კაკა (მარჯვენა) სრული დატვირთვით ემზადება

პროექტი




ფერნანდო ტორესი უტევს მანჩესტერ სიტის კარს

# ალბათ, დეკემბერში...

## მანჩინის ტორესი მოუნდა: რატომაც არა? ჩვენ უმაღლესი დონის გუნდი გვყავს!

„მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელმა **რობერტო მანჩინიმ** თქვა, რომ მისი უმდიდრესი კლუბი ამ ზაფხულს „ლივერპულიდან“ **ფერნანდო ტორესის** წამოყვანას შეეცდება. რას ნიშნავს ეს განცხადება? ნაწილობრივ იმას, რომ ისტლენდერები პრემიერლიგის მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში თავიანთი კონკურენტების გალიზიანებას და წყობიდან გამოყვანას ცდილობენ და ნაწილობრივ კიდევ იმას, რომ თავად ტორესი, როგორც ჩანს, მერსისაიდიდან გადაბარგებაზე მთლად უარსაც არ ამბობს. მანჩინიმ განაცხადა:

*„ჩვენ უმაღლესი დონის გუნდი ვართ, ტორესით კი, დარწმუნებული ვარ, ყველა უმაღლესი დონის გუნდია დაინტერესებული. ისინი, ტორესი, რუნი, რონალდო, მესი და იბრაჰიმოვიჩი ხომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები არიან. თუმცა, არის ერთი დამაბრკოლებელი გარემოება: ფეხბურთელებს ყოველ წელიწადს ჩემპიონთა ლიგაში სურთ თამაში, ამისათვის კი ჩვენ აუცილებლად უნდა გავიდეთ მეოთხე ადგილზე“.*

ტორესის შეძენა „მანჩესტერ სიტის“ 50 მილიონი ფუნტი მაინც დაუჯდება. თუმცა, თუ ესპანელი ფორვარდი მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს და იქ წარმატებას მიაღწევს, მისი ფასი შეიძლება ერთი-ორჯერ გაიზარდოს. მოგეხსენებათ, ფერნანდო ტორესი ამჟამად დაშავებულია და „ლივერპულის“ პრემიერლიგურ თუ ევროლიგურ შეხვედრებში ვერ მონაწილეობს. მას არც ხუთშაბათს უთამაშია თავისი ყოფილი გუნდის მადრიდის „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაში, მაგრამ ეს „ელ ნინიოს“ ოსტატობას არანაირად არ აკნინებს და თუ რობერტო მანჩინი „სიტის“ ოთხეულში შეყვანას მოახერხებს, როგორც ჩანს, ისტლენდელთა არაბი პატრონები ჯიბეზე ხელს აშკარად გაიკრავენ.

როგორც ინგლისურმა ტაბლოიდებმა შეიტყვეს, „სიტიმ“ ტორესის აგენტთა გუნდს ჯერ კიდევ შარშან შესთავაზეს თავიანთი წინადადება, მაგრამ ცივი უარი მიიღეს, გასულ დეკემბერს კი განმეორებით წინადადებაზე მათი პასუხი ყოფილა „ალბათ“. იმ შემთხვევაში თუ ისტლენდელები ესპანელი ფორვარდის გადაბირებას მოახერხებენ, სავარაუდოდ ის გახდება პრემიერლიგის ყველაზე დიდხელფასიანი ფეხბურთელი. ამბობენ, რომ „სიტი“ მას ყოველ კვირაში 200 ათას ფუნტს გადაუხდის. კითხვაზე - კი მაგრამ, გაყიდის „ლივერპული“ ტორესს“? - მანჩინიმ ასე უპასუხა:

*„ამის შესახებ ნამდვილად ვერაფერს მოგახსენებთ. წამიკითხავს, რომ „ლივერპული“ იძულებულია გაყიდოს ერთი ან ორი ფეხბურთელი, მაგრამ ამ გუნდში ზუსტად რა სიტუაციაა, არ ვიცი. ტორესი ფანტასტიკური თავდამსხმელია, მაგრამ მისი შეძენა მარტო ჩვენ კი არ გვსურს, ევროპის ყველა უმაღლესი დონის გუნდს უნდა. ასე რომ, ისევ მეოთხე ადგილის თემას ვუბრუნდებით. ახლა ჩვენთვის მთავარია ჩემპიონატის ბოლო ოთხ თამაშზე ვიფიქროთ და ფეხბურთელების ყიდვაზე მერე ვილაპარაკოთ“.*

მეოთხე ადგილზე ძალიან არის დამოკიდებული თავად მანჩინის „სიტიში“ დარჩენა - არ დარჩენის ამბავიც. ისტლენდელებს პრემიერლიგის ცხრილში ამ ნანატრ პოზიციას „ტოტენჰემ ჰოთსპური“, „ასტონ ვილა“ და ტორესის „ლივერპული“ ეცილებიან. მომავალ სეზონში კი, ორი აზრი არ არსებობს, „სიტი“ უმაღლეს ჯილდოს შეეთამაშება. მანჩინიმ თქვა, რომ ის გუნდში დეკემბერში მივიდა და სურდა ჩემპიონობისთვის ებრძოლა. მიზანი მომავალშიც უცვლელი რჩება:

*„პრემიერლიგის ჩემპიონობა ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე მეტად მინდა. მინდა, ფეხბურთელებმა კარგად გაიგონ, რომ „მანჩესტერ სიტი“ დიდი სამომავლო პროექტია და იმედი მაქვს, რომ ისინი ამ გუნდში იმ შემთხვევაშიც გადმოვლენ, თუ ჩვენ მეოთხე ადგილზე ვერ გავალთ. კარგი იქნება, თუ ამ საქმეში ფული ითამაშებს დიდ როლს. მინდა რომელიმე უმაღლესი დონის ფეხბურთელი ვიყიდოთ. რასაკვირველია, ჩვეულებრივი ფეხბურთელების ყიდვაში ზედმეტი ფული არ უნდა დავხარჯოთ, მაგრამ თუ ტოპ-მოთამაშის შეძენის საშუალება გამოჩნდება, ვფიქრობ, აჯობებს ის შევიძინოთ, გარშემო კი ჩვენივე კლუბის ახალგაზრდობა შემოვაჯაროთ. მე „მანჩესტერ სიტისა“ და მის პატრონებს დიდ პატივს ვცემ და მათი ფულის ფლანგვას ნამდვილად არ ვაპირებ, მაგრამ, თუ გამოჩნდება ფეხბურთელი, რომელიც ძალიან გვჭირდება და კონკრეტული თანხა ღირს, ჩვენ ამ თანხას გადავიხდით. მოკლედ, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა გეგმას დავსახავთ საგაისოდ. ვფიქრობ, ჩვენი გეგმა „ჩელსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძლევა და ინგლისის ჩემპიონობა უნდა იყოს. კლუბი ყოველ წელიწადს უნდა ძლიერდებოდეს და ჩვენც სწორედ ასე გვინდა საქმე ავაწყოთ. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, დადგება თუ არა სატრანსფერო სეზონი 10-15 ფეხბურთელი უნდა ვიყიდოთ, მაგრამ სამი-ოთხი კაცით გუნდის გადახალისება საჭიროა“.*

შეგახსენებთ, რომ მას მერე, რაც 2008 წლის აგვისტოში აბუ დაბელმა შეიხმა **მანსურმა** შეიძინა, „სიტიმ“ 200 მილიონ ფუნტზე მეტი დახარჯა, მაგრამ ფორვარდების ყიდვაში დიდი წარმატება მაინც არ აქვს. ასე მაგალითად, **რობინიო,** რომელშიც 32,5 მილიონი ფუნტი დახარჯეს „სანტოსშია“ გაქირავებული, პარაგვაელი **როკე სანტა კრუზი** მუხლის მკურნალობას ვერ აუდის, **ემენუელ ადებაიორი** კი ამ სეზონში ხან კარგად თამაშობს და ხანაც კაპიკია მისი ფასი. ყველაზე მეტად ისტლენდელებს „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ წამოყვანილი **კარლოს ტევესი** და უელსელი **კრეიგ ბელამი** გამოადგათ.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი

პრემიერლიგა. XXXVI ტურის წინ

# სასიამოვნო გაუგებრობა

## ფერგიმ, არსადაც არ მივდივარო...

| დღეს | |
|---|---|
| მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი | 15:45 |
| ბოლტონი-პორტსმუთი | 18:00 |
| ჰალი-სანდერლენდი | 18:00 |
| ვესტ ჰემი-უიგანი | 18:00 |
| ვულვზი-ბლექბერნი | 18:00 |
| არსენალი-მანჩესტერ სიტი | 20:30 |
| **ხვალ** | |
| ასტონ ვილა-ბირმინგემი | 15:00 |
| ბარნლი-ლივერპული | 18:00 |
| ევერტონი-ფულჰემი | 18:00 |
| ჩელსი-სტოკი | 19:00 |

ასეთი რამ ინგლისში დიდი ხანია არ მომხდარა: წლევანდელი პრემიერლიგის დასრულებამდე სულ რამდენიმე კვირალა დარჩა, მაგრამ ყველაფერი ბუნდოვანია. ცხრილის კენწეროში სრული გაუგებრობაა, ყველა ყველგან შეიძლება მოხვდეს. დიდი ბრძოლაა მეოთხე ადგილისთვისაც. ფეხბურთის მოყვარულები ამაზე უკეთესს ვერაფერს ინატრებენ, მით უფრო, რომ ამას დაახლოებით ერთ თვეში მსოფლიოს ჩემპიონატიც მოჰყვება...

ამ უქმეებზე სამი გამოკვეთილი შეხვედრაა: „მანჩესტერ იუნაიტედი" „ტოტენჰემ ჰოთსპურს" მასპინძლობს, „არსენალი" - „მანჩესტერ სიტის", ხოლო „ვესტ ჰემი" - „უიგანს". ბოლოს დასახელებული წყვილი, მოგეხსენებათ, პრემიერლიგაში დარჩენისთვის იბრძვის - დიდი მატჩია, წაგების უფლება არც ერთს აქვს.

დავიწყოთ „ოლდ ტრეფორდზე" დანიშნული შეხვედრით: „მანჩესტერ იუნაიტედი"-„ტოტენჰემი". ამ შეხვედრაში „მანჩესტერ იუნაიტედს" **ვეს ბრაუნი** უბრუნდება. ბრაუნმა მარტის დასაწყისში „ვულვერჰემპტონთან" შეხვედრაში ფეხი მოიტეხა და ახლალა ბრუნდება მოედანზე. ბრაუნის გამოჯანმრთელება სერ **ალექს ფერგიუსონის** დაცვას ფრიად გამოადგება. „ჩელსი" კვირამდე არ თამაშობს და თუ „იუნაიტედი" გაიმარჯვებს, სულ მცირე 24 საათით მაინც დაბრუნდება ცხრილის სათავეში. ჰო, მართლა, ფერგიუსონი ვახსენეთ და, გუშინ სერ ალექსმა გარკვევით თქვა - არსადაც არ მივდივარ, ერთადერთი, რამაც შეიძლება მუშაობაში ხელი შემიშალოს, ჯანმრთელობის შერყევაა და არც ამ მხრივ მაქვს პრობლემაო...

რას დაუპირისპირებს ტიტულისთვის მებრძოლ გუნდს „სფურზი", რომელსაც მეოთხე ადგილზე სურს გასვლა და წინა ორ ტურში „არსენალი" და „ჩელსი" დაამარცხა? **ჰარი რედნაპის** ბიჭებიც ძლიერდებიან: დიდი შანსია, მოედანზე **აარონ ლენონი** ვიხილოთ. ლენონი დეკემბერში „ვესტ ჰემთან" შეხვედრაში დამარცხდა და მას მერე ძალიან აკლდა „ტოტენჰემს".

ჰარი რედნაპი: „ლენონი უმაღლესი დონის ფეხბურთელია და მისი დაბრუნება ძალიან კარგი იქნება. სასტარტო შემადგენლობაში მას ვერ გამოვიყვან, მაგრამ 20 წუთით ნამდვილად შეძლებს თამაშს".

ცხადია, ლენონს ინგლისის ნაკრებში დაბრუნებისა და მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების შანსიც დაუბრუნდა.

„არსენალისა" და „მანჩესტერ სიტის" თამაშზე აი, რისი თქმა შეიძლება: „მეთოფეთა" 27 წლის მცველს **ბაკარი სანიას** თავგზა აქვს აბნეული, რადგან ბოლო დროს გავრცელდა ხმები, რომ მას „იუვენტუსი" ეპატიჟება. ფეხბურთელის აგენტმა, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება, ყველაფერი უარჰყო და განაცხადა, რომ მისი კლიენტი ლონდონში ცხოვრებითა და თამაშით ბედნიერია.

საინტერესოა, რომ ამ შეხვედრაში „არსენალის" წინაალმდეგ, სავარაუდოდ, ოთხი ყოფილი „მეთოფე" ითამაშებს და მათ შორის ყველაზე ასაკოვანი, გამოცდილი და პატივცემული, რასაკვირველია **პატრიკ ვიეირა** იქნება. „არსენალში" აქვს ნათამაშები **კოლო ტურესაც**, აი, **სილვინიო** კი შეიძლება ათამაშონ და შეიძლება არა. და მეოთხე, რასაკვირველია, იქნება „ემირეიტ სთედიუმზე" ხალხის მტრად გამოცხადებული **ემანუელ ადებაიორი**. მოგეხსენებათ, გასულ ზაფხულს მისი „სიტიში" 25 მილიონად გადასვლა „არსენალის" ქომაგებმა ღალატად მიიჩნიეს. ამბობენ, რომ **რობერტო მანჩინის** გუნდში თამაშს **მიკა რიჩარდსიც** შეძლებს. ცნობისთვის: ისტლენდელებს ლონდონში „არსენალთან" 1975 წლის მერე არ მოუგიათ.


სერ ალექს ფერგიუსონი ჯერჯერობით ჯანმრთელობას არ უჩივის

როგორც გითხარით, ტურის მთავარ შეხვედრათა შორისაა ცხრილის ფსკერში ჩავარდნილი „ვესტ ჰემისა" და „უიგანის" დაპირისპირება. ამ შეხვედრაში ლონდონელთა თავკაცს **ჯანფრანკო ძოლას კარლტონ კოულის** იმედი აქვს. „ვესტ ჰემის" თავკაცმა, რომელსაც „აპტონ პარკზე" გამარჯვება ჰაერივით სჭირდება, თქვა: „*კარლტონს დიდი ხანია გოლი არ გაუტანია, მაგრამ ვიცი, რომ ერთს საგულდაგულოდ ინახავს და ის, ალბათ, ჩვენი გამარჯვების გოლი იქნება*".

„ჩელსი" „სტოკ სიტის" მასპინძლობს. ის, რომ „ლურჯებისთვის" გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, დიდი მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ როგორც ჩანს, გუნდში გარკვეული დაძაბულობა მაინც იგრძნობა. **ჯო კოულმა** თქვა, ჩემპიონები 2006 წლის მერე არ ვყოფილვართ და დროა გავიმარჯვოთ, თორემ გამოდის, რომ **ჟოზე მოურინიოს** შემდეგ არაფრად ვვარგივართო. ფეხბურთელის ამ ნათქვამმა ძალიან გაალიზიანა „ჩელსის" მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი**, რომელმაც განაცხადა, რომ ჩემპიონობა მართლაც საჭიროა, მაგრამ მოურინიოს აჩრდილი მას ნამდვილად არ დასდევს.

„*ის დიდებული მწვრთნელია, „ინტერში" საოცრად მუშაობს, ნახევარფინალში „ბარსელონას" ბრწყინვალედ მოუგო, მაგრამ ჩვენ დღეს უკვე სულ სხვა ცხოვრებით ვცხოვრობთ. „ჩელსის" დღევანდელი ისტორია სხვა ისტორიაა*".

„ლივერპული" „ბარნლიში" მიდის. „ლივერპულის" ავი, კარგი და პრობლემები ასე თუ ისე ყველასთვის კარგად არის ნაცნობი, აი „ბარნლის" კი საქმე ასე აქვს: მწვრთნელ **ბრაიან ლოუს** საეჭვოდ ერთადერთი კაცის, მცველის, **კლარკ კერლისლის** საქმე აქვს. კერლისლიმ ამ კვირაში კოჭი გადაიბრუნა და როგორც ჩანს, ვერ ითამაშებს. თავდამსხმელი **დევიდ ნაჯენტი** კი გუშინდელი ვარჯიშისგან გაათავისუფლეს. დღეს მას ალბათ ათამაშებენ, რათა ხვალ **რაფა ბენიტესის** გუნდის წინაალმდეგ თამაში შეძლოს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 35 | 24 | 5 | 6 | 86-32 | 77 |
| 2. მანჩესტერ იუნ. | 35 | 24 | 4 | 7 | 78-27 | 76 |
| 3. არსენალი | 35 | 22 | 5 | 8 | 78-39 | 71 |
| 4. ტოტენჰემი | 34 | 19 | 7 | 8 | 62-34 | 64 |
| 5. მანჩესტ. სიტი | 34 | 17 | 11 | 6 | 69-42 | 62 |
| 6. ასტონ ვილა | 35 | 16 | 13 | 6 | 50-35 | 62 |
| 7. ლივერპული | 35 | 17 | 8 | 10 | 57-33 | 59 |
| 8. ევერტონი | 35 | 14 | 12 | 9 | 57-48 | 54 |
| 9. ბირმინგემი | 35 | 12 | 11 | 12 | 35-43 | 47 |
| 10. ფულჰემი | 34 | 11 | 10 | 13 | 35-37 | 43 |
| 11. სტოკი | 34 | 10 | 13 | 11 | 33-37 | 43 |
| 12. ბლექბერნი | 35 | 11 | 10 | 14 | 37-53 | 43 |
| 13. სანდერლენდი | 35 | 10 | 11 | 14 | 46-53 | 41 |
| 14. ბოლტონი | 35 | 9 | 8 | 18 | 38-63 | 35 |
| 15. უიგანი | 35 | 9 | 8 | 18 | 33-66 | 35 |
| 16. ვულვზი | 35 | 8 | 10 | 17 | 28-51 | 34 |
| 17. ვესტ ჰემი | 35 | 7 | 10 | 18 | 41-60 | 31 |
| 18. ჰალი | 35 | 6 | 10 | 19 | 32-72 | 28 |
| 19. ბარნლი | 35 | 7 | 6 | 22 | 37-74 | 27 |
| 20. პორტსმუთი | 35 | 6 | 6 | 23 | 29-62 | 15* |

ილია ბაბუნაშვილი

მნიშვნელოვანი მატჩი


გარი ლინეკერი

# მოგონებანი გარდასულ დღეთა

დღეს „მანჩესტერ იუნაიტედი" „ტოტენჰემს" მასპინძლობს. მანჩესტერელები, მოგეხსენებათ, ჩემპიონობისთვის იბრძვიან, ლონდონელები კი მეოთხე ადგილისთვის. თან, „სფურზმა" წინა ორი თამაში მეტად ეფექტურად ჩაატარა, ჯერ „არსენალს" მოუგო და მერე „ჩელსის". ახლა, რიგში მანჩესტერია და თუ **ჰარი რედნაპსა** და მის ბიჭებს ზედიზედ მესამე შთამბეჭდავი გამარჯვება სურთ, 1989 წლის 16 დეკემბერი უნდა გაიხსენონ, როდესაც **გარი ლინეკერის** ერთადერთმა გოლმა „ტოტენჰემს" „ოლდ ტრეფორდზე" ბოლო გამარჯვება მოუტანა. მას მერე, ვაგლახ... ასეთი რამ აღარ მომხდარა. იმ შეხვედრაში გადამწყვეტი როლი სამმა ტოტენჰემელმა ითამაშა და „დეილი მეილმაც" სწორედ მათ მიაკითხა გარდასულ დღეთა მოსაგონებლად.

**გარი ლინეკერი (ტელეკომპანია BBC-ის ტელეჟურნალისტი და საგაზეთო მესვეტე):** „*ის გოლი ძალიან კარგად მახსოვს, რადგან ჩემს კარიერაში ერთადერთი გოლი იყო საჯარიმოს გარედან რომ გავიტანე. ეს იყო ეფექტური, სუნთქვის შემკვრელი გოლი, რომელიც 22 მეტრიდან მაღალ კუთხეში შევაგდე. მართალი რომ გითხრათ, ისეთი კარგი „სფურზი" მე სხვა არც მახსოვს. რაც შეეხება „იუნაიტედს" მაშინ ეს გუნდი დღევანდელივით ძლიერი არ იყო.*

*წლეულს „ტოტენჰემი" ნამდვილად კარგი გუნდია, უწინდელზე უკეთესი ფეხბურთელები ჰყავს და სათავეშიც ისეთი მწვრთნელი უდგას, რომელიც ამ ფეხბურთელთაგან მაქსიმუმს წურავს. ჰარი რედნაპის ხელმძღვანელობით მოთამაშეებს საკუთარი თავისა მეტად სწამთ. დღევანდელი „სფურზი" ცხრილში ისეთ პოზიციაზეა, როგორზეც ჩვენ ვიყავით: არც მთლად ვლიდერობდით, მაგრამ წინ წასვლის შანსი გვქონდა. რედნაპის „სფურზს" მეოთხე ადგილზე გასვლა შეუძლია, აქ, ყველაფერი მათ ხელშია. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ ისინი ამ ამოცანას თავს გაართმევენ. ამის იმედს ის ფეხბურთი გვაძლევს, რომელიც გუნდმა ბოლო ორ შეხვედრაში გვაჩვენა*".

**გარი მებატი (ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტის წევრი. სამხრეთ აფრიკაში ინგლისი 2018-ის ელჩი):** „*ოლდ ტრეფორდი" „მანჩესტერ იუნაიტედისთვის ყოველთვის ციხე-სიმაგრე იყო და დღესაც ასეა. იქიდან ერთხელ მაინც თუ წამოხვალ ქულით, ჩათვალე, დიდი საქმე გაგიკეთებია. იმ შეხვედრაში ჩვენ თავი მართლა ძალიან კარგად დავიცავით, ხოლო გარი ლინეკერმა საჯარიმოს გარედან გაიტანა - ეს გამონაკლისი გახლდათ. ჩვენ ყველანი ბედნიერები ვიყავით. ტერი ვენეიბლზი დიდებული ტაქტიკოსი იყო. მან ისეთი გეგმა შეადგინა, რომელსაც „ოლდ ტრეფორდის" ქომაგებისთვის ენა მუცელში უნდა ჩაეგდო. ჩვენ ის დიდებული გეგმა ზედმიწევნით ზუსტად შევასრულეთ*".

**ბობი მიმსი („ბლექბერნ როვერსის" მეკარეთა მწვრთნელი):** „*მაშინ სერ ალექსს, ცოტა არ იყოს, უჭირდა, „იუნაიტედს" ცუდი პერიოდი ედგა. პირადად მე ბევრი არაფერი გამიკეთებია, რამდენიმე ჩაკიდებულ ბურთზე გამოვედი და სულ ეს იყო. იმ თამაშზე მანჩესტერში ავტობუსით ჩავედით და სტიუარტი გვპატრონობდა. უკანა გზა მახსოვს ძალიან კარგად. თითო გადავკარით და ლონდონში მხიარულები დავბრუნდით*".

რაკილა იმ შეხვედრის მონაწილე სამი კაცი უკვე გავიხსენეთ, მოდი, დანარჩენებიც ჩამოვთვალოთ და თან მივაწეროთ, დღეს რომელი მათგანი სად არის: **მიჩელ ტომასი** - საფეხბურთო აგენტია. მის კლიენტთა შორის ყველაზე ცნობილი გახლავთ **შონ რაიტ ფილიპსი**. **სტივ სეჯლი** - აგენტ **საიმონ დენტის** ასისტენტია. **პეტ ვან დენ ჰოუი** - ბელგიური წარმოშობის უელსელი დღეს სამხრეთაფრიკელ ფეხბურთელებს წარმოადგენს. **ვინი სემუეისი** - მარბელაში ბერია. **დევიდ ჰოულზი** - მთელ ევროპაში დასასვენებელ სახლებთან არსებულ საფეხბურთო სკოლებს ხელმძღვანელობს. **პოლ გესქოინი** - ლოთია. **პოლ ალენი** - პროფესიონალ ფეხბურთელთა ოფისში ყოფილი ფეხბურთელების საქმეებს აგვარებს და თან „მასტერს ლიგის" პროექტშია. **პოლ სტიუარტი** - უნივერსიტეტში ესპანურ ენას სწავლობდა და ხარისხი დაიცვა.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია

სერია A XXXV ტურის წინ

# ვის უმტყუნებს ნერვები?

| დღეს | |
|---|---|
| ინტერი-ატალანტა | 20:00 |
| პალერმო-მილანი | 22:45 |
| **ხვალ** | |
| იუვენტუსი-ბარი | 17:00 |
| ნაპოლი-კალიარი | 17:00 |
| ლივორნო-კატანია | 17:00 |
| ფიორენტინა-კიევო | 17:00 |
| ჯენოა-ლაციო | 17:00 |
| ბოლონია-პარმა | 17:00 |
| უდინეზე-სიენა | 17:00 |
| რომა-სამპდორია | 22:45 |

XXXV ტურში გრანდთა დაპირისპირებას ვერ ვიხილავთ, მაგრამ, აბა რალა დროს ეგეთებია - ჩემპიონატის დასრულებამდე მხოლოდ ოთხი ტურია დარჩენილი და თითოეული შეხვედრა ფინალის ტოლფასია. პრესის განსაკუთრებულ ინტერესს სკუდეტოსთვის მებრძოლი გუნდები იწვევენ და ბუნებრივია, ჩვენც სწორედ „ინტერისა“ და „რომას“ პაექრობებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

დღეს მილანური „ნერაძური“ გამართავს შეხვედრას და საკუთარ მოედანზე „ატალანტას“ მიიღებს, კიდევ ერთ „ნერაძურის“. მართალია, ბერგამოელები ცხრილის ფსკერზე არიან და გადარჩენისთვის იბრძვიან, მაგრამ საყოველთაო ვარაუდით, მილანელებს დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევთ. ბოლო ტურებში, „ატალანტამ“ საკმაოდ მაღალი ხარისხის ფეხბურთი ითამაშა და ქულებიც ბლომად დააგროვა. ასე რომ ესპარეზათ პირველ წრეში, როგორც მინიმუმ, ცხრილის ზედა ნაწილში იქნებოდნენ. ბრწყინვალედ ირჯება **ჰაიმე ვალდესი**, რომელიც ბერგამოელთა შეტევების მთავარი შემოქმედი და სულისჩამდგმელია. ასეთი პროგრესის ფონზე, ექსპერტთა ნაწილი ირწმუნება, რომ „ატალანტა“ აუცილებლად შეინარჩუნებს ადგილს ელიტარულ დივიზიონში. ასეთ შემთხვევაში, სერია B-ს ან „ბოლონიამ“ უნდა მიაშუროს, ან „ლაციომ“. ამას დრო გვიჩვენებს და დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას, იქამდე კი „ინტერის“ ბანაკში არსებულ ვითარებას გადავხედოთ.

საყოველთაო მოლოდინით, **მარიო ბალოტელის** ჩადენილი საქციელი არ უნდა შერჩენოდა და როგორც მინიმუმ, მომდევნო მატჩში, განაცხადს მიღმა უნდა დარჩენილიყო. ბევრი იმასაც ამბობდა, ახალგაზრდა ფორვარდს გუნდიდან მოკვეთავენ და ზაფხულში ტრანსფერებზე დააყენებენო. პრინციპში, ეს ლოგიკურიც გახლდათ, რადგან მარიომ არა მწვრთნელს, ან რომელიმე თანაგუნდელს, მთლიანად გუნდს მიაყენა შეურაცხყოფა. შეგახსენებთ, რომ „ბარსელონასთან“ პაექრობის დასრულებისთანავე, „ინტერის“ მაისურა გაიძრო და მინდორზე მიაგდო. ამ საქციელისთვის ბალოტელი ყველამ გაკიცხა, თანაგუნდელებიდან დაწყებული, უბრალო გულშემატკივრებით დამთავრებული. გუშინ, **რობერტო მანჩინიც** კი გამოეხმაურა ამ ამბავს და განაცხადა, მარიოს უნდა რცხვენოდეს იმის, რაც გააკეთაო. როგორც ჩანს, **ჟოზე მოურინიოსა** და **მასიმო მორატისთვის** უმთავრესი შედეგია და შესაბამისად, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედეს. „გაძეტა დელო სპორტის“ ვარაუდით, ბალოტელი ძირითად შემადგენლობაში იქნება და „ატალანტას“ პირველივე წუთებიდან შეეტოქება.

მოურინიო 4-2-3-1 ტაქტიკას აირჩევს - ბალოტელის უკან შემდეგი სამეული გაირჯება: **გორან პანდევი, უესლი სნეიდერი, სამუელ ეტოო.** საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციებს **ესტებან კამბიასო** და **სალი მუნტარი** შეასრულებენ. ეს უკანასკნელი ბოლო დროს ჩრდილში მოექცა და საკუთარი შესაძლებლობების დასამტკიცებლად კარგი შანსი ეძლევა. როგორც მიხვდით, სათადარიგოთა შორის იქნება **დიეგო მილიტო**, რომელსაც მცირე ტრავმა აქვს და მეორე ტაიმში თუ ჩაერთვება თამაშში. თუმცა, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ჟოზემ გარისკოს და არგენტინელი მაინც ძირითად შემადგენლობაში დააყენოს.

მოურინიო უკვე დიდი ხანია იტალიელ ჟურნალისტებთან არ ურთიერთობს. სამაგიეროდ, მასიმო მორატია საუბრის ხასიათზე და თითქმის ყველა შეხვედრის წინ, თუ შემდგომ, საკუთარ მოსაზრებებს აფიქსირებს. მოვუსმინოთ პრეზიდენტს:

*„ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონას“ დამარცხებამ ძალიან გაგვახარა, მაგრამ ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ. ჯერ ერთი, ეს მხოლოდ პირველი რაუნდი იყო დიდი დაპირისპირების და მეორე, სერია A-ში არცთუ სახარბიელოდ გვაქვს საქმე. მართალია, ლიდერს მხოლოდ ერთი ქულით ჩამოვრჩებით, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ პირველ ადგილზე არ ვართ, ერთობ უსიამოვნოა. ასე რომ, კონცენტრაცია უნდა მოვახდინოთ და დარჩენილ შეხვედრებში ქულათა მაქსიმუმი ავიღოთ“.*

### სავარაუდო შემადგენლობები

**ინტერი:** ჟულიო სეზარი - ძანეტი, სამუელი, ლუსიო, კივუ - კამბიასო, მუნტარი - ეტოო, სნეიდერი, პანდევი - ბალოტელი.

**ატალანტა:** კოპოლა - კაპელი, ბიანკო, მანფრედინი, პელუზო - ფერეირა პინტუ, პადოინი, გუარენტე, ვალდესი - ტირიბოკი, ამორუზო.

ტურის უკანასკნელი შეხვედრა რომის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება, სადაც „რომა“ „სამპდორიას“ უმასპინძლებს. **კლაუდიო რანიერის** აშკარად უმართლებს, უკვე მერამდენე ტურია არც ტრავმირებული ჰყავს ვინმე და არც დისკვალიფიცირებული. სავარაუდოდ, 4-3-1-2 ტაქტიკას აირჩევს და ისეთივე შემადგენლობას დააყენებს, როგორიც „ლაციოსთან“ ჰყავდა. მართალია, დერბიში ამ თერთმეტეულმა არ გაუმართლა, მაგრამ ერთი ჩაგდებული მატჩის საფუძველზე, **ტოტის** და **დე როსის** სასტარტოდან ნამდვილად ვერ ამოაგდებს. შეტევის წინა ხაზზე **მირკო ვუჩინიჩი** და **ლუკა ტონი** იმოქმედებენ, მათ უკან კი ფრანჩესკო ტოტი გაირჯება. შუა ხაზს შემდეგი სამეული გაამაგრებს: დანიელე დე როსი, **დავიდ პისარო, სიმონე პეროტა.** სათადარიგოთა შორის იქნებიან **როდრიგო ტადეი** და **ჟერემი მენეზი** - დიდი ალბათობით, მეორე ნახევარში ჩაერთვებიან საქმეში.

„რომა“ შესანიშნავ ფორმაშია და თამაშს თამაშზე იგებს, მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას „სამპდორიაზეც“. მართლაც ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე, გენუელები ჩემპიონთა ლიგის ზონაში იქნებოდნენ. მაშინ, როდესაც მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში „იუვენტუსი“, „ნაპოლი“ და „პალერმო“ იყვნენ ჩართულნი, „სამპამ“ გამოიდო თავი და სამივეს გადაასწრო. გენუელები რომშიც მოსაგებად ჩადიან, თუმცა კარგად ესმით, ეს ურთულესი იქნება.

**ლუიჯი დელ ნერი** 4-4-2 ტაქტიკას აირჩევს და სავარაუდოდ, გუნდს კონტრშეტევებზე ათამაშებს. **ანტონიო კასანო** უკან ჩამოიწევს და შეეცდება, სიღრმიდან დაიწყოს იერიშები. **ჯამპაოლო პაცინი** წინა ხაზზე გაირჯება, **სტეფანო გუბერტი** კი შემტევი ნახევარმცველის როლს იკისრებს. დელ ნერის თქმით, მისი გუნდი მხოლოდ სამი ქულის მოსაპოვებლად ჩადის დედაქალაქში:

*„ჩვენი მიზანი გამარჯვებაა და მჯერა, რომ ამის ძალა შეგვწევს. მეტოქეს სივრცეები უნდა შევუზღუდოთ და ბურთის კონტროლის საშუალება არ მივცეთ. გვაქვს კოზირი, რომელსაც აუცილებლად გამოვიყენებთ“.*

### სავარაუდო შემადგენლობები

**რომა:** ჟულიო სერჟიო - კასეტი, ჟუანი, ბურდისო, რიისე - პეროტა, პისარო, დე როსი - ტოტი - ვუჩინიჩი, ტონი.

**სამპდორია:** სტორარი - ძაური, გასტალდელო, ლუკინი, ციგლერი - სემიოლი, პალომბო, პოლი, გუბერტი - კასანო, პაცინი.

რთული გამოცდის ჩაბარება მოუწევს „სამპდორიას“ ერთ-ერთ მთავარ კონკურენტ „პალერმოს“. სიცილიელები საკუთარ მოედანზე „მილანს“ სტუმრობენ. მართალია, „როსონერი“ ვერ ბრწყინავს, მაგრამ მთლად ისეც არაა საქმე, რომ მასთან უეჭველი სამი ქულა დაგეგმო. ასე რომ, **დელიო როსის** შეგირდებს დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევთ.

„გაძეტა დელო სპორტი“ მოულოდნელ ცნობას გვაწვდის: **ედისონ კავანი** სათადარიგოთა შორის იქნება, მის ადგილს კი **აბელ ერნანდესი** დაიკავებს. ძირითადში იქნება **ფაბრიციო მიკოლი,** ისევე როგორც **ხავიერ პასტორე.** დელიო როსის თქმით, მისი გუნდი შემტევ ფეხბურთს ითამაშებს, რადგან მიზანი სამი ქულის მოპოვებაა. სიცილიელებს იმედი აქვთ, რომ „სამპდორია“ რომში წააგებს, ასეთ შემთხვევაში კი მეოთხე ადგილზე გადასვლის ჩინებული შანსი ეძლევათ.

აი, „მილანი“ რისთვის იბრძვის, რთული სათქმელია. ლომბარდიელებმა სკუდეტოს მოპოვების შანსი ხელიდან გასულ ტურში გაუშვეს, მესამე პოზიციის დაკარგვის საფრთხის წინაშე კი ჯერჯერობით არ დგანან. ასეთ დროს, ხშირად ამბობენ - დარჩენილი შეხვედრები მაღალ დონეზე უნდა ჩავატაროთ, რათა სეზონი მაჟორულ ნოტაზე დავასრულოთო. „როსონერის“ ფეხბურთელები ალბათ უკვე საზაფხულო შესვენებაზე ფიქრობენ - იმათ ვგულისხმობთ, ვისაც მუნდიალზე არ მოუწევს ასპარეზობა. ისე კი, **ლეონარდოს** საკმაოდ სერიოზული დანაკლისი აქვს. სამი ფეხბურთელი დისკვალიფიცირებულია: **დანიელე ბონერა, მასიმო ამბროზინი** და **მარკო ბორიელო.** შეტევის წინა ხაზზე **კლაას იან ჰუნტელაარს** ვიხილავთ, ვისაც **ამანტინო მანსინი** და **რონალდინიო** მიეხმარებიან. საინტერესო ექსპერიმენტს ველოდებით უკანა ხაზში, ცენტრალური მცველის ფუნქციები **ტიაგო სილვასთან** ერთად **მასიმო ოდომ** უნდა შეასრულოს. **კახა კალაძე** სათადარიგოებშიც კი არ მოიაზრება.

### სავარაუდო შემადგენლობები

**პალერმო:** სირიგუ - კასანი, კიაერი, ბოვო, ბალცარეტი - მილიაჩო, ლივერანი, ნოჩერინო - პასტორე - მიკოლი, ერნანდესი.

**მილანი:** დიდა - აბატე, ტიაგო სილვა, ოდო, ანტონინი - ფლამინი, პირლო, ზეედორფი - მანსინი, რონალდინიო - ჰუნტელაარი.

„იუვენტუსს“ ერთ-ერთი ბოლო შანსი აქვს, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურს ჩაებლაუჭოს. კონკურენტებს რომ რთული მატჩები აქვთ გასამართი, ზემოთაც ვთქვით. შესაბამისად, თუ ტურინელებმა „ბარი“ მაინც მოინელეს, დიდია შანსი, მიზნამდე მანძილი დაიმოკლონ.

**ალბერტო ძაკერონი** ორი ფორვარდით შეუტევს და **ალესანდრო დელ პიეროს, ვინჩენცო იაკვინტას** შეუწყვილებს. ძნელი სათქმელია, რა კონდიციაშია ვინჩენცო, მაგრამ არც **ამაური** რომ არ უქნია ღმერთს, არჩევანი ალბათ მაინც მასზე შეჩერდება. რაც შეეხება **ტრეზეგეს**, გაგიკვირდებათ და, ტრავმირებულია. აქვე ვთქვათ დელ პიეროს შესახებ, რომელზეც ცნობები გავრცელდა, ზაფხულში ამერიკას მიაშურებს და კარიერას MLS-ში გააგრძელებსო. „პინტურიკიომ“ შტატებში გამგზავრების ამბავი დაადასტურა, მაგრამ იქვე დასძინა: ამერიკაში კარგად დავისვენებ და კვლავ ტურინში დავბრუნდები, რათა ახალი სეზონისთვის მოვემზადოო. ძაკს **ფაბიო კანავაროს** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა, რომელსაც ტრავმა მიუღია. დანარჩენები მწყობრში არიან და ვნახოთ, ამჯერად მაინც თუ გაახარებენ გულშემატკივრებს.

### სავარაუდო შემადგენლობები

**იუვენტუსი:** ბუფონი - ძებინა, ლეგროტალიე, კიელინი, გროსო - კამორანეზი, პოულსენი, მარკიზიო - დიეგო - დელ პიერო, იაკუინტა.

**ბარი:** ჟილე - ბელმონტე, სტელინი, ბონუჩი, პარიზი - ალვარესი, დონატი, ალმირონი, კომანი - ბარეტო, კასტილო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რომა | 34 | 21 | 8 | 5 | 61-37 | 71 |
| 2. ინტერი | 34 | 20 | 10 | 4 | 65-30 | 70 |
| 3. მილანი | 34 | 18 | 10 | 6 | 55-35 | 64 |
| 4. სამპდორია | 34 | 16 | 9 | 9 | 43-39 | 57 |
| 5. პალერმო | 34 | 15 | 10 | 9 | 51-43 | 55 |
| 6. ნაპოლი | 34 | 13 | 13 | 8 | 46-41 | 52 |
| 7. იუვენტუსი | 34 | 15 | 6 | 13 | 49-49 | 51 |
| 8. ჯენოა | 34 | 13 | 9 | 12 | 55-55 | 48 |
| 9. ფიორენტინა | 34 | 13 | 7 | 14 | 47-41 | 46 |
| 10. პარმა | 34 | 12 | 10 | 12 | 37-44 | 46 |
| 11. ბარი | 34 | 11 | 10 | 13 | 41-43 | 43 |
| 12. კალიარი | 34 | 11 | 8 | 15 | 52-53 | 41 |
| 13. კიევო | 34 | 11 | 8 | 15 | 31-34 | 41 |
| 14. კატანია | 34 | 9 | 13 | 12 | 40-40 | 40 |
| 15. უდინეზე | 34 | 10 | 9 | 15 | 44-50 | 39 |
| 16. ლაციო | 34 | 8 | 13 | 13 | 32-38 | 37 |
| 17. ბოლონია | 34 | 9 | 9 | 16 | 37-51 | 36 |
| 18. ატალანტა | 34 | 9 | 7 | 18 | 34-45 | 34 |
| 19. სიენა | 34 | 7 | 9 | 18 | 37-59 | 30 |
| 20. ლივორნო | 34 | 6 | 8 | 20 | 22-52 | 26 |



ჟოზე მოურინიოსა და კლაუდიო რანიერის გადამწყვეტი მომენტი უდგათ




იუვენტუსის მომავალი სპორტული დირექტორი ჯუზეპე მაროტა იქნება

იუვენტუსი

# ბენიტესი? მომავალ კვირას...

## რაფას ტურინში ტორესი, მასკერანო და კუიტიც მიჰყავსო. გენუიდან ახალი სპორტული დირექტორიც მოდის

„იუვენტუსში“ რევოლუციური ცვლილებები რომ იგეგმება, ამაზე უკვე ვწერდით და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ტრანსფორმაციას წყალი არ გაუვა. ტურინში იცვლება თითქმის ყველაფერი - სპორტული დირექტორით დაწყებული, მოთამაშეებით დამთავრებული.

ბუნებრივია, საკვანძო საკითხი მთავარი მწვრთნელია. **ალბერტო ძაკერონი** ამ პოსტზე რომ ვერ დარჩება, დღესავით ნათელია. „გაძეტა დელო სპორტის“ მტკიცებით, **რაფა ბენიტესის** დანიშვნა ფაქტობრივად გადაწყვეტილია. როგორც პოპულარული გამოცემა წერს, მომავალ კვირას „ბებერი ქალბატონის“ პრეზიდენტი **ჟან-კლოდ ბლანი** ლივერპულში ჩავა და ესპანელ სპეციალისტთან წინასწარ შეთანხმებას გააფორმებს. კულუარებიდან გაჟონა ინფორმაციამ, რომ ბენიტესის ტურინულ კონტრაქტს ძალა 2014 წლის 30 ივნისამდე ექნება, ხოლო რაც შეეხება ანაზღაურებას, ვარაუდობენ, რომ ჯერაც „ლივერპულის“ თავკაცს წელიწადში დაახლოებით 4 მილიონ ევროს გადაუხდიან...

შემდეგი საკითხი მოთამაშეებია. იმავე „გაძეტას“ თუ დავუჯერებთ, რაფა „ლივერპულიდან“ **დირკ კუიტს, ხავიერ მასკერონასა** და ტურინელ (და არა მარტო) ტიფოზთა ოცნებად ქცეულ **ფერნანდო ტორესს** წამოიყვანს. „წითლებს“ 300 მილიონ გირვანქამდე აქვთ ვალი, რომლის ნაწილობრივ დაფარვას წამყვანი მოთამაშეების გაყიდვით აპირებენ. თუმცა ტორესი მარტო „იუვენტუსს“ როდი სურს - სულ ახალი ამბავია (ამავე ნომერში წაიკითხავდით), რომ **რობერტო მანჩინის** „ელ ნინიო“ „მანჩესტერ სიტისთვის“ უნდა...

დაბოლოს, ახალი სპორტული დირექტორი (**ალესიო სეკოს** ხომ დიდი ხანია წყალი აქვს შეყენებული). დიდი ალბათობით, ეს იქნება **ჯუზეპე (ბეპე) მაროტა**, რომელიც ამჟამად „სამპდორიაში“ მუშაობს. გენუელთა პრეზიდენტმა **რიკარდო გარონემ** წარმატებულ ჩინოსანს მწვანე შუქი აუნთო. გუშინვე, მაროტას (თითქოს უკვე „იუვეს“ სპორტული დირექტორი იყოს) ჟურნალისტებმა ჰკითხეს - ბენიტესზე რა აზრის ხართ? მაროტამაც ლაკონურად უპასუხა - მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტიაო. ყასიდადაც არ გაჰკვირვებია, ბენიტესთან მე რა შუაში ვარო?!.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია | ბუნდესლიგა. XXXII ტური

# შეაჩერებს ჰაინკესი ვარდნას?

| | |
|---|---|
| **გუშინ** | |
| ბოხუმი-შტუტგარტი | 0:2 |
| **დღეს** | |
| ბორუსია (მ)-ბაიერნი | 17:30 |
| ნიურნბერგი-ბორუსია (დ) | 17:30 |
| ჰერტა-შალკე | 17:30 |
| ლევერკუზენი-ჰანოვერი | 17:30 |
| მაინცი-აინტრახტი | 17:30 |
| ვერდერი-კიოლნი | 20:30 |
| **ხვალ** | |
| ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი | 17:30 |
| ფრაიბურგი-ვოლფსბურგი | 19:30 |

სამი ტურიც და, ბუნდესლიგა 2009/10-იც ისტორიის კუთვნილება გახდება. კარგი ის არის, რომ სეზონის დასრულებამდე სამი ტურით ადრე, გარკვეული არაფერია. დაძაბული ვითარებაა როგორც ჩემპიონობისთვის, ისე ჩემპიონთა ლიგის საგზურებისთვის, ევროპის ლიგის საგზურებისთვის და გადარჩენისთვის ბრძოლაში. „სარდაფში" ერთდროულად ხუთი კლუბი იბრძვის იმისათვის, რომ მომავალ სეზონშიც ელიტაში იასპარეზოს. ერთადერთი, რაც ამ ტურში შეიძლება გაირკვეს, ბერლინის „ჰერტას" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებაა.

გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი, მიუნხენის „ბაიერნი" ისტორიულ მეტოქეს, მიონხენგლადბახის „ბორუსიას" სტუმრობს, რომლისთვისაც დარჩენილი სამი მატჩი მხოლოდ ფორმალობაა. „გლადბახს" ელიტაში ადგილის შენარჩუნება ფაქტობრივად განაღდებული აქვს და ვერც რომელიმე ევროტურნირის საგზურს წაეპოტინება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიონხენგლადბახელები რეკორდმაისტერს რამეს დაუთმობენ. „გლადბახისთვის" „ბაიერნი" ისტორიული მეტოქეა და ამ კლუბისთვის უდიდესი პრესტიჟია ის, რომ ჩემპიონობისთვის მებრძოლ „ბაიერნს" სამი ქულა არ გაატანოს. მიონხენგლადბახელები, რომლებსაც დღეს დისკვალიფიცირებული **მატმურის** გარეშე მოუწევთ ფონს გასვლა, იმით სპეკულირებენ, რომ „ბაიერნმა" შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის პირველი მატჩი ითამაშა (1:0 „ლიონთან"), ხოლო მომავალ კვირაში კი, „სტად ჟერლანზე" საპასუხო შეხვედრა ელის. მაგრამ „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** დამაჯერებლად ამბობს, ამ ეტაპზე „ლიონთან" დაპირისპირებაზე ალარ ვფიქრობთ და მხოლოდ გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლაზე ვართ კონცენტრირებულები, შესაბამისად, მიონხენგლადბახელები მშვიდად აბსოლუტურად ტყუილად არიანო. ვან გაალი მართალია: „ბაიერნი" უახლოეს მდევარ „შალკეს" მხოლოდ ორი ქულით უსწრებს და წაფორხილების უფლება არ აქვს, თორემ „შალკე" მზადაა, რეკორდმაისტერს გადაასწროს და მერე, გელზენკირხენული კლუბის პირველი ადგილიდან ჩამოგდება ძალიან ძნელი იქნება.

მაგრამ აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ „შალკეს" იოლი თამაში ნამდვილად არ ელის. **ფელიქს მაგათის** გუნდი „ჰერტას" ბერლინში სტუმრობს. ეს მატჩი კი დედაქალაქური კლუბისთვის გადარჩენის მართლა უკანასკნელი შანსია. თუ „ჰერტამ" დღესაც ვერ მოიგო, პირველ ბუნდესლიგას უნდა დაემშვიდობოს. ყველაზე პარადოქსული ის არის, რომ „ჰერტას" საკუთარ მოედანზე პირველი ტურის შემდეგ (!) ალარ მოუგია. ბერლინელებმა სეზონის სტარტზე, საკუთარ „ოლიმპიაშტადიონზე" „ჰანოვერი" 1:0 დაამარცხეს და საკუთარი ქომაგების თვალწინ მას მერე ერთი თამაშიც კი არ მოუგიათ. და დღეს ბერლინელთა ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას. თუ „ჰერტა" „შალკეს" ვერ დაამარცხებს, ხოლო კონკურენტები კი ქულებს მოიპოვებენ, **ლევან კობიაშვილის** გუნდი ამ უქმეებზევე გამოეთხოვება ბუნდესლიგას. „შალკეს" თავკაცი **ფელიქს მაგათი** ამბობს, რომ დარჩენილი სამივე თამაშის მოგება უნდა და რომ მხოლოდ გერმანიის ჩემპიონობა დააკმაყოფილებს. ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ კობიაშვილი დღეს ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ ითამაშებს და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, **ფელიქს მაგათს** დაუმტკიცოს, რომ მან კობი ნაადრევად ჩამოწერა...

გადარჩენისთვის ბრძოლა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლის წინააღმდეგ – ეს „ნიურნბერგისა" და დორტმუნდის „ბორუსიას" დაპირისპირების აზრია. „ნიურნბერგმა" წინა ტურში კონკურენტ „ფრაიბურგთან" 1:2 წააგო და შავ ზონაში მხოლოდ იმიტომ არ არის, რომ ბურთების შეფარდება კონკურენტებზე უკეთესი აქვს. ახლა კი, „ნიურნბერგს" „დორტმუნდი" სტუმრობს – გუნდი, რომელსაც „ჰოფენჰაიმთან" 1:1-ის შემდეგ, გულშემატკივრებისთვის ბოდიშის მოხდა სურს და რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმის იმედი, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს. **იურგენ კლოპის** შეგირდები „ჰოფენჰაიმს" უგებდნენ, მაგრამ ბოლო წუთზე გოლი გაუშვეს და ამით მესამე ადგილზე ალზევების შანსი დაკარგეს.

ერთი კვირის წინ მესამე ადგილიდან „ლევერკუზენი" ჩამოქვეითდა. „ფარმაცევტები" მეორე ტურიდან მოყოლებული სამეულში იყვნენ, სეზონის მიწურულს კი სრული კოლაფსის საფრთხე ემუქრებათ. **იუპ ჰაინკესის** გუნდი „შტუტგარტთან" (1:2) დამარცხდა და დღეს დისკვალიფიცირებული **შვააბისა** და **ბარნეტას** გარეშე, გადარჩენისთვის მებრძოლ „ჰანოვერს" სტუმრობს. ჰაინკესის საკადრო პრობლემები ამით არ მთავრდება – „დონ იუპი" დღეს ვერც მეკარე **რენე ადლერს** დაიხმარს, რომელიც დაშავდა. თუმცა ჰაინკესს ის ფაქტი დაამშვიდებს, რომ სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს „ჰანოვერის" თავკაც **მირკო სლომკასაც**, რომლის გუნდმა წინა ტურში „ბაიერნთან", არც მეტი, არც ნაკლები, 0:7 წააგო. ფლეიმეიქერ **ელსონისა** და გოლეადორ **არუნა კონეს** შემდეგ, „წითლებს" მეორე წამყვანი ფორვარდი, **ია კონანიც** დაუშავდათ, **კონსტანტ ჯაპკა** კი დისკვალიფიცირებულია.

„მაინცისა" და ფრანკფურტის „აინტრახტის" დაპირისპირება კი სამკვდრო-სასიცოცხლო დერბია. მერე რა, რომ ამ გუნდებს სატურნირო ცხრილში ალარაფერი ადარდებთ – ფაქტია, რომ დღეს მოედანზე ერთმანეთს მტკაველსაც კი არ დაუთმობენ. პირველ წრეში ფრანკფურტულმა კლუბმა „მაინცი" 2:0 დაამარცხა და „მაინცი" რევანშის სურვილითაა შეპყრობილი.

საღამოს მატჩი კი ბრემენში უნდა გაიმართოს: მესამე ადგილზე ალზევებული და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების სურვილით ალტყინებული „ვერდერი" უმოტივაციოდ დარჩენილ „კიოლნს" მასპინძლობს. მაგრამ „კიოლნის" უმოტივაციობა არ ნიშნავს იმას, რომ „თხები" „მუსიკოსებს" რამეს დაუთმობენ. მეტიც: „კიოლნი" მიმდინარე სეზონში სტუმრად ძალიან კარგად გამოიყურება (6 მოგება, 5 ფრე, 4 მარცხი) და სხვათა შორის, გასვლით მატჩებში უჩვეულოდ შემტევ ფეხბურთსაც თამაშობს. „ვერდერმა" წინა ტურში „ვოლფსბურგიდან" წაიღო სამი ქულა და მესამე ადგილზე ალზევდა, რომლის დათმობა **თომას შააფის** შეგირდებს არაფრისდიდებით არ უნდათ.

ხვალ პირველი მატჩი ორი გაჭირვებულის დაპირისპირებაა: „ჰოფენჰაიმი", რომელიც, მიუხედავად დორტმუნდში მოპოვებული ქულისა, კვლავ მეორე წრის ერთ-ერთ ყველაზე საშინელ გუნდად რჩება, მასპინძლობს ევროპის ლიგის ნახევარფინალისტ „ჰამბურგს", რომელსაც ბუნდესლიგაში აბსოლუტურად ყველა მიზნის ბრძოლაში მარცხის საფრთხე ემუქრება. ჩრდილოგერმანული კლუბის თავკაც **ბრუნო ლაბადიას** დღეებს უთვლიან, რადგან „ჰამბურგმა" ევროპის ლიგის ნახევარფინალში „ფულჰემთან" პირველი მატჩი ვერ მოიგო (0:0) და ფინალში გასვლა უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. მიუხედავად ამისა, შეფები ლაბადიას საპასუხო მატჩამდე აცდიან. „ჰამბურგს" დისკვალიფიცირებული **გერერო** დააკლდება, „ჰოფენჰაიმს" კი **იბერტსბერგერი** (იმავე მიზეზით).

ტურს „ფრაიბურგისა" და „ვოლფსბურგის" დაპირისპირება დახურავს. ბრაისგაუელებმა წინა ტურში სიცოცხლის ნიშანწყალი გამოამჟღავნეს, მოუგეს რა კონკურენტ „ნიურნბერგს" 2:1, ხოლო გერმანიის მოქმედი ჩემპიონი კი „ვერდერთან" შერცხვა (2:4). აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ვოლფსბურგი" სტუმრად გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვიდრე სახლში. თვითონ განსაჯეთ: „მგლებმა" მიმდინარე სეზონში, გასვლაზე 15 მატჩი ჩაატარეს და მხოლოდ სამში დამარცხდნენ (7/5/3). ამრიგად, „ვოლფსბურგს" გასვლით შეხვედრებში 26 ქულა აქვს მოპოვებული. სულ კი ამ კლუბის აქტივში 46 ქულაა.


იუპ ჰაინკესი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 31 | 18 | 9 | 4 | 65-28 | 63 |
| 2. შალკე | 31 | 18 | 7 | 6 | 52-29 | 61 |
| 3. ვერდერი | 31 | 15 | 9 | 7 | 67-39 | 54 |
| 4. ლევერკუზენი | 31 | 14 | 12 | 5 | 60-36 | 54 |
| 5. ბორუსია (დ) | 31 | 15 | 8 | 8 | 49-36 | 53 |
| 6. შტუტგარტი | 32 | 15 | 8 | 9 | 48-38 | 53 |
| 7. ჰამბურგი | 31 | 12 | 12 | 7 | 50-35 | 48 |
| 8. ვოლფსბურგი | 31 | 13 | 7 | 11 | 60-55 | 46 |
| 9. აინტრახტი | 31 | 12 | 9 | 10 | 42-46 | 45 |
| 10. მაინცი | 31 | 12 | 8 | 11 | 31-37 | 44 |
| 11. კიოლნი | 31 | 9 | 10 | 12 | 31-38 | 37 |
| 12. ბორუსია (მ) | 31 | 10 | 7 | 14 | 40-52 | 37 |
| 13. ჰოფენჰაიმი | 31 | 9 | 8 | 14 | 36-39 | 35 |
| 14. ნიურნბერგი | 31 | 7 | 7 | 17 | 29-51 | 28 |
| 15. ბოხუმი | 32 | 6 | 10 | 16 | 32-58 | 28 |
| 16. ფრაიბურგი | 31 | 7 | 7 | 17 | 29-56 | 28 |
| 17. ჰანოვერი | 31 | 7 | 6 | 18 | 34-63 | 27 |
| 18. ჰერტა | 31 | 5 | 8 | 18 | 32-51 | 23 |

პორტრეტი


მიხაელი და სიმონე

# 20 ფაქტი მიხაელ ბალაქის შესახებ

## გიორლიტცელ ბავშვს ვერდერის ქვეშაგებში ეძინა...

გერმანიის ნაკრებს ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ კითხვაზე, თუ ვინ არის ბუნდესგუნდის სუპერვარსკვლავი, ფეხბურთის ნებისმიერი გულშემატკივარი დაუფიქრებლად გიპასუხებთ: **მიხაელ ბალაკი.** გერმანიის ნაკრების 33 წლის კაპიტანმა გამოცემა „კიკერს" ამ კვირაში ძალიან საინტერესო ინტერვიუ მისცა, სადაც მან ბევრი ისეთი დეტალი გაამხილა, რაც აქამდე არავინ იცოდა.

იცოდით, რომ გიორლიტცში დაბადებული ბალაკი ბავშვობაში ბრემენის „ვერდერის" ფანი იყო? მიხაელი ამბობს, რომ პატარაობისას „ვერდერის" ქვეშაგებში ეძინა! დღეს მიხაელი გერმანიაში და არა მარტო გერმანიაში, ყველასათვის მისაბაძი მაგალითია. ბალაკი მეუღლესთან და სამ ვაჟთან ერთად ინგლისში ცხოვრობს. ის ლონდონის „ჩელსის" ფეხბურთელია და ბევრი ფულიც აქვს, მაგრამ ფული მისთვის მთავარი არ არის. *„ადამიანისთვის ყველაზე მთავარი თავისუფლებაა. ყველაზე დიდი ფუფუნებაა, იყო თავისუფალი შენს ოჯახთან ერთად,"* - ამბობს ბუნდესკაპიტანი.

მიხაელ ბალაკის კარიერა მოკრძალებულ კლუბ „ხემნიტცში" დაიწყო, საიდანაც მან „კაიზერსლაუტერნს" მიაშურა. „ლაუტერნში" მას ლეგენდარული **ოტო რეჰაგელი** წვრთნიდა, რომლის ხელშიც ბალაკმა და კომპანიამ პირველი ბუნდესლიგის საგზური მოიპოვეს და პირველივე სეზონში გერმანიის ჩემპიონები გახდნენ. „კაიზერსლაუტერნის" მერე იყო „ლევერკუზენი", მიუნხენის „ბაიერნი" და ახლა „ჩელსი".

თქვენ წინაშეა 20 საინტერესო ფაქტი მიხაელ ბალაკის შესახებ:

1. პირველი ჯიბის ფული მიხაელ ბალაკმა ბოთლების შეგროვებით გამოიმუშავა.
2. მიხაელი ბავშვობაში ბრემენის „ვერდერს" ქომაგობდა და ამ კლუბის ფერებითა და ლოგოებით დამშვენებულ ქვეშაგებში ეძინა.
3. 1989 წელს, როცა ბერლინის კედელი დაეცა, მიხაელი ჯერ კიდევ 13 წლის ბავშვი იყო და გერმანიის დედაქალაქში მიმდინარე პროცესებს ტელევიზორში უყურებდა.
4. ფეხბურთში რომ არაფერი გამოსვლოდა, მიხაელ ბალაკი უმაღლესში ისწავლიდა და სავარაუდოდ, არქიტექტორი გამოვიდოდა.
5. 16 წლის იყო, როცა მუხლზე ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს. ექიმს მიხაელისთვის უთქვამს, სამწუხაროდ, ფეხბურთელი ველარ გახდები, შენი სპორტსმენობა დამთავრებულიაო.
6. პატარაობისას მიხაელის საყვარელი ფეხბურთელი **რიკო შტაინმანი** იყო, რომელიც თავიდან „კარლ-მარქსშტადტში" თამაშობდა, მერე კი „კიოლნში" გადავიდა.
7. მიხაელმა მეუღლე **სიმონეზე** 2008 წლის 7 ივლისს იქორწინა.
8. მიხაელ ბალაკს და სიმონეს სამი ვაჟი ჰყავთ: **ლუისი, ემილიო და ხორდი.**
9. მიხაელი თავის თავს ათეისტს არ უწოდებს, მაგრამ ამბობს, რომ არასდროს ულოცია.
10. „ჩელსისა" და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი პოპ-მუსიკას, „არ ენ ბის" და სოულს უსმენს.
11. ფეხბურთის გარდა, ძალიან უყვარს გოლფი. მისი ჰანდიკაპია 22.
12. ბალაკის საყვარელი მხატვრული ფილმია „ნათლიმამა", პირველი, მეორე და მესამე სერიები.
13. კერძებიდან უპირატესობას ანიჭებს „სუშის".
14. მიხაელ ბალაკისთვის მთავარი ფუფუნება თავისუფლებაა.
15. მიხაელი 33 წლისაა და აქტიური სპორტული კარიერის განმავლობაში ბევრი სახელოვანი მწვრთნელის ხელში გამოიარა. მისთვის ყველაზე შთამბეჭდავი სპეციალისტი **კრისტოფ დაუმია,** რომელიც ბალაკს „ლევერკუზენში" წვრთნიდა.
16. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, ბალაკი ბავშვობის ოცნებას აისრულებს და ე.წ. „თოვლ-მობილით" ფინეთსა და ნორვეგიაში იმოგზაურებს.
17. *„ჩემი მიზანი და სურვილი? მინდა, რომ 30 წლის შემდეგ თქვან, მიხაელ ბალაკი კარგი ფეხბურთელი იყოო. ეს სავსებით საკმარისი იქნება იმისთვის, რომ მივხვდე: ტყუილად არ მიცხოვრია!"* - ამბობს მიხაელი.
18. რომელიმე მატჩის გადათამაშება რომ შეეძლოს, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალს გადაათამაშებდა, რომელშიც გერმანიამ ბრაზილიასთან 0:2 წააგო.
19. ბალაკმა ხემნიტცის სპორტული გიმნაზია დაამთავრა. საუკეთესო ნიშნები შემდეგ საგნებში ჰქონდა: სპორტი, გერმანული ენა და ისტორია.
20. გერმანიის ნაკრების კაპიტანი 1976 წლის 26 სექტემბერს, პატარა ქალაქ გიორლიტცშია დაბადებული.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ზიძინა ზურაბაშვილი წარმოგიდგენთ

# იქ, ამერიკაში...

## ლიბერტადორესის თასი

# ჯგუფები დამთავრდა, პლეი ოფის გეშინოდეთ...

„კოპა ლიბერტადორესის“ ჯგუფური ეტაპი დასრულებულია. გუნდებმა საბოლოო პოზიციები დააფიქსირეს და სამერვედფინალოდ გაემზადნენ. შეგახსენებთ, რომ წლევანდელი გათამაშება უჩვეულოა. 8 ჯგუფის გამარჯვებულთან ერთად შემდეგ წრეში 6 საუკეთესო მეორეადგილოსანი გავიდა, იქ კი მათ შარშანდელი ტურნირის 2 მერვედფინალისტი, ღორის გრიპის ეპიდემიის გამო დაზარალებული მექსიკური კლუბები - „სან ლუისი“ და „გვადალახარა“ დაემატებიან.

### I ჯგუფი

*კორინთიანსი (ბრაზილია), რასინგი (ურუგვაი), ინდეპენდიენტე (კოლუმბია), სერო პორტენიო (პარაგვაი)*

ამ ჯგუფის გამარჯვებული დიდი ხნის გარკვეული იყო, მეორე ადგილის მომავალ მფლობელს კი სასწაული თუ უშველიდა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად. საბოლოოდ, ზღაპარი არ შედგა! ურუგვაის „რასინგმა“ არათუ ასტრონომიული ანგარიშით, საერთოდ ვერ მოუგო ინტერესდაკარგულ „სერო პორტენიოს“ და ახლა საწუწუნოდ წლევანდელი რეგლამენტის უსამართლობა დარჩა.

**სერო პორტენიო-ინდეპენდიენტე 1:1** (რამირესი - პარდო), **კორინთიანსი-რასინგი 2:1** (ელიასი 2 - კაუტერუჩო), **რასინგი-სერო პორტენიო 2:1** (მირაბახესი, კაუტერუჩო - კასერესი), **ინდეპენდიენტე-კორინთიანსი 1:1** (ვალოესი - დენტინიო), **სერო პორტენიო-კორინთიანსი 1:1** (რონალდო), **ინდეპენდიენტე-რასინგი 0:0 რასინგი-ინდეპენდიენტე 1:0** (ოსტოლასა), **კორინთიანსიი-სერო პორტენიო 2:1** (რონალდო, ანდერსონი - სანტოსი), **ინდეპენდიენტე-სერო პორტენიო 1:0** (არიასი), **რასინგი-კორინთიანსიი 0:2** (დენტინიო, ელიასი), **სერო პორტენიო-რასინგი 0:0, კორინთიანსიი-ინდეპენდიენტე 1:0** (ვალენსია - ავტ.).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კორინთიანსი | 6 | 5 | 1 | 0 | 9-3 | 16 |
| რასინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 4-5 | 8 |
| ინდეპენდიენტე | 6 | 1 | 3 | 2 | 3-4 | 6 |
| სერო პორტენიო | 6 | 0 | 2 | 3 | 3-7 | 2 |

### II ჯგუფი

*სან პაულუ (ბრაზილია), ონსე კალდასი (კოლუმბია), მონტერეი (მექსიკა), ნასიონალი (პარაგვაი)*

როგორც მოსალოდნელი იყო, 21 აპრილს სან პაულუს „მორუმბიზე“ მასპინძლებმა მოახერხეს დასახული ამოცანის შესრულება, **ფერნანდინიოს** გოლით აჯობეს კოლუმბიურ „ონსე კალდასს“, ცხრილში ადგილები გაუცვალეს და 1/8 ფინალში პირველი პოზიციიდან გავიდნენ. დიდად დამწუხრებული არც კოლუმბიელები დარჩენილან, მათ საგზური წინა ტურში ჰქონდათ მოპოვებული.

კარი გაიჯახუნა მაჩანჩალა „ნასიონალმაც“, რომელმაც შინ აჯობა კლასით მაღალ „მონტერეის“. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მექსიკის ჩემპიონატის ლიდერმა პარაგვაიში ტიტულარები დაასვენა.

**ნასიონალი-ონსე კალდასი 0:2** (კასტრილიონი, სანტოია), **სან პაულუ-მონტერეი 2:0** (ვაშინგტონი 2), **მონტერეი-ნასიონალი 2:1** (სანტანა, მარტინესი - მირანდა), **ონსე კალდასი-სან პაულუ 2:1** (ურიბე, მორენო - როჟერიო სენი), **ონსე კალდასი-მონტერეი 1:1** (ვალენსია - მორალესი), **ნასიონალი-სან პაულუ 0:2** (ვაშინგტონი 2), **მონტერეი-ონსე კალდასი 2:2** (მარტინესი, კარდოსო - მორენო, კასტილიონი), **სან პაულუ-ნასიონალი 3:0** (დაგობერტო, ლეო ლიმა, ვაშინგტონი) **მონტერეი-სან პაულუ 0:0, ონსე კალდასი-ნასიონალი 1:0** (ორტისი), **ნასიონალი-მონტერეი 2:0** (პანიაგუა, ბელტრანი), **სან პაულუ-ონსე კალდასი** (ფერნანდინიო).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 6 | 4 | 1 | 1 | 9-2 | 13 |
| ონსე კალდასი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-5 | 11 |
| მონტერეი | 6 | 1 | 3 | 2 | 5-8 | 6 |
| ნასიონალი | 6 | 1 | 0 | 5 | 3-10 | 3 |



დავიდის მიერ მატჩის დასკვნით ნაწილში გატანილმა გოლმა ფლამენგო მერვედფინალში გაიყვანა

### III ჯგუფი

*ესტუდიანტესი (არგენტინა), ალიანსა (პერუ), ხუან აურიხი (პერუ), ბოლივარი (ბოლივია)*

მართალია „ესტუდიანტესმა“ დაამარცხა „ალიანსა“ და ჯგუფში პირველობა მოიპოვა, მაგრამ პერუელებთან სტუმრად 1:4 წაგებისთვის სრულფასოვანი რევანში ვერ აიღო. უფრო მეტიც, „ესტადიო ლუის მეისნერზე“ შეკრებილი 30 000 ინჩასი განბილებული დარჩებოდა ურუგვაელ მსაჯ **რობერტო სილვერას** რომ ჯერ თამაშისთვის 3 წუთი არ დაემატებინა, მერე ამათგან ბოლო წუთზე „ალიანსას“ კარში პენალტი არ დაენიშნა და ბოლოს **ხუან ვერონისთვის ჯორჯ ფორსაიტის** მიერ მოგერიებული ბურთისთვის დამატების უფლება არ მიეცა (დრო უკვე ამოწურული იყო). ასე რომ, ორივე კლუბი მერვედფინალშია.

**ბოლივარი-ალიანსა 1:3** (ფერეირა - ფერნანდესი, მონტანიო), **ესტუდიანტესი-ხუან აურიხი 5:1** (ბოსელი 3, რე, გონსალესი - ტეხადა), **ალიანსა-ესტუდიანტესი 4:1** (აგირე 3, ფერნანდესი - სოსა), **ხუან აურიხი-ბოლივარი 2:0** (სისილიანო, ტეხადა), **ბოლივარი-ესტუდიანტესი 0:0, ალიანსა-ხუან აურიხი 2:0** (ფერნადესი, ტრაგოდარა), **ხუან აურიხი-ალიანსა 4:2** (გუისასოლა, ტეხადა, მანკო, პედრო ასკოი - სანჩესი, ოველარი), **ესტუდიანტესი-ბოლივარი 2:0** (სოსა, ბოსელი), **ხუან აურიხი-ესტუდიანტესი 0:2** (გასტონ ფერნანდესი, ბრანია), **ალიანსა-ბოლივარი 1:0** (ფერნანდესი), **ბოლივარი-ხუან აურიხი 2:0** (ფლორესი, და როსა), **ესტუდიანტესი-ალიანსა 1:0** (ვერონი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესტუდიანტესი | 6 | 4 | 1 | 1 | 11-5 | 13 |
| ალიანსა | 6 | 4 | 0 | 2 | 12-7 | 12 |
| ხუან აურიხი | 6 | 2 | 0 | 4 | 7-13 | 6 |
| ბოლივარი | 6 | 1 | 1 | 4 | 3-8 | 4 |

### IV ჯგუფი

*ლიბერტადი (პარაგვაი), ლანუსი (არგენტინა), უნივერსიტარიო (პერუ), ბლუმინგი (ბოლივია)*

აქ გამარჯვებულის ვინაობა ცნობილი გახლდათ - „ლიბერტადი“. გასარკვევი ის იყო, ეყოფოდა თუ არა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად 10 ქულა მეორე ადგილზე გასულ „უნივერსიტარიოს“. პერუელთათვის სასიხარულოდ, თეორიულმა მეტოქეებმა მათ ვერ აჯობეს.

**ლანუსი-ლიბერტადი 0:2** (გამარა, ველასკესი), **ბლუმინგი-უნივერსიტარიო 1:2** (გომესი - ორეხუელა, ესპინოსა), **ლიბერტადი-ბლუმინგი 4:0** (კასერესი, გამარა 2, აიალა), **უნივერსიტარიო-ლანუსი 2:0** (ალვა, ლაბარტე), **ბლუმინგი-ლანუსი 1:4** (ვიერა - ბლანკო, სალსედო, ლაგოსი 2), **უნივერსიტარიო-ლიბერტადი 0:0, ლიბერტადი-უნივერსიტარიო 1:1** (აიალა - რამირესი), **ლანუსი-ბლუმინგი 1:0** (სალსედო), **ლიბერტადი-ლანუსი 1:1** (რომანი - ველასკესი), **უნივერსიტარიო-ბლუმინგი 0:0, ბლუმინგი-ლიბერტადი 1:2** (ურტადო - რომანი, გამარა), **ლანუსი-უნივერსიტარიო 0:0.**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერტადი | 6 | 3 | 3 | 0 | 10-3 | 12 |
| უნივერსიტარიო | 6 | 2 | 4 | 0 | 5-2 | 10 |
| ლანუსი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-6 | 8 |
| ბლუმინგი | 6 | 0 | 1 | 5 | 3-13 | 1 |

### V ჯგუფი

*ინტერნასიონალი (ბრაზილია), სერო (ურუგვაი), დეპორტივო კიტო (ეკვადორი), ემელეკი (ეკვადორი)*

ბოლო ტურში „ინტერნასიონალმა“ გაამართლა ფავორიტის სტატუსი, 3 უპასუხო გოლი გაუტანა ეკვადორელ მეტოქეს, ამით ბურთების უარყოფითი ბალანსი დაუბევა, მეორე ადგილი ფორმალურად უქცია და ჯგუფში ჩატოვებით თვალნათლივ დაანახა, ვინ ვინ არის!

**სერო-დეპორტივო კიტო 2:0** (დადომო, მორა), **ინტერნასიონალი-ემელეკი 2:1** (ნეი, ალესანდრო - კიროსი), **ემელეკი-სერო 1:2** (პერესი - კაბალერო, დადომო), **დეპორტივო კიტო-ინტერნასიონალი 1:1** (მინდა - ჯულიანო), **სერო-ინტერნასიონალი 0:0, დეპორტივო კიტო-ემელეკი 1:0** (აროიო), **ინტერნასიონალი-სერო 2:0** (იბანიესი - ავტ., ალესანდრო), **ემელეკი-დეპორტივო კიტო 0:1** (ურტადო), **დეპორტივო კიტო-სერო 2:1** (მინა, ჩეკა - დადომო), **ემელეკი-ინტერნასიონალი 0:0, ინტერნასიონალი-დეპორტივო კიტო 3:0** (ანდრეზინიო, ბოლივარი, ჟულიანო), **სერო-ემელეკი 0:0.**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერნასიონ. | 6 | 3 | 3 | 0 | 8-2 | 12 |
| დეპორ. კიტო | 6 | 3 | 1 | 2 | 5-7 | 10 |
| სერო | 6 | 2 | 2 | 2 | 5-5 | 8 |
| ემელეკი | 6 | 0 | 2 | 4 | 2-6 | 2 |

### VI ჯგუფი

*ნასიონალი (ურუგვაი), ბანფილდი (არგენტინა), მორელია (მექსიკა), დეპორტივო კუენკა (ეკვადორი)*

როგორც ვვარაუდობდით, „ნასიონალმაც“ და „ბანფილდმაც“ დამაჯერებელი გამარჯვებები იზეიმეს და 1/8 ფინალში გავიდნენ. ჯგუფში პირველობა ურუგვაელებს დარჩათ. შიდა ჩემპიონატის ჩაგდების ფონზე („ნასიონალმა“ ჩემპიონობა პრინციპულ მეტოქე „პენიაროლს“ პრაქტიკულად უბრძოლველად დაუთმო და სადღეისოდ მხოლოდ მეოთხე პოზიციაზეა), თუნდაც უმოტივაციო მექსიკელთა დამარცხება და კოპას 1/8 ფინალის საგზურის გაფორმება, ინჩასების თვალში ერთგვარ რეაბილიტაციას ჰგავდა. საუკეთესონი კი კვლავ ვეტერანები **მარიო რეგეირო** და **ანხელ მორალესი** გახლდნენ. პირველმა დებიუტშივე გახსნა ანგარიში, არგენტინელმა დირიჟორმა კი აქტივს 2 საგოლე პასი დაუმატა.

„ესტადიო ფლორენსიო სოლაზე“ კი არგენტინის მოქმედმა ჩემპიონმა უშანსოდ დატოვა ეკვადორელი სტუმრები. მატჩის გმირად 27 წლის **რუბენ რამირესი** იქცა, რომელმაც ორი ზუსტი თავურით განაპირობა მასპინძელთა გამარჯვება, თითოც **ვალტერ ერვიტიმ** და მეკარე **კრისტიან ლუკეტიმ** დაამატეს. ამ უკანასკნელმა ურუგვაელი **სებასტიან ფერნანდესის** მიერ მოპოვებული პენალტი გაიტანა. წაგებულებს სანუგეშოდ ის დარჩათ, რომ თამაშის ულამაზესი გოლი მათი არგენტინელი ლეგიონერის, **გაბრიელ მენდესის** ანგარიშზე ჩაიწერა - 25 მეტრიდან დარტყმული ბურთი „ბანფილდის“ მარჯვენა ცხრიანში გაეხვია.

**ბანფილდი-მორელია 2:1** (როდრიგესი, ბატიონი - რეი), **ნასიონალი-დეპორტივო კუენკა 3:2** (რეგეირო 2, მორალესი - გრანდა, ესკალადა), **დეპორტივო კუენკა-ბანფილდი 1:4** (მენდესი - ერვიტი, ფერნანდესი 2, როდრიგესი), **მორელია-ნასიონალი 0:0, დეპორტივო კუენკა-მორელია 2:0** (მენდესი, ესკალადა), **ნასიონალი-ბანფილდი 2:2** (ვარელა, რეგეირო - როდრიგესი 2), **ბანფილდი-ნასიონალი 0:2** (კოატესი, გოდოი), **მორელია-დეპორტივო კუენკა 2:1** (ბორხეტი 2 - ლადინესი), **მორელია-ბანფილდი 1:1** (ბორხეტი - ლასო), **დეპორტივო კუენკა-ნასიონალი 0:0, ნასიონალი-მორელია 2:0** (რეგეირო, პერეირა), **ბანფილდი-დეპორტივო კუენკა 4:1** (რამირესი 2, ერვიტი, ლუკეტი - მენდესი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნასიონალი | 6 | 3 | 3 | 0 | 9-4 | 12 |
| ბანფილდი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-8 | 11 |
| მორელია | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 5 |
| დეპორ. კუენკა | 6 | 1 | 1 | 4 | 7-13 | 4 |

### VII ჯგუფი

*ველესი (არგენტინა), კრუზეირო (ბრაზილია), კოლო კოლო (ჩილე), დეპორტივო იტალია (ვენესუელა)*

ამ ჯგუფში ასპარეზობა წინა კვირაში დასრულდა და მეორე ეტაპის საგზურები მოლოდინისამებრ „ველეს სარსფილდსა“ და „კრუზეიროს“ დარჩათ.

**ველესი-კრუზეირო 2:0** (სილვა, მარტინესი), **კოლო კოლო-დეპორტივო იტალია 1:0** (პარედესი), **დეპორტივო იტალია-ველესი 0:1** (ლოპესი), **კრუზეირო-კოლო კოლო 4:1** (ტიაგო რიბეირუ, კლებერი 2, პედრო კენი - პარედესი), **დეპორტივო იტალია-კრუზეირო 2:2** (ბლანკო, მაკინტოში - კლებერი 2), **კოლო კოლო-ველესი 1:1** (პარედესი - სილვა), **კრუზეირო-დეპორტივო იტალია 2:0** (ფაბინიო, პედრო კენი), **ველესი-კოლო კოლო 2:1** (ლოპესი, სილვა - მირალესი), **კრუზეირო-ველესი 3:0** (ტიაგო რიბეირუ, კლებერი 2), **დეპორტივო იტალია-კოლო კოლო 2:3** (პანიგუტი, ბლანკო - ბოგადო, მირალესი 2), **კოლო კოლო-კრუზეირო 1:1** (მილარი - ტიაგო რიბეირუ), **ველესი-დეპორტივო იტალია 4:0** (საპატა, ლოპესი 2, პაპა).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ველესი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-5 | 13 |
| კრუზეირო | 6 | 3 | 2 | 1 | 12-6 | 11 |
| კოლო კოლო | 6 | 2 | 2 | 2 | 8-10 | 8 |
| დეპორ. იტალია | 6 | 0 | 1 | 5 | 4-13 | 1 |

### VIII ჯგუფი

*ფლამენგო (ბრაზილია), უნივერსიდად დე ჩილი (ჩილე), უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე), კარაკასი (ვენესუელა)*

„უნივერსიდად დე ჩილიმ“ პირველი ადგილი ჯერ კიდევ წინა ტურში გაინაღდა. თუმცა, მტერ-მეზობელთან პრინციპულ, მაგრამ არაფრისმომცემ პაექრობას სერიოზულად მიუდგა და უგოლო ფრით საბოლოოდ გადაუწურა „კათოლიკეებს“ შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედი.

არადა, პარალელურად მიმდინარე მატჩში მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ ერთხანს მერვედფინალში გასვლა ჩილეს ორ წარმომადგენელს შეეძლო.

„ფლამენგოს“ გასაჭირზე წინა მიმოხილვაშიც ვთქვით. ამბიციურმა ბრაზილიელებმა არათუ პირველობა, ჯგუფიდან გასვლაც საეჭვო გახადეს. ვენესუელელებთან „მარაკანაზე“ გამართულ შეხვედრაში ისინი ჯერ აგებდნენ, 76-ე წუთისთვის კი ტაბლოზე 2:2 ენთო. საკმარისი გახლდათ სანტიაგოში „უნივერსიდად კატოლიკას“ გოლი გაეტანა, რომ „ფლა“ მესამე პოზიციაზე ჩამოქვეითდებოდა...

თუმცა ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. **დავიდის** ზუსტმა დარტყმამ მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა და ჩილეურმა ჯახმა აზრი დაკარგა. ამჯერადაც უსახურად გამოიყურებოდნენ ბრაზილიელთა შეტევის ლიდერები **ადრიანო და ვაგნერ ლავი**, რომლებმაც თავიანთი შესაძლებლობების ნახევარიც ვერ აჩვენეს.

**უნივერსიდად დე ჩილი-კარაკასი 1:0** (ოლივერა), **ფლამენგო-უნივერსიდად კატოლიკა 2:0** (ლეო მოურა, ადრიანო), **კარაკასი-ფლამენგო 1:3** (კასტელინი - ვაგნერ ლავი 2, როდრიგო ალვიმი), **უნივერსიდად დე ჩილი-უნივერსიდად კატოლიკა 2:2** (რუბიო, სილვა - ოლივერა, პუჩი), **კარაკასი-უნივერსიდად კატოლიკა 0:0, უნივერსიდად დე ჩილი-ფლამენგო 2:1** (ვარგასი, სეიმური - როდრიგო ალვიმი), **უნივერსიდად კატოლიკა-კარაკასი 1:1** (მორალესი - ბუსტამანტე), **ფლამენგო-უნივერსიდად დე ჩილი 2:2** (მიხაელი, ლეო მოურა - მონტილიო, როდრიგესი), **კარაკასი-უნივერსიდად დე ჩილი 1:3** (გონსალესი - ვიქტორინო, ოლივერა, როდრიგესი), **უნივერსიდად კატოლიკა-ფლამენგო 2:0** (დიასი, სილვა), **უნივერსიდად დე ჩილი-უნივერსიდად კატოლიკა 0:0, ფლამენგო-კარაკასი 3:2** (რონალდო ანჟელიმი, მიხაელი, დავიდი - კასტელინი, გომესი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნ. დე ჩილი | 6 | 3 | 3 | 0 | 10-6 | 12 |
| ფლამენგო | 6 | 3 | 1 | 2 | 11-9 | 10 |
| უნ. კატოლიკა | 6 | 1 | 4 | 1 | 5-5 | 7 |
| კარაკასი | 6 | 0 | 2 | 4 | 5-10 | 2 |

### 1/8 ფინალი

კორინთიანსი-ფლამენგო
სან პაულუ-უნივერსიტარიო
ესტუდიანტესი-სან ლუისი
ლიბერტადი-ონსე კალდასი
ნასიონალი-კრუზეირო
ველეს სარსფილდი-გვადალახარა
უნივერსიდად დე ჩილი-ალიანსა
ინტერნასიონალი-ბანფილდი

*მატჩები 28 აპრილსა და 5 მაისს გაიმართება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

ევროპის ჩემპიონატი



ზაზა კედელაშვილისა და უგო ლეგრანის ორთაბრძოლა

# კვლავ უმედლოდ

ვენაში ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატის მეორე დღესაც უმედლოდ დავრჩით. არადა, ტურნირი კარგად დავიწყეთ, ტატამზე გასულმა ორივე ჩვენებურმა ბრინჯაოსთვისაც იჭიდავა, მაგრამ ორივე წმინდად დამარცხდა - **ზაზა კედელაშვილი** (73) ფრანგ **უგო ლეგრანდთან, ლევან ნიკლაური** (81) - ჰოლანდიელ **ხიიომ ელმონტთან**.

ევროპის სამგზის ჩემპიონი კედელაშვილი პირველ სეზონს ატარებს ახალ წონაში, ადაპტაციას კი მუდამ სჭირდება გარკვეული დრო. შეიძლება ითქვას, მან ეს მომენტი გადალახა - უამისოდ ვერც ნახევარფინალში გავიდოდა და ვერც მედლისთვის იჭიდავებდა. თითქოს ურიგოდაც არ გამოსულა და ნახევარფინალშიც დამსახურებულად გავიდა, ძლიერ მეტოქეებსაც მოუგო, მაგრამ მედლამდე ცოტა რალაც მაინც დააკლდა. შესაძლოა, ეს „ცოტა რალაც" სატურნირო პრაქტიკის ნაკლებობა იყოს - ამ ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ციკლში მან მხოლოდ თბილისის ტურნირი იჭიდავა. მას შემდეგ, რაც პირველ წრეში ბელარუსი **ვიტალი შაულიუკი** დააიპონა, ევროპის 2006 წლის ფინალი განმეორდა - კვლავაც ესტონელ **კინტერ როტბერგს** გადაეყარა და ამჯერადაც იპონით იმარჯვა. მეოთხედფინალშიც ნაცნობი მეტოქე შეხვდა - ბელგიელი ევროპის ჩემპიონი **დიკ ვან ტიჩელტი**, ვისაც თბილისის წლევანდელ მსოფლიოს თასზეც მოუგო და ახლაც დაამარცხა. ოღონდ ამჯერად ვაზარი აკმარა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც მეტოქედ მომავალი ჩემპიონი, პორტუგალიელი **ჟოაო პინა** ერგო. პირველი მარცხიც აქ განიცადა - ჯერ იუკო დაკარგა, მერე კი იპონზეც დაეცა, მაგრამ კიდევ უფრო მწარე მარცხი იგემა ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ფრანგ **უგო ლეგრანდთან** და უმედლოდ დარჩა.

არანაკლებ დრამატული მარცხი განიცადა ევროპის შარშანდელმა ბრინჯაოს პრიზიორმა ნიკლაურმა. მან დეკემბერში საქართველოს ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა (მაშინ ხელიც სტკიოდა), მერე კი მოიგო თბილისის მსოფლიოს თასი და ვერცხლი მოიპოვა პარიზის „დიდ მუზარადზე". ის არც ისე დიდი ხნის მოსულია სამბოდან ძიუდოში და უწინ რალაც შებოჭილად გრძნობდა თავს, თითქოს აკლდა საკუთარი ძალების რწმენა. მაგრამ ამ სეზონში, დროის სულ რალაც თვენახევრიან მონაკვეთში - საქართველოს ჩემპიონატიდან თბილისის მსოფლიოს თასამდე სწორედ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გააკეთა დიდი ნახტომი. ქუთაისური ტურნირისგან განსხვავებით, თბილისში ბევრად უფრო თამამი, შემტევი, უფრო გახსნილი და თავდაჯერებული იყო. ეს თვისებები ვენაში, დასაწყისშიც გამოავლინა ლიტველ **რადვილას მატუკასთან** და ესტონელ **ალექსანდრ მარმელიუკთან**. თუმცა, ეტყობა, სასტარტო შეხვედრაში გახსნა გაუჭირდა და ცოტა დამძიმებული ჩანდა, მაგრამ არა საფარში ჩამჯდარი. ალბათ, ამას უნდა მივაწეროთ, რომ მატუკასს იუკოთი აჯობა, მარმელიუკთან კი ფრიად გამოადგა სამბოს სკოლა და მეტოქე შებოჭა. მერე ახალგაზრდა ფრანგ **ანტუან ჟენანს** დაუპირისპირდა. დასაწყისში აქაც ადრინდელი თვისებები გამოავლინა. ყოველ შემთხვევაში, პირდაპირი რეპორტაჟისას დამრჩა შთაბეჭდილება, რომ რალაც შებოჭილად ჭიდაობდა და ზედმეტად ფრთხილად მოქმედებდა, თითქოს ვერ ბედავდა შეტევას. არ ვიცი, მასზე იმან იქონია გავლენა, რომ ფრანგული საჭიდაო სკოლის წარმომადგენელს ეჭიდავებოდა, თუ შეხვედრის დასაწყისშივე გამოსმულმა მეტოქის ცერულმა, როცა ბეწვზე გადარჩა, მაგრამ იმ შეხვედრის პირველ ნახევარში საკუთარ თავს არ ჰგავდა. აი, ბოლოსკენ კი გააქტიურდა, მაგრამ ამ დროს ჟენანი უკვე ორ იუკოს უგებდა. ამხელა უპირატესობის გაბათილება იოლი არაა და ეს ვერც ნიკლაურმა შეძლო, რის შემდეგაც სანუგეშოში გადაინაცვლა. აქ მეტოქედ სლოვენიელი **ალიაზ სედეი** ელოდა, ვინც შარშან მის გვერდით იდგა თბილისის სპორტის სასახლეში, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსნისთვის განკუთვნილ კვარცხლბეკზე. ნიკლაური აქაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და შეხვედრა ალმავლობით ჩაატარა - სედეი ჯერ ვაზარზე დააგდო, მერე კი სულაც დააიპონა და იოლად ჩამოიშორა გზიდან. ალბათ, ეს ყველაზე იოლი გამარჯვება იყო ამ ტურნირზე.

ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ჩვენებურს მეტოქედ ჰოლანდიელი მსოფლიოს ჩემპიონი და ბრინჯაოს პრიზიორი **ხიიომ ელმონტი** ერგო და ნიკლაური აქაც ახლოს იყო წარმატებასთან. ის სტარტზე მობილიზებული, შემართული და თითქოს დამშვიდებულიც გავიდა, ანუ შეხვედრისთვის კარგად ჩანდა განწყობილი. პაექრობაც ალმავლობით დაიწყო და პირველი სამი წუთი უტევდა, აქტიურობდა, მეტოქე მუდმივ წნეხში ჰყავდა. ორი გაფრთხილებაც სწრაფად აჰკიდა და იუკოთი დაწინაურდა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მსაჯმა მეტოქე დაუმსახურებლად გააფრთხილა - ნიკლაური აქეთ-იქით ათრევდა. სლოვენიელმა არბიტრმა თავიდან ერთგვარი პრიორიტეტიც დაიცვა და ორივე გააფრთხილა. შესაძლოა, იმ მომენტში ნიკლაური არც იმსახურებდა შენიშვნას, ყოველ შემთხვევაში, არც პასიურობდა, მაგრამ მსაჯმა თავი დაიზღვია და ორივე დასაჯა. ეს მსაჯთა ერთგვარი ტაქტიკაა, საქმესთან მართალნი რომ დარჩნენ. სამაგიეროდ, როგორც კი ნიკლაური ოდნავ გააქტიურდა, ელმონტი მაშინვე გააფრთხილა. ჩვენებური ამ ანგარიშს მთელი სამი წუთი ინარჩუნებდა, აი, მერე კი შეხვედრის სურათი რადიკალურად შეიცვალა. სავარაუდოდ, ნიკლაური დაიღალა და ჰოლანდიელის გააქტიურებაც ამას უნდა მივაწეროთ. არადა, საჭირო იყო, შეხვედრა იმავე სცენარით გაგრძელებულიყო და მართვის სადავეები ნიკლაურს ეკონტროლებინა.

სამწუხაროდ, ამ სადავეებს ნელ-ნელა უშვებდა ხელიდან, თუმცა ამასობაში დროც გადიოდა და ისე ჩანდა, ჩვენი ხსნა ტაბლოში იყო. თუმცა დიდ საფრთხეს თითქოს ვერც ჰოლანდიელი ქმნიდა, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე სულ რალაც 25-ოდე წამით ადრე ელმონტი კისრულზე ჩაუხტა და იპონიც მიითვალა. ერთი შეხედვით, საეჭვო იპონი ჩანდა და ავსტრიელმა ოპერატორებმაც რამდენჯერმე გაიმეორეს მომენტი, მაგრამ ფაქტია - მსაჯები მსგავს გდებებს ხშირად აფასებენ წმინდა მოგებად. ამ მომენტით ნიკლაურიც გაოგნებული იყო და ტატამი ტირილით დატოვა...

გუშინდელი დღის საინტერესო მოვლენებიდან 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში რუსთა დაღესტნელი ფალავანის - **სირაზუდინ მაგომედოვის** გამარჯვებას გამოვარჩევთ. ბარაქალა მის გამძლეობას და ფიზიკურ მომზადებას!!! უზადო ჯანით ჯერ კიდევ რუმინელ **მარიან ჰალასთან** შეხვედრაში გაგვაკვირვა, როცა დგომელა კისრულით ჰაერში მთელი ამპლიტუდა მოახაზინა და დააიპონა. მოლდოველი **სერგეი ტომა** თვითონაც ძალისმიერი სტილის მოჭიდავეა და თავიდან დაწინაურდა კიდეც, მაგრამ სამაგალითო ფანდით დაამარცხა. შესაშური იყო მისი მოძრაობა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩავლებაზე მყოფმა დისტანციაზე მდგარი მეტოქე თავისკენ დაჰქაჩა, დაითრია, პარალელურად კი ფეხში შეუვარდა და ვიდრე მოლდოველი გონს მოვიდოდა, ბატკანივით გაიდო კისერზე... ფინალში ბელარუს **ალექსანდრ სტიაშენკას** ამოსმულზე ბოლომდე მიჰყვა, არ მოეშვა და მანამ უტრიალა ფეხი ლაჯებში, სანამ საიპონედ არ ამოატრიალა.

რუსებმა პირველი დღის სირცხვილი გუშინ სრულად ჩამოიწმინდეს - ახალგაზრდა **ბატდრაზ კაიტმაზოვმა** (73) ვერცხლი მოიპოვა, თუმცა ფინალში პინამ პირწმინდად დაჩაგრა. ამ წონაში ბრინჯაო უნგრელ უნგვართა საჭიდაო ოჯახის მორიგმა წევრმა, ევროპის ორგზის ჩემპიონისა და მსოფლიოს პრიზიორ **მიკლოშ უნგვარის** უმცროსმა ძმამ **ატილა უნგვარმა** მოიპოვა. მადიარებმა ოქროს მედალი ქალებშიც მოიპოვეს - კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ანეტ მესაროში** (70) ავიდა.

დღეს ევროპის პირადი პირველობა დასრულდება, ტატამზე ქართველთაგან **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) და **ზვიად ხანჯალიაშვილი** (+100) გავლენ. ლიპარტელიანის პირველი მეტოქე უნგრელი **ლევენტე ლედენი** იქნება, ჟორჟოლიანისა - ახალგაზრდებში ევროპის აზერბაიჯანელი ჩემპიონი **ელმარ გასიმოვი**, ხანჯალიაშვილისა - ბოსნიელი **სუბოტიჩ დრაცენი**. კვირას ევროპის გუნდური ჩემპიონატი გაიმართება.

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი

ვაჟები. 73. 1. **ჟოაო პინა** (პორტუგალია); 2. **ბატდრაზ კაიტმაზოვი** (რუსეთი). 3. **უგო ლეგრანდი** (საფრანგეთი), **ატილა უნგვარი** (უნგრეთი); 5. **ზაზა კედელაშვილი** (საქართველო).

81. 1. **სირაზუდინ მაგომედოვი** (რუსეთი); 2. **ალექსანდრ სტიაშენკა** (ბელარუსი); 3. **ხიიომ ელმონტი** (ჰოლანდია), **ანტოინ ჯანინი** (საფრანგეთი); 5. **ლევან ნიკლაური** (საქართველო).

ქალები. 63. 1. **ელისაბედ ვილბოორდსი** (ჰოლანდია); 2. **ედვიგე გვენდი** (იტალია); 3. **ვერა კოვალი** (რუსეთი), **ვლერა ბედზეტი** (სლოვენია).

70. 1. **ანეტ მესაროში** (უნგრეთი); 2. **რასა სრაკა** (სლოვენია); 3. **სესილია ბლანკო** (ესპანეთი), **ჟულიანე რობრა** (შვეიცარია).



## მილოცვები

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 55 წელს ულოცავს ვეტერან ძიუდოისტს, გორის საჭიდაო სკოლის ღირსეულ წარმომადგენელს, მსოფლიოს და ევროპის ორ-ორგზის ჩემპიონს, ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორს, სსრ კავშირის ორგზის და საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონს, ქართულ ჭიდაობაში საქართველოს 1976 წლის აბსოლუტურ ფალავანს, საქართველოს 1979 წლის საუკეთესო სპორტსმენს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **თემურ ხუბულურს**.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 55 წელს ულოცავს ძიუდოში ოლიმპიური თამაშების (1980) მეორე პრიზიორს, მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებულს და პრიზიორს **თემურ ხუბულურს**.

ჭადრაკი

# ნალჩიკში რჩეულნი შეიკრიბნენ

ნალჩიკში ხვალ დაიწყება და 8 მაისამდე გასტანს მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის გათამაშების მესამე ეტაპი მსოფლიოს 12 უძლიერესი დიდოსტატისა და საერთაშორისო ოსტატის მონაწილეობით. საპრიზო სამეულში მოხვედრისთვის იბრძოლებენ: **ჰამფი კონერუ** (ინდოეთი, რეიტინგი 2692), **ჰოუ იფანი** (ჩინეთი, 2570), **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი, 2524), **პია კრამლინგი** (შვედეთი, 2523), **ლილით მკრტიჩიანი** (სომხეთი, 2503), **ელინა დანიელიანი** (სომხეთი, 2491), **ჟაო სიუ** (ჩინეთი, 2490), **ნანა ძაგნიძე** (საქართველო, 2479), **ჟუ ჩენი** (ყატარი, 2476), **მონგონთუულ ბაქჰუიაგი** (მონღოლეთი, 2428), **ბაირა კოვანოვა** (რუსეთი, 2385), **ბეთულ ილდიზი** (თურქეთი, 2244).

როგორც ვხედავთ, საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ამ თორმეტეულში ქართველ მოჭადრაკეს რეიტინგით მხოლოდ მე-8 ადგილი უკავია, მაგრამ ეს არაფერს ცვლის, რადგან ნანა ძაგნიძე გამოცდილი და შეუპოვარი მებრძოლია, რაც მას არაერთ შეჯიბრებაში დაუმტკიცებია. შეგახსენებთ, რომ შარშან ჩინეთში გამართულ მსგავს შეჯიბრებაზე მან მეორე ადგილი დაიკავა. ობიექტური მიზეზები (მოინამლა) რომ არა, პირველობასაც გამოჰკრავდა ხელს.

*„ნანა ამ ტურნირისთვის მონდომებით ემზადებოდა ქალთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზურაბ სტურუასთან, რომელიც, ფედერაციის გადაწყვეტილებით, პერსონალურ მეურვეობას უწევს ძაგნიძესა და სალომე მელიას. ორი თვეა, მათი თანამშრომლობა გრძელდება. ნალჩიკში გამგზავრებამდე ნანამ დუბაის საერთაშორისო ტურნირზე მოსინჯა ძალები და ქალთა შორის პირველი ადგილიც დაიკავა, რაც მისთვის დამატებითი სტიმული იქნება. სტურუა ძაგნიძეს ნალჩიკშიც დაეხმარება. ფედერაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქალთა ნაკრების წევრთა მომზადებას. ეს არცაა გასაკვირი, რადგან წლეულს შემოდგომით ხანტიმანსიისკში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა გაიმართება და ქართველ მანდილოსნებს იქ ტიტულის დაცვა მოუწევთ"*, — გვითხრა ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ**.

ფიდეს გრან-პრი ქალებში წლეულს სომხეთის ქალაქ ჯერმუკში (23 ივნისი-6 ივლისი), მონღოლეთის დედაქალაქ ულან-ბატორსა (29 ივლისი-12 აგვისტო) და ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოშიც (27 ოქტომბერი-9 ნოემბერი) გაიმართება. ჯერმუკიდან შეჯიბრებებში ძაგნიძესთან ერთად ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძეც** ჩაებმება, რომელიც **ხვიჩა სუპატაშვილის** დახმარებით მეცადინეობს. თითოეულმა მოჭადრაკემ ოთხ-ოთხ ტურნირში უნდა იასპარეზოს, საიდანაც 3-3 საუკეთესო შედეგით გამარჯვებული და პრიზიორებიც გამოვლინდებიან.

**ვაჟა დანელია**

# ხუთოსანი ხუთეული

წლეულს ოქტომბერში ბათუმი სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის საუკეთესოები საქართველოს პირველობებზე შეირჩევა. ახლა თბილისის ჭადრაკის სასახლე ათწლიანებს მასპინძლობს. ცხრატურიანი მარათონი იმ გოგონებსა და ვაჟებს გამოავლენს, რომლებიც როგორც აჭარის დედაქალაქში, ისე მსოფლიოს პირველობაზეც იასპარეზებენ.

გუშინ მე-5 ტურის პარტიები გათამაშდა. **ნინო ჯალალონიამ ელა სვანიძე** დაამარცხა, **ნატა ჯიბუტმა** კი **მარი სკამკოჩაიშვილს** მოუგო. ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **ნუცა ცირეკიძე-მაია ბეჭვაია** 1:0, **ანასტასია ხარაზი-ლიკა იმნაძე** 0:1, **თამარ ონიანი-სანდრა კაპანაძე** 0:1, **მარგველაშვილი-ელენე კოსტავა** 1:0, **სალომე ხუცურაული-თამარ ფარჩუკიძე** 1:0.

5-5 ქულით ჯიბუტი და ჯალალონია დაწინაურდნენ.

ვაჟებში ოთხი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ 6 მოჭადრაკე მეწინავეობდა. მათი პაექრობები შედეგიანად დამთავრდა და გათამაშების ცხრილის სათავეს ტრიო შემორჩა: **ირაკლი ახვლედიანი-ბექა თათურაშვილი** 1:0, **დავით ლობჟანიძე-კოკა ბუკია** 1:0, **ლუკა ნაჭყებია-ვანო გამეზარდაშვილი** 1:0, **ომარ ზარგინავა-ნიკოლოზ პეტრიაშვილი** 1:0. ახვლედიანი, ლობჟანიძე და ნაჭყებია ქულათა მაქსიმუმით ლიდერობენ.

**მე-6 ტურში ითამაშებენ: გოგონები:** ჯიბუტი (5)-ჯალალონია (5), სვანიძე (4)-ცირეკიძე (4,5), იმნაძე (4)-კაპანაძე (4), გურჯიევი (3,5)-მარგველაშვილი(4). **ვაჟები:** ახვლედიანი (5)-ლობჟანიძე (5), ზარგინავა (4,5)-ნაჭყებია (5), ქარელიძე (4)-ბოტკოველი (4), ბუკია (4)-ობოლაძე (4), ჭელიძე (4)-კოკაია (4), გამეზარდაშვილი (4)-მამულაიშვილი(4), თათურაშვილი(4)-გვენეტაძე (4), ჯიმშიტაშვილი(4)-ხვადაგიანი (4).

**ვაჟა დანელია**

პროფესიული კრივი




ინტერვიუ ვლადიმერ ჭანტურიასთან

# ხმაურიანი დაბრუნება და პროფესიული ამბიცია

ვლადიმერ ჭანტურია ერთადერთი ქართველი მოკრივეა, რომელმაც დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში ოლიმპიური მედალი მოიპოვა. სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი დიდი ხნით გულშემატკივრის თვალთახედვის არედან გაქრა, თუმცა მისი კარიერა გრძელდება. 31 წლის ჭანტურია დღეს პროფესიონალი მოკრივეა, ყველაზე პრესტიჟულ, აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ასპარეზობს და დიდი მიზნებიც აქვს. დანარჩენს მასთან ინტერვიუდან შეიტყობთ.

>> მე-12 გვერდზე

კალათბურთი

საქართველოს ნაკრები

# ჯანერო პარგო?
## არა, ჩემო კარგო!

გუშინ მიღებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ნაკრებში **ტაირონ ელისის** შემცვლელად „ჩიკაგო ბულსის" უკანახაზელი **ჯანერო პარგო** მოიაზრება.

ვიდრე მის ბიოგრაფიას გაგაცნობდეთ, შეგახსენებთ, რომ თებერვალში საქართველოს ნაკრების მსროლელმა ტაირონ ელისმა კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს შემოუთვალა - სანაკრებო მზადების პროცესისას ბავშვს ველოდები და ჩემს ოჯახთან ერთად უნდა ვიყოო. ელისის ნათქვამს ფედერაციის მესვეურები გაგებით მოეკიდნენ და ტაირონის შემცვლელის ძებნას შეუდგნენ.

რადგან მაღალი მიზნებისთვის მებრძოლ ნაკრებს ასეთივე კვალიფიკაციის მოთამაშე სჭირდება, მწვრთნელმა **იგორ კოკოშკოვმა** NBA-ს კალათბურთელებს მიმოავლო თვალი.

საძიებო „ფრონტი" ერთდროულად ევროპასა და ამერიკაში გაიშალა. წინასწარ ცხადი იყო, რომ სასურველი სპორტსმენის პოვნა იოლი არ იქნებოდა. ასეცაა, ეს საკითხი ჯერაც არ გადაწყვეტილა...

რადგან ჯანერო პარგოს შესახებ გავიგეთ, მისი ბიოგრაფიაც მოვიძიეთ. იგი 1979 წლის 22 ოქტომბერს ჩიკაგოში დაიბადა, 185 სმ სიმაღლისაა.

პარგო 2002-03 წლებში „ლეიკერსში" გამოჩნდა, 2003-ში „ტორონტოში" გადავიდა, თუმცა კანადელთა შემადგენლობა მალევე დატოვა და 2006 წლამდე „ჩიკაგოს" ღირსებას იცავდა. ჯანეროს საუკეთესო სეზონი 2004-05 წლებზე მოდის - საშუალოდ 32 წუთში 13.5 ქულასა და 3.6 პასს აგროვებდა. 2006 წელს იგი მოსკოვის „დინამოში" გადავიდა, საიდანაც ბერძნულ „ოლიმპიაკოსს" მიაშურა, თუმცაღა ევროპაში დიდხანს არ გაჩერებულა - 2006-08 წლებში „ნიუ ორლეანის" ღირსებას იცავდა. მიმდინარე სეზონის წინ პარგო „ჩიკაგოს" დაუბრუნდა - 63 მატჩში საშუალოდ 13 წუთი ითამაშა, 5.5 ქულა და 1.4 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

დავინტერესდით, რამდენად რეალურია ჯანერო პარგოს კანდიდატურა. ინფორმაციის სარწმუნოობა კალათბურთის ფედერაციაში გადავამოწმეთ.

- პარგო? ასეთი კალათბურთელი ვიცი, მაგრამ იგი არათუ ნაკრებში ჩამოყვანის კანდიდატი არ არის, არამედ ელისის შესაძლო შემცვლელთა სიაშიც არ ფიგურირებს, - მოკლედ და გარკვევით გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა**.

ჩვენი მხრივ, ისღა დაგვრჩენია, მოვლენების განვითარებას დაველოდოთ და იმედი დავიტოვოთ, რომ ნაკრებს **შემონდ უილიამსზე** არანაკლები კლასის და ტაირონ ელისზე არანაკლებ გუნდური ტიპის მოთამაშე შეავსებს.



ჯანერო პარგო

**ვაჟა სიმონიშვილი**

ინტერვიუ ნოდარ შარაბიძესთან

# გალისიის ჩემპიონი



შარშან ესპანეთის სხვადასხვა ლიგაში 8 ქართველი კალათბურთელი თამაშობდა. 2009 წლის ზამთარში მათ ვლადიმერ ბოისა გამოაკლდათ, სამაგიეროდ, ამ სეზონის დასაწყისში ესპანეთს სამმა ახალბედა კალათბურთელმა მიაშურა - ბექა ბურჯანაძემ, რატი ბააკაშვილმა და ნოდარ შარაბიძემ.

ნოდარი და რატი „პიექსე გალეგოში" თამაშობენ. იუნიორებთან ერთად მათ გალისიის ჩემპიონობა მოიპოვეს და ესპანეთის პირველობისთვის ემზადებიან, თუმცა მანამდე კიდევ ერთი ეტაპი აქვთ გასავლელი:

- ინტერსექტორის ჩემპიონატში გალისიის სამი კლუბი მიიღებს მონაწილეობას. მათ შორის „პიექსე გალეგო". ეს შეჯიბრება ქალაქ ხიხონში 27 აპრილს დაიწყება. კარგი გუნდი გვყავს და იმედი გვაქვს, რომ ამ ბარიერსაც გადავლახავთ, - მოგვითხრობს ნოდარ შარაბიძე, რომელიც „ვალენსიაში" მოასპარეზე გიორგი შარაბიძის ძმაა.

**- ორიოდე სიტყვა გალისიის ჩემპიონატზეც ვთქვათ.**

- ტურნირი ოქტომბერში დაიწყო და ახლახან დამთავრდა. ჩემპიონი ის გახდებოდა, ვინც რეგულარულ ეტაპს პირველ ადგილზე დაასრულებდა - პლეი ოფი არ ჩატარებულა. „პიექსემ" შეჯიბრება ერთი წაგებით დაამთავრა, ხოლო მდევრებს 3-4 მარცხი ჰქონდათ.

**- როგორი მონაგარი გქონდა?**

- საშუალოდ 15 ქულას ვაგროვებდი და 10 მოხსნამდე ავდიოდი. ბოლო მატჩში, „კორუნიასთან" 31 წუთი ვითამაშე, 21 ქულა და 7 მოხსნა მოვაგროვე.

**- რა პოზიციაზე გათამაშებენ?**

- მძიმე ფორვარდად. ზოგჯერ მესამე ნომრის პოზიციაზეც ვირჯები.

**- გუნდში რამდენი ლეგიონერი ხართ?**

- სამი დომინიკელი, მე და რატი ბააკაშვილი. ესპანეთის სხვა კუთხეებიდან ორი კალათბურთელია - ერთი კატალონიიდან, მეორე - ბასკეთიდან.

**- „გალეგოს" ბაზაზე ცხოვრობთ?**

- გუნდს რამდენიმე ბინა აქვს ნაყიდი. ერთ-ერთში ხუთ თანაგუნდელთან ერთად ვცხოვრობ. კოლეჯშიც ვსწავლობ და არცთუ ურიგოდ. ასე რომ, სავარჯიშო პირობების მსგავსად, საცხოვრებელითაც კმაყოფილი ვარ.

**- შენს ქართულ კარიერაზე ვთქვათ.**

- კალათბურთის თამაში 11 წლისამ ნუგზარ მარკოიშვილის ხელმძღვანელობით დავიწყე. მალე დასვენებამ მომინია - ხერხემალთან დაკავშირებით პრობლემა მქონდა და 2 წელი გამიცდა, რის შემდეგაც ისევ თსუ-ში დავბრუნდი. 15 წლისა გელა წულაძემ კადეტთა ნაკრებში მიმიწვია. 16-წლამდელებთან ერთად გასულ ზაფხულს B დივიზიონში ვითამაშე. ოქტომბრიდან კი „პიექსე გალეგოს" ღირსებას ვიცავ.

**ვაჟა სიმონიშვილი**




ხუთშაბათის ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. გეგუჩაძე; 7. გუცაევი; 8. დორონხოვი; 10. სნუკერი; 11. ვისოლი; 12. გოგია; 14. ობოლაძე; 15. კიევი; 16. ატაცი; 18. გოკიელი; 19. ლორია; 20. ფაჩულია; 24. ალონსო; 25. ხარება; 26. თსუ; 27. "სიონი"; 28. "ანჟი".

**შვეულად:** 1. გედევანიშვილი; 2. გერასიმოვა; 3. ჩოხელი; 4. რურუა; 5. ხაბელოვი; 6. ქვრივიშვილი; 9. ისელიძე; 13. ბლიცი; 15. კაკულია; 17. ტრიკონი; 18. გოჩა; 21. არეკნი; 22. ალამი; 23. "აჟენი"; 25. შუბი.

ლეგიონერები

# შარაბიძის ორმაგი დუბლი, ჩიქვილაძის 19

ესპანეთის დუბლების ჩემპიონატში (ება) მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. წინასწარ გეტყვით, რომ ამ ტურში სამ ქართველს არ უთამაშია - **თორნიკე შენგელიას, კოკა ტომარაძესა** და **მიხეილ ბერიშვილს**.

E ჯგუფში მოასპარეზე „ვალენსიამ" შენგელიას გარეშე ბოლო წამებზე წააგო „ალმასერასთან" - 77:78. გადამწყვეტ მომენტში თანაგუნდელებს ვერც **გიორგი შარაბიძე** დაეხმარა, რადგან 5 ფოლი მიიღო. თუმცა გიორგის მწვრთნელისთვის უკმაყოფილების საბაბი არ მიუცია: 25 წუთში 13 ქულა და 15 მოხსნა მოაგროვა.

25 ტურის შემდეგ ვალენსიელები მეათე ადგილზე არიან - 11 მოგება აქვთ. პლეი ოფში 7 გუნდი გადის.

■ ■ ■

ება-ს B ჯგუფში **გრიგოლ შვანგირაძის** „ტაკორონტემ" „გრან კანარია" მინიმალური სხვაობით დაამარცხა - 82:81.

შვანგირაძემ 16 წუთში 3 ქულა და 1 პასი მიითვალა.

მიშა ბერიშვილის გარეშე მოთამაშე „არიდანემ" „ტოშიბას" 83:68 სძლია.

„ტაკორონტესა" და „არიდანეს" პლეი ოფში გასვლის საკითხი გადაწყვეტილი აქვთ. მათ გუნდებს 20-20 მოგება უწერიათ (9-9 წაგება) და მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებენ.

■ ■ ■

C ჯგუფში **კოკა ტომარაძის** „მონსონმა" „სენტ ნიკოლაუ" 70:68 დაამარცხა. როგორც დასაწყისში გითხარით, ქართველ უკანახაზელს არ უთამაშია.

24 ტურის შემდეგ „მონსონს" 9 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-11 ადგილზეა.

■ ■ ■

ესპანეთის ნაციონალ 1-ში **ბექა ჩიქვილაძის** „ალბასეტემ" „ლა რიოდა" ოცქულიანი სხვაობით დაამარცხა - 64:44. ბექა სასტარტო იყო და თანაგუნდელებს 29 წუთში 19 ქულა, 4 მოხსნა და 2 პასი შეაწია.

„ალბასეტე" ცხრილში მესამეა (19 გამარჯვება) და პლეი ოფში გასვლა განაღდებული აქვს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

სტუმარი

# ვისწავლოთ სროლა

გუშინ საქართველოს ამერიკელი ინსტრუქტორი **მარვინ ჰარვი** ეწვია. იგი დღეს, 14 საათზე საკალათბურთო აკადემიის დარბაზში ახალგაზრდა მოთამაშეებს ვარჯიშებს ჩაუტარებს.

მარვინ ჰარვი ამერიკის ქალაქ ტამპაში საქმიანობს, სადაც საკუთარი „სროლის აკადემია" აქვს. იგი აშშ-ში სროლის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სპეციალისტად ითვლება. ბატონი მარვინი არაერთი წიგნისა და ვიდეოგაკვეთილის ავტორია. იგი საკუთარ გამოცდილებას მხოლოდ ოკეანისგაღმელებს როდი უზიარებს - კემპებს ევროპაშიც ხშირად მართავს. ჰარვი თბილისში ჩამოვიდა სერბეთიდან, სადაც ბალკანელებს ჩაუტარა ინსტრუქტაჟი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

მოკლედ...

ჩოგბურთი

# ზედიზედ მეცხრე ვეღარ მოიგო

20 წლის მანანა შაფაქიძემ (456) ვეღარ შეძლო ასტანაში მიღწეულის ალმათიში გამეორება - თუკი ყაზახეთის ახალ დედაქალაქში იპირველა, ძველში ნახევარფინალისტობით დაკმაყოფილდა. ალმათის ტურნირის (10 ათასი დოლარი) შესახებ თხრობა მანანას მერვედფინალურ გამარჯვებაზე შევწყვიტეთ. მეოთხედფინალში შაფაქიძემ მე-6 ნომრად განთესილ რუს **დიანა არუთიუნოვას** (551) მოუგო - 6:2, 6:2. ეს მე-2 ნომრად განთესილი ქართველის ზედიზედ მერვე გამარჯვება იყო ერთეულთა თანრიგში. ჩვენებურმა ამით კარიერის რეკორდი დაამყარა, თუმცა მეტი ვეღარ შეძლო - ნახევარფინალში შაფაქიძემ მე-4 ნომრად განთესილ რუს **ევგენია პაშკოვასთან** (510) წააგო - 1:6, 3:6. ამით პაშკოვამ პირველ ნომრად განთესილ **ქსენია პალკინასთან** (ყირგიზეთი, 228) ფინალური რანდევუ დაიბევა.

ასტანაში შაფაქიძემ 12 ქულა შემატა პირად რეიტინგს, ხოლო ალმათიში - 6. ჯერჯერობით ეს ქულები არ დარიცხულა მის „ანგარიშზე", როგორც კი ეს მოხდება, შაფაქიძე მსოფლიო კლასიფიკაციის მე-4 ასეულში კარიერაში პირველად შეაბიჯებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# გეორ-გია მეთვრამეტეა

ქართულმა წყვილმა **გეორ-გიამ** ბრაზილიაში მიმდინარე მსოფლიო ტურის პირველ ეტაპზე შეჯიბრების მეორე დღეს დაასრულა ასპარეზობა. პირველ დღეს ჩვენმა ფრენბურთელებმა, რომლებიც მე-15 ნომრად არიან განთესილი, პირველივე შეხვედრა წააგეს მე-18 ნომრად განთესილ რუსთა დუეტ **პროკოფიევ-ბოგატოვთან** სამ სეტში 21:15, 16:21, 13:15. მერე დამამშვიდებელ ტურნირში შეჯიბრების 31-ე ნომერი ნორვეგიული წყვილი **ჰორემ-ჰორდვიკი** დაამარცხეს - 2:1 (21:19, 22:24, 16:14). გეორგიას აშკარად არ გაუმართლა მესამე მატჩში. მეტოქეები ამჯერად ტურნირის ფავორიტები, პირველ ნომრად განთესილი ჰოლანდიელები **ნუმერდორი** და **შუილი** იყვნენ. ჩვენმა ფრენბურთელებმა მატჩი ორ სეტში დათმეს - 18:21, 16:21.

საბოლოოდ, გეორ-გიამ მე-18 ადგილი დაიკავა და რეიტინგში 120 ქულა დაემატა. მომდევნო ეტაპზე ჩვენი ფრენბურთლები 3-9 მაისს ჩინეთის ქალაქ შანხაიში იასპარეზებენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

წყალბურთი

# ჰოლანდიაში ემზადებიან

მაისის მეორე დეკადაში, როგორც გაუწყეთ, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე საზეიმოდ გაიხსნება რეკონსტრუირებული საცურაო კომპლექსი, სადაც მომავალი თვის 19-21 რიცხვებში დიდი ხნის ნანატრი საერთაშორისო ტურნირი გაიმართება მასპინძლების, ბრიტანეთის, უკრაინისა და ბელარუსის ეროვნული გუნდების მონაწილეობით.

ამ შეჯიბრებისთვის უკეთ მოსამზადებლად საქართველოს ნაკრები ჰოლანდიას გაემგზავრა და იქაურ ნაკრებთან ერთად საწვრთნელ შეკრებას გადის.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ზვიად დავითიანის** ხელმძღვანელობით ტიტების ქვეყანაში მომავალი პაექრობებისთვის ემზადებიან: **ზურაბ ჭუმბურიძე, სანდრო ნამორაძე, ბექა ქენქაძე, გიორგი ხვედელიანი, სანდრო რუსიშვილი, კოტე გეგელაშვილი, ნოდარ რაფავა, ზურაბ რურუა, ბექა ქავთარაძე, ლევან ყავლაშვილი, გურამ კოტარია, იოვან პოპოვიჩი** და **ტატო ნიკოლეიშვილი**. 3 მაისიდან საქართველოს ნაკრები დნეპროძერჟინსკში უკრაინის მე-19 ღია ჩემპიონატის მე-5 ტურში ჩაებმება.

**ვაჟა დანელია**

# სტუდენტები მამადავითზე

ილიას უნივერსიტეტის ლექტორმა **მედეა როგავამ** ამავე სასწავლებლის სპორტის მენეჯმენტის ფაკულტეტის პირველკურსელებს ღია გაკვეთილი ჩაუტარა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. სპორტის მომავალი სპეციალისტები დიდი ინტერესით ისმენდნენ ლექტორის მონათხრობს მამადავითზე განსვენებული ღირსეული მამულიშვილების ცხოვრებისა და მოღვაწეობის, იმ წვლილის შესახებ, რაც ამ ადამიანებმა შეიტანეს საქართველოს ისტორიაში.

სპორტის მომავალი სპეციალისტებისთვის გასვლითი ლექციები მამადავითზე ტრადიციად დამკვიდრდება.

**„ლელოს" კორ.**

პროფესიული კრივი

# ხმაურიანი დაბრუნება და პროფესიული ამბიცია

« მე-11 გვერდიდან

**- სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი კარიერა?**

- 2000 წლის ოლიმპიური თამაშების დასრულებიდან დიდი დრო არ იყო გასული, რომ აქტიურ სპორტს თავი დავანებე. თუმცა შემდეგ ვარჯიში განვაგრძე და 2006 წლიდან პროფესიულ კრივში ვცდი ძალებს. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და, საკმაო წარმატებებსაც მივაღწიე. ჩავატარე 14 ორთაბრძოლა და 13-ში გავიმარჯვე, აქედან რვა ნოკაუტით მოვიგე. ახლა კი კარიერის ახალ, გაცილებით ძნელ და საპასუხისმგებლო ეტაპზე გადავდივარ. მივემგზავრები ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქ ბელფასტში, სადაც 8 მაისს მნიშვნელოვან სარეიტინგო ბრძოლა მელის. ამის შემდეგაც იქ დავრჩები და ბელფასტში კიდევ ორ შეხვედრას ჩავატარებ. ირლანდიის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ზაურ ანთიამ მსოფლიო კრივის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ პრომოუტერთან, ბრიტანელ გარი ჰაიტთან დამაკავშირა, რომელმაც მომავალი მატჩები დამიგეგმა. ზაფხულისთვის ლოს ანჯელესში გადავინაცვლებ, სადაც კიდევ ორ შეხვედრას ჩავატარებ. თუ ეს შეხვედრები გამარჯვებით დავასრულე, WBC-ის ქამრისთვისაც ვიბრძოლებ. ჩემს მთავარ ადგილსამყოფელად კი ბელფასტი დარჩება, ჰაიტთან ორწლიანი, ფინანსურად მეტად ხელსაყრელი კონტრაქტი გავაფორმე.

**- სად ჩაატარეთ განვლილი სარეიტინგო ორთაბრძოლები და აქამდე რომელ ქვეყნებში ვარჯიშობდით?**

- ბრძოლები გავმართე როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ყველაზე ხშირად კიევში, ძმები კლიჩკოების კლუბ "K2"-ში ვვარჯიშობდი სახელგანთქმულ ავთანდილ ხურციძესთან ერთად.

**- კარიერის გაგრძელებას კიდევ რამდენ ხანს აპირებთ?**

- 31 წელი პროფესიულ კრივში იდეალური ასაკია, აქ 30 წელს მიღწეულები გადმოდიან. ასე რომ, რინგზე ყოფნას კიდევ დიდხანს ვაპირებ, მინიმუმ ხუთი წელიწადი მაინც. სამოყვარულო კრივში გაცილებით დიდი დატვირთვებია, აქ კი საშუალება გაქვს, ერთი ბრძოლისთვის რამდენიმე თვე ემზადო. ვგრძნობ, რომ დიდი გამარჯვებების მოპოვება და ქართველი გულშემატკივრების გახარება შემიძლია, ამისთვის ძალ-ღონეს არ დავზოგავ. ქართული კრივის სამსახურში მხოლოდ სპორტსმენის რანგში არ ვარ. ფოთში სამეგრელო-ზემო სვანეთის პროფესიულ მოკრივეთა კავშირი ჩამოვაყალიბე, ფოთშივე გვაქვს ჩვენი კლუბიც, სადაც ახალგაზრდა მოკრივეებს ვავარჯიშებთ.

**- უახლოეს პერიოდში საქართველოში ხომ არ გეგმავთ მნიშვნელოვანი ბრძოლის ჩატარებას?**

- 20 მაისს თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაცია დიდ ღონისძიებას აწყობს – ღია ცის ქვეშ რამდენიმე ბრძოლა გაიმართება. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი დაპირისპირება შალვა ჯომარდაშვილსა და მოზამბიკელ მოკრივეს შორის შედგება, რომლებიც ახალგაზრდული ქამრისთვის შეხვდებიან ერთმანეთს. ბოლომდე არ გადაწყვეტილა, მაგრამ დიდია იმის შანსი, რომ 20 მაისს მეც ვიბრძოლო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები




დავით ქუბრიაშვილი

# სიკვდილის მატჩი და საპლეიოფო ციებ-ცხელება

დღეს საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების ბოლო, 26-ე ტურის შეხვედრები გაიმართება. საპლეიოფო ექვსეული ჯერ კიდევ წინა ტურის შემდეგ გაირკვა. დასადგენი ახლა ისლაა, პირდაპირ ნახევარფინალში თამაშის უფლებას (ანუ პირველ-მეორე ადგილებს) ვინ მოიპოვებს. პრეტენდენტი ხუთია, აქედან სამი ქართველ მორაგბეთა გუნდია - "კლერმონი", „ტულონი" და „კასტრი".

ჯერ კიდევ ულვივის გადარჩენის იმედი **გოდერძი შველიძისა და ანტონ ფეიქრიშვილის** „მონტობანს". ჩვენებურთა გუნდი საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა ფინანსური პრობლემების გამო მეორე დივიზიონში დააქვეითა. თუმცა, თუ მონტობანელები საჭირო თანხას სეზონის დასრულებამდე მოიძიებენ, დაქვეითების გადაწყვეტილება გაუქმდება, მაგრამ საქმე ისაა, რომ „მწვანეები" სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე არიან და, თუ გასავარდნ ზონას თავი ვერ დააღწიეს, მეორე დივიზიონში დაქვეითება სპორტული შედეგების გამო მოუწევთ.

„მონტობანი" ბოლო ტურში მასპინძლობს უშუალო კონკურენტ „ბაიონს", რომელსაც სატურნირო ცხრილში ორი ქულით ჩამორჩება. ფრანგულ პრესაში ამ თამაშს „სიკვდილის მატჩს" უწოდებენ. გამარჯვებული პირველ დივიზიონში ადგილს შეინარჩუნებს, თუმცა, რაც დრო გადის, მით უფრო ცხადი ხდება, რომ „მონტობანი" ფინანსურ კრიზისს ვერ აირიდებს და ძალიან დასანანი იქნება, თუ „ზურმუხტისფერი არმადა" ამის გამო დაქვეითდება.

ყველა ამ პრობლემების გამო, მონტობანელებს, ისევე როგორც წინა ტურში „მონპელიესთან", მობილიზება გაუჭირდებათ. „ბაიონმა" ბოლო ცხრა მატჩში ხუთი მოიგო, სხვა რამე პრობლემა არ აწუხებს და გამარჯვებისთვის მაქსიმალურად შემართული იქნება.

სერიოზული პრობლემები აქვს „მონტობანის" მწვრთნელ **მარკ რეინოდს**, რომელიც ხუთ მაისს სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე უნდა წარდგეს და „მონპელიესთან" მატჩში თავისი აგრესიული საქციელი ახსნას.

საინტერესოა, რომ მატჩის არბიტრი იქნება ჩვენთვის კარგად ნაცნობი **ჟერომ გრასი**, რომელმაც ტრაბზონში საქართველოსა და რუსეთის ნაკრებების მატჩი განსაჯა.

პირველ წრეში „ბაიონმა" მეტოქე 38:13 დაამარცხა. Planetrugby-ს პროგნოზით, მონტობანელები შემართებით დაიწყებენ, მაგრამ „ბაიონი" ბოლო ოც წუთში, ალბათ, მაინც სათავისოდ მოაბრუნებს მატჩის ბედს.

ტურის ცენტრალურ მატჩი **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრისა" და „ტულუზის" დაპირისპირებაა. ორივე გუნდს პლეი ოფში თამაში გარანტირებული აქვს და ახლა მოწინავე დუეტში მოხვედრისთვის იბრძვიან.

ალსანიშნავია, რომ კასტრი ტულუზთან მდებარე პატარა ქალაქია, თითქმის მისი გარეუბანი. ამიტომ ამ გუნდებს შორის დაპირისპირება ყოველთვის მძაფრი და პრინციპულია. ამჯერად დიდი ხნის ქიშპობას პლეიოფისწინა ციებცხელება აძლიერებს. კასტრელებმა წინა ტურში „კლერმონთან" წაგების შემდეგ მდგომარეობა გაირთულეს. თუმცა ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ გუნდი საუკეთესო ორში მოხვედრას ალარც ცდილობს და პლეი ოფის მომავალი მატჩებისთვის ემზადება.

„ტულუზი" მეორე ადგილზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გავა, თუ „პერპინიანი" შინ წააგებს დივიზიონიდან უკვე გავარდნილ „ალბისთან", რაც ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. ამასთან, ტულუზელებს ერთი კვირის თავზე უძნელესი მატჩი ელით „ჰეინეკენის თასის" ნახევარფინალში.

ტრავმა მოიშუშა და ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს ფულბეკი **მაქსიმ მედარი.** შესაძლოა, ტულუზელთა რიგებში გამოჩნდეს ფიჯელი გარემარბი **ვილიმონი დელასაუ.** ეს მაშინ, როცა „კასტრს" ტრავმების გამო დააკლდება რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, აქვსენტი გიორგაძე, **რომენ კაბანი, იან ოდრინი** და **კარლ ჰოფტი.**

პირველ წრეში „კასტრმა" 30:10 მოიგო. Planetrugby ვარაუდობს, რომ „ტულუზი", რომელიც პრინციპულ შეხვედრებში, თანაც საკუთარ მოედანზე ყოველთვის ბრწყინვალედ თამაშობს, მინიმუმ ექვსი ქულით მოიგებს.

პირველი ადგილის შენარჩუნების კარგი შანსი აქვს **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონს", რომელიც სტუმრად ეთამაშება **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივს". ბრიველები მეშვიდე ადგილზე მყოფ ბასკურ „ბიარიცს" ერთი ქულით ჩამორჩებიან და გამარჯვების შემთხვევაში, შესაძლოა, მომავალ წელს „ჰეინეკენის თასის" გათამაშებაში გამოსვლის უფლება მოიპოვონ.

ტულონელები პირდაპირ დაფრინავენ. საფრანგეთის ჩემპიონატში ზედიზედ ცხრა გამარჯვება და „ჰეინეკენის თასის" გათამაშების ნახევრფინალში გასვლა ბრწყინვალე შედეგია. „ტულონს" ერთი დანაკლისი აქვს - ტრავმის გამო ვერ ითამაშებს შუამარბი **მაფილეო კეფუ.** სამაგიეროდ, გუნდის მთავარი მწვრთნელის **ფილიპ სენტ-ანდრეს** განკარგულებაში არიან **ტანა უმაგა, ჯონი ვილკინსონი, ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე, ჯო ფანიკერკი** და სხვები.

პირველ წრეში „ტულონმა" 19:10 მოიგო. Planetrugby-ს პროგნოზით, „ბრივი", რომელსაც შინ ოქტომბრის მერე არ წაუგია, მცირე სხვაობით მოიგებს.

პირდაპირ ნახევარფინალში მოხვედრის კარგი შანსი აქვს **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს", რომელიც სტუმრად ეთამაშება მეშვიდეადგილოსან „ბიარიცს". ერთი შეხედვით, „ვულკანებს" ამ მატჩში მეტი მოტივაცია აქვთ, მაგრამ მთლად ასეც არ არის. ბასკური გუნდი გამარჯვების შემთხვევაში მეშვიდე ადგილს დაიკავებს და „ჰეინეკენის თასის" საგზურს მოიპოვებს. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბიარიცელებს ერთი კვირის შემდეგ ამავე ტურნირის ნახევარფინალი აქვთ სათამაშო.

„კლერმონთან", სავარაუდოდ, ვერ ითამაშებს „ბირიცის" წამყვანი მორაგბე **იმანოლ არინორდოკი,** რომელმაც ცხვირი გაიტეხა და შესაძლოა, ოპერაცია დასჭირდეს. „ვულკანებს" კი დააკლდებათ წინა ტურში „კასტრთან" მატჩში დაშავებული ცხრა ნომერი **მორგან პარა.** გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ახალზელანდიელმა **ვერნ კოტერმა** დასვენების საშუალება მისცა **ენტონი ფლოშს** და **ალექსანდრ ლაპანდრის.** სამაგიეროდ, ტრავმა მოიშუშეს და მწყობრში არიან **მარტინ სკელცო** და **ლიონელ ფორი.**

პირველ წრეში „ბიარიცმა" 16:13 მოიგო. Planetrugby-ს აზრით, ბასკური გუნდი, რომელსაც შინ დეკემბრის მერე არ წაუგია, მინიმუმ ოთხი ქულით მოიგებს.

**მამუკა გორგოძისა** და **გიორგი ჩხაიძის** „მონპელიე" შინ ეთამაშება უმოტივაციო „ბურგუენს". დიდი ამოცანები დასახული არც „მონპელიეს" აქვს. ჩვენებურთა გუნდისთვის პრესტიჟის საქმე იქნება, თუ სატურნირო ცხრილში „სტად ფრანსეს" გადაასწრებენ.

პირველ წრეში „მონპელიემ" მეტოქე 23:20 დაამარცხა. მონპელიელები შინ ბრწყინვალედ თამაშობენ და Planetrugby-ს პროგნოზით, გამარჯვება მინიმუმ 10 ქულით მასპინძლებს დარჩებათ.

ამბები

## IRB-ს ერთა თასის მონაწილე გუნდები ცნობილია

საქართველოს ნაკრები ივნისში რუმინეთის დედაქალაქში IRB-ს ერთა თასის გათამაშებაში იასპარეზებს. „ბორჯღალოსნებმა" ამ ტურნირს შარშან „ჩერჩილის თასზე" თამაში ამჯობინეს, წლეულს კი ისევ ბუქარესტს ეწვევიან. ტურნირი ნელ-ნელა ძალას იკრებს და პრესტიჟული ხდება. შესაბამისად, მონაწილე გუნდების დონეც პროპორციულად მატულობს.

საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებების გარდა, წლევანდელ გათამაშებაში ნამიბიის, შოტლანდიის A, არგენტინის A და იტალიის A ნაკრებები იასპარეზებენ. თითოეულ გუნდს სამ-სამი თამაში უწევს და გამარჯვებული ის იქნება, ვინც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს.

შეხვედრები 11, 15 და 20 ივნისს გაიმართება.

## ბოკეს ბანაკში ქაოსია

სამხრეთი აფრიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **პიტერ დე ფილიერსმა** ქვეყნის რაგბის მმართველი ორგანოს ხელმძღვანელებთან შეხვედრა ითხოვა. „ბოკეს" თავკაცი, სავარაუდოდ, მწვრთნელთა შტაბიდან რამდენიმე კაცის გაშვების საკითხს დააყენებს, რადგან ისინი მასთან, ფაქტობრივად, არ მუშაობენ.

*„მე „სპრინბოკის" ბოსი ვარ. მყავს ასისტენტები, რომლებიც ვალდებულნი არიან, დამეხმარონ, ჩემთან ერთად იმუშაონ, მაგრამ ისინი ამას არ აკეთებენ. უკვე მქონდა კონტაქტი სამხრეთი აფრიკის რაგბის კავშირის ხელმძღვანელებთან, რომლებმაც მითხრეს, რომ საკმარისია ამ ადამიანების ვინაობა დავასახელო, ისინი გუნდს დატოვებენ.*

*საქმე ჩემს პირად ინტერესებს არ ეხება. პრობლემა ნაკრებისთვისაა აქტუალური. ჩვენგან ყველა მსოფლიოს ჩემპიონობას ელოდება. ეს კი თავისთავად არ ხდება. ძალიან ბევრი, ერთობლივი მუშაობა და მხარდაჭერაა საჭირო. ამას კი მე მწვრთნელთა შტაბის ზოგიერთი წევრისგან ვერ ვგრძნობ.*

*დადის ხმები, რომ თითქოს ნაკრებს შერკინების მწვრთნელი გარი გოლდი, კაპიტანი ჯონ სმიტი და ვიცე-კაპიტანი ვიქტორ მეტფილდი მართავენ და არა მე. ჩემთვის ცნობილია, ვინაა ამ დეზინფორმაციის ავტორი. ის გუნდიდან აუცილებლად მოიკვეთება, რადგან მსგავსი ჭორებით ვითარებას ამღვრევს და ქაოსს თესავს,"* - თქვა „ბოკეს" მთავარმა მწვრთნელმა.

პიტერ დე ფილიერსს დიდი ხანია, დაძაბული ურთიერთობა აქვს გარი გოლდთან. სავარაუდოდ, ის ნაკრებიდან მოსაკვეთთა სიაში პირველი იქნება. დე ფილიერსი სამხრეთი აფრიკის რაგბის კავშირის შეფებს 17 მაისს შეხვდება.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ დე ფილიერსს გარი გოლდის ნაცვლად ნაკრებში კეიპთაუნის „სტორმერზის" შერკინების მწვრთნელის **მეთიუ პროუდფუტის** მიწვევა სურს.




პიერ დე ფილიერსი და გარი გოლდი

## შავი ზღვის თასი ბათუმში

28 ივნისს დაიწყება და 4 ივლისამდე გასტანს ბათუმში „შავი ზღვის თასის" გათამაშება. ტურნირში ექვსი ქვეყნის ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებებს უნდა ეასპარეზათ, მაგრამ რუსეთმა და რუმინეთმა სხვადასხვა მიზეზის გამო ბათუმში ჩამოსვლას თავი აარიდეს.

ამრიგად, ზაფხულში საქართველოს შავიზღვისპირეთს პოლონეთის, უკრაინისა და მოლდოვის ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებები ეწვევიან. ტურნირის პარალელურად, ბათუმშივე გაიმართება მწვრთნელთა და მსაჯთა საერთაშორისო სემინარი.

## პირი ვეპუ საფრანგეთში



ახალი ზელანდიისა და ველინგთონის „ჰარიკენზის" ცხრა ნომერი **პირი ვეპუ** შესაძლოა მომავალი სეზონიდან საფრანგეთის ერთ-ერთ კლუბში გადაბარგდეს. მსოფლიო თასამდე ერთი წლით ადრე ვეპუ ევროპაში გადასვლის იდეას დადებითად აღიქვამს.

ახალ ზელანდიაში გავრცელებულია აზრი, რომ სამხრეთნახევარსფეროელი მორაგბეები მსოფლიო თასის წინ ევროპაში სათამაშოდ წასვლას უნდა ერიდონ. პირი, რომელიც 26 წლისაა და „ოლ ბლექსში" 35 კეპი მოიპოვა, სხვაგვარად ფიქრობს.

„ევროპაში თამაში სასარგებლო იქნება როგორც ფინანსურად, ისე სპორტული თვალსაზრისათ. მართალი გითხრათ, მომწყინდა ახალი ზელანდიის ნაკრებში სათადარიგოთა სკამის ხეხვა. ყველაფერს ვილონებ, ძირითად შემადგენლობაში ადგილი რომ დავიმკვიდრო", - განაცხადა მან.

ალსანიშნავია, რომ „ოლ ბლექსის" მთავარი მწვრთნელი **გრემ ჰენრი** უპირატესობას **ჯიმი ქოუანს** ანიჭებს. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ ბოლო 15 მატჩიდან 14-ში ვეპუ სათადარიგოთა შორის იყო. ასე რომ, მისთვის საფრანგეთში გამგზავრების გადაწყვეტილების შეცვლა საკმაოდ გაძნელდება. ამასთან, საიდუმლოდ რჩება იმ კლუბის სახელი, რომელიც ვეპუს ეპატიჟება.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# შავი მამბას შავი დღე




„ჩიკაგოსა“ და „კლივლენდის“ სერიის მესამე მატჩს ორი გმირი ჰყავდა - **დერეკ როუზი** და **ლებრონ ჯეიმსი**, მაგრამ იმ დღეს ჩიკაგოელი გულშემატკივრებისგან აღიარება მხოლოდ პირველ მათგანს ერგო. ადგილობრივმა ფანებმა რამდენიმე წუთით გონება დაკარგეს და ერთხმად გაჰყვიროდნენ: „M-V-P, M-V-P, M-V-P!“ რა თქმა უნდა, ყველამ კარგად იცის, რომ ამ სეზონში ეს სიტყვები ყველაზე მეტად ლებრონ ჯეიმსს შეეფერება, მაგრამ როუზმა ამ ერთ მატჩში მოიპოვა აღიარება, არადა „მეფე“ მასზე უარესი ნამდვილად არ ყოფილა. ლებრონმა მორიგი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა - სამმაგ-დუბლამდე ორი პასი დააკლდა, რასაც 3 დაფარება და 2 ჩაჭრა დაუმატა. მიუხედავად ამისა, **ვინი დელ ნეგროს** შეგირდებმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინეს, ფავორიტს გამარჯვება გამოსტაცეს და ნაწილობრივ დაუბრუნეს ინტრიგა სერიას.

მაგრამ ეს გამარჯვება მხოლოდ როუზის დამსახურება არ არის. ამაში დიდი წვლილი **კირკ ჰაინრიხს, ლუოლ დენგსა** და **ჟოაკიმ ნოას** მიუძღვით - თითოეული მათგანი საკუთარ კედლებში ბოლომდე დაიხარჯა. ჯერ კიდევ პირველ მეოთხედში, როცა „ჩიკაგომ“ ძალიან იოლად მოიპოვა ორნიშნა უპირატესობა, ცხადი გახდა, რომ სტუმრებს ამ მატჩში ძალიან გაუჭირდებოდათ ზედიზედ მესამე გამარჯვების მოპოვება. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მომდევნო 20 წუთის განმავლობაში „მოკრძალებული“ ნოა ფარქვეშ იოლად უმკლავდებოდა **შაკილ ო'ნილსა** და **ანდერსონ ვარეჟაოს**, რომლებსაც ვერაფრით გაეგოთ, რა მოეხერხებინათ ამ ბიჭისთვის. ჰაინრიხი დისტანციიდან მაღალი პროცენტით აგდებდა ბურთებს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ კარიერაში ერთ-ერთ საუკეთესო მატჩს ატარებდა. ასე მეთოდურად იზრდებოდა მასპინძლების უპირატესობა.

„კავალერისტებმა“ იმ მომენტში გაიღვიძეს, როცა მათი დამრიგებელი და გულშემატკივართა უმრავლესობა ინფარქტისწინა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამ დროს ანგარიში 68:47 იყო. „კლივლენდი“ შოკიდან **მო უილიამსის** მონდომებამ გამოიყვანა - სტუმრებმა 12 უპასუხო ქულა ჩააგდეს და ოდნავ გამოასწორეს მდგომარეობა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ „კლივლენდს“ ძალიან უნდა მოენდომებინა მეტოქესთან ჩამორჩენის მაქსიმალურად შესამცირებლად. და მაინც, ლებრონმა და კომპანიამ ეს მოახერხა - „კლივლენდის“ ხუთმა სხვადასხვა კალათბურთელმა სხვადასხვა წერტილიდან ჩააგდო სამქულიანი, გარდა ამისა, ჯეიმსმა და **ანტუან ჯეიმისონმა** ბოლო მეოთხედში შესაბამისად 13 და 11 ქულა დააგროვეს. და მაინც, სტუმრებს დრო არ ეყოთ ანგარიშის გასათანაბრებლად - მოედნის ცენტრიდან საფინალო სირენასთან ერთად **პარკერის** მიერ ნასროლი ბურთი მიზანს ასცდა.

■ ■ ■

არანაკლებ დაძაბული გამოვიდა დასავლეთი კონფერენციის პირველი და მერვე გუნდების მორიგი შეხვედრა და ამჯერად მოქმედმა ჩემპიონმა წინა ორი მატჩისგან განსხვავებით დამარცხებულმა დატოვა მოედანი. **რონ არტესტმა** და **ენდრიუ ბინუმმა** სტარტზე განსაკუთრებით იაქტიურეს და მეორე წუთისთვის „ლეიკერსი“ 10:0-ის იგებდა. აქედან მოყოლებული, სტუმრები სამი მეოთხედის განმავლობაში კატათაგვობანას ეთამაშებოდნენ მეტოქეს - ხან 12 ქულით დაშორდებოდნენ „ოკლაჰომას“, ხან კი სამ ქულამდე მიახლოების საშუალებას აძლევდნენ მას. ყველაფერი მას შემდეგ შეიცვალა, რაც **ჯეიმს ჰარდენმა** და **კევინ დურანტმა** ბოლო შესვენების წინ ორი სამქულიანით გამოიჩინეს თავი. მაშინ ჯერ კიდევ არავინ იცოდა, რომ ეს „თანდერის“ შთამბეჭდავი გაქცევის (24:8) დასაწყისი იყო.

არც ისე სასიამოვნო სანახავი იყო **კობი ბრაიანტის** წვალება ბოლო მეოთხედში - ცხრიდან შვიდი აცილებული ბურთი, დაფარება დურანტისგან, შეცდომა და პერსონალური, სულ კი მატჩში 29-დან 10 რეალიზებული ტყორცნა. გასაკვირი არ არის, რომ ბოლოს ჩემპიონის რიგებში სამქულიანებს კობის გარდა ყველა აგდებდა - არტესტი, **ლამარ ოდომი, დერეკ ფიშერი**. და კარგი იქნებოდა, საფინალო სირენამდე 40 წამით ადრე (მასპინძლები ოთხი ქულით იყვნენ წინ), „ლეიკერსის“ შეტევა ბრაიანტის გარდა ნებისმიერ სხვა კალათბურთელს დაესრულებინა. ბრაიანტის მორიგი აცილებული ბურთი „ლეიკერსისთვის“ განაჩენი აღმოჩნდა, რომელიც სისრულეში ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშემ და რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა - კევინ დურანტმა მოიყვანა. საერთოდ, იმ საღამოს კევინმა თვალნათლივ დაგვანახვა, რომ მას კობიზე არანაკლებ ეხერხება სასწაულების მოხდენა. სხვათა შორის, ბრაიანტმა ხუთჯერ ვერ შეძლო მასპინძელთა ლიდერის ერთი ერთზე მოტყუება.

ერთადერთი, რაც ამ მატჩში ბრაიანტს გამოუვიდა, საკლუბო რეკორდის გაუმჯობესება იყო - კობი „ლეიკერსის“ ისტორიაში პლეი ოფის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა მესამე მეოთხედში მოხდა და „შავმა მამბამ“ ლეგენდარულ **ჯერი უესტს** გაუსწრო, რომლის ანგარიშზე 4457 ქულა იყო. ბრაიანტის ამჟამინდელი მონაგარი კი 4465 ქულას შეადგენს. ამ მაჩვენებლით ის ყველა დროის სიაში მეხუთე ადგილზე გადავიდა. რაც შეეხება კევინ დურანტს, თამაშიდან ტყორცნების რეალიზაცია არც მას უვარგოდა, სამაგიეროდ, 19 მოხსნით არამარტო ამ სეზონის, არამედ სამწლიანი კარიერის პირადი რეკორდი დაამყარა. ასევე უნდა აღვნიშნოთ ლიდერთა დამხმარეები - **რასელ უესტბრუკი** და **პაუ გასოლი**, რომლებმაც ამჯერადაც შინაარსიანი კალათბურთი აჩვენეს. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ გამთამაშებლისა და ფორვარდის დუელზე იქნება დამოკიდებული, რა ხასიათზე დაბრუნდებიან გუნდები ლოს ანჯელესში.

■ ■ ■

ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო „პორტლენდისა“ და „ფინიქსის“ მესამე მატჩზე. „სანზმა“ ძალიან იოლად დაიბრუნა საკუთარი მოედნის უპირატესობა. სტუმრებმა მეტოქეს ჯერ კიდევ პირველ მეოთხედში დაუკარგეს ბრძოლის სურვილი. 34:18 - ასეთი ანგარიშით მოიგო „ფინიქსმა“ პირველი 12 წუთი, მეორეში კი პლეი ოფის მატჩებისთვის სრულიად მიუღებელი და სამარცხვინო სხვაობა (+31) დააფიქსირა. „თრეილ ბლეიზერსის“ სამწვრთნელო შტაბს არც კი უფიქრია სიტუაციის გამოსასწორებლად ძალების გახარჯვა და სარეზერვო კალათბურთელებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება. ისინი სასტარტო ხუთეულის მოთამაშეებზე ცუდად არ გამოიყურებოდნენ და მათზე მხოლოდ 5 ქულით ნაკლები დააგროვეს, თანაც ტყორცნების რეალიზაციის უკეთესი პროცენტი ჰქონდათ. მაგრამ ეს ყველაფერი ფერმკრთალდება **ჯეისონ რიჩარდსონის** გამოსვლის ფონზე, რომელმაც კარიერაში თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. თამაშიდან ჩაგდებული 13 სროლა (19-დან), 12-დან 8 სამქულიანი, 10-დან 8 საჯარიმო, 8 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 2 პასი საშუალებას აძლევს ამ მცველს, ლებრონ ჯეიმსთან ერთად დღის გმირის სტატუსზე განაცხადოს პრეტენზია. *„სიმართლე გითხრათ, გაკვირვებული ვარ. ისინი უბრალოდ ბურთის სროლის საშუალებას მაძლევდნენ. სულ ეს არის წარმატების საიდუმლო“*, - ასე მოკლედ შეაფასა თავისი გმირობა „სანზის“ კალათბურთელმა.

**ჩიკაგო-კლივლენდი 108:106**

**32:21, 24:24, 23:23, 29:38**

ჩ: როუზი (31+7 პასი), ჰაინრიხი (27+5 მოხსნა+5 პასი), დენგი (20), ნოა (10+15 მოხსნა+5 პასი), მილერი (10+5 მოხსნა).

კ: ჯეიმსი (39+10 მოხსნა+8 პასი+3 დაფარება), უილიამსი (21), ჯეიმისონი (19+11 მოხსნა).

**სერია: 1:2**

**ოკლაჰომა-ლეიკერსი 101:96**

**22:27, 21:23, 31:25, 27:21**

ო: დურანტი (29+19 მოხსნა), უესტბრუკი (27+8 მოხსნა), ჰარდენი (18+5 მოხსნა), გრინი (10).

ლ: ბრაიანტი (24+8 აეპელთჩ), გასოლი (17+15 მოხსნა+6 პასი), ფიშერი (17), ბინუმი (13+7 მოხსნა), არტესტი (11).

**სერია: 1:2**

**პორტლენდი-ფინიქსი 89:108**

**16:34, 21:32, 23:15, 29:27**

პ: ოლდრიჯი (17+7 მოხსნა), უებსტერი (14+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), ბეილესი (14), ფერნანდესი (12), მილერი (11+9 პასი), კემბი (6+10 მოხსნა).

ფ: რიჩარდსონი (42+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), სტაუდმაიერი (20), ნეში (13+10 პასი), დრაგიჩი (10), ჰილი (8+7 მოხსნა).

**სერია: 1:2**

სხვადასხვა

კალათბურთი

## ბრუქსი ყველაზე პროგრესირებადია

„ჰიუსტონ როკეტსის“ გამთამაშებელმა **აარონ ბრუქსმა** გასული სეზონის ყველაზე პროგრესირებადი მოთამაშის პრიზი მიიღო.

ბრუქსი 2009 წლის თებერვალში გადავიდა „ორლანდოდან“ „ჰიუსტონში“ და მაშინვე „რაკეტების“ სასტარტო შემადგენლობაში დაიკავა ადგილი. ამ ტრანსფერის შემდეგ მისი სტატისტიკური მაჩვენებლები ყველა სათამაშო კომპონენტში გაიზარდა და ასეთ ნიშნულს მიაღწია - 19.6 ქულა (11.2 - 2008-09 წლების სეზონში), 5.3 შედეგიანი პასი (3.0), 2.6 მოხსნა (2.0), 0.8 ჩაჭრა (0.6), თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციის 43.2 პროცენტი (40.4) და სამქულიანების გამოყენების 39.8 პროცენტი (36.6).

ბოლო 10 წლის განმავლობაში ბრუქსი „ჰიუსტონის“ პირველი მოთამაშეა, რომელმაც ლიგის მიერ დაწესებული ერთ-ერთი პრიზი მოიგო. 2000 წელს ამ გუნდის მცველი **სტივ ფრენსისი** წლის საუკეთესო ახალბედა გახდა.

## უოლი დრაფტზე იქნება

„კენტუკის“ საუნივერსიტეტო გუნდის ლიდერმა, გამთამაშებელმა **ჯონ უოლმა** ოფიციალურად დააყენა თავისი კანდიდატურა 2010 წლის დრაფტზე. ნიჭიერ მცველს ჯერ არ დაუქირავებია აგენტი, მაგრამ უახლოეს დღეებში მოაგვარებს ამ საკითხს.

თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ უოლი მომავალი დრაფტის პირველი ნომერი გახდება. 2009-10 წლების სეზონში NCAA-ის ჩემპიონატში უოლის სტატისტიკა 16.9 ქულას, 4.2 მოხსნასა და 6.4 შედეგიან გადაცემას შეადგენდა.

## ფიშერი წასვლას არ აპირებს

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ვეტერანი მცველი **დერეკ ფიშერი** არ აპირებს კარიერის დასრულებას. 35 წლის კალათბურთელს ამ ზაფხულს უმთავრდება კონტრაქტი კალიფორნიულ კლუბთან, მაგრამ დიდი სპორტიდან წასვლაზე ჯერ არ დაფიქრებულა. ფიშერი იმასაც ამბობს, რომ, შესაძლოა, მომავალი სეზონიდან აღარ მოუწიოს რომელიმე ტოპგუნდში თამაშმა.

*„ჯერჯერობით ყველანაირი ფიქრი კარიერის დასრულებაზე გვერდზე გადავდე. მომავალშიც მსურს კალათბურთის თამაში. იქამდე ვაპირებ სპორტში დარჩენას, სანამ NBA-ის ერთ გუნდს მაინც მოუნდება ჩემთან ურთიერთობა. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ლიგის წამყვან კლუბებში ვითამაშებ. ნებისმიერ წინადადებას განვიხილავ“*, - ამბობს ფიშერი.

ჰოკეი

## შვედეთმა პირველი ნომერი დაკარგა

მსოფლიოს მოახლოებული ჩემპიონატის წინ შვედეთის ნაკრებმა ძირითადი მეკარე დაკარგა. „ნიუ იორკ რეინჯერსის“ გოლკიპერს **ჰენრიკ ლუნდკვისტს**, რომელიც ვანკუვერის ოლიმპიადაზე „ტრე კრუნურის“ პირველი ნომერი იყო, მუხლთან დაკავშირებული პრობლემები აღმოაჩნდა.

*„მუხლის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, ამიტომაც უარი უნდა ვთქვა მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლაზე. რთულია ასეთ დიდ ტურნირზე თამაში, როცა არც ფიზიკურად და არც ფსიქოლოგიურად არ ხარ მზად ყინულზე გასასვლელად“*, - ამბობს ლუნდკვისტი.

## რეინჯერსმა ნორვეგიელი სენსაცია გაიფორმა

„ნიუ იორკ რეინჯერსმა“ ვანკუვერის ოლიმპიადის ერთ-ერთი აღმოჩენად მონათლული ნორვეგიელი ჰოკეისტი - თავისუფალი აგენტი **მატს ზუკარელო-აასენი** გაიფორმა. ამ გარიგების შესახებ კლუბი მოგვიანებით გამოაცხადებს. სკანდინაველმა ჰოკეისტმა ბოლო სეზონი შვედეთის კლუბ „მოდოში“ გაატარა და 55 შეხვედრაში 64 ქულა (23 გოლი+41 შედეგიანი პასი) დააგროვა. 23 წლის მარჯვენა თავდამსხმელით „ტორონტო“, „დეტროიტი“, „ედმონტონი“ და „ჩიკაგო“ იყვნენ დაინტერესებული.

საერთაშორისო წესების თანახმად, ოფიციალურად კონტრაქტის გაფორმება მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ უნდა გამოცხადდეს.

## ვინ გახდება წლის დებიუტანტი?

ჰოკეის ეროვნული ლიგა აგრძელებს სეზონის სხვადასხვა პრიზზე ნომინანტების დასახელებას. ცნობილი გახდა რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო დებიუტანტისთვის განკუთვნილი ჯილდოს - „კალდერ ტროფის“ პრეტენდენტები. აღსანიშნავია, რომ სამივე ნომინანტი სხვადასხვა ამპლუის წარმომადგენელია.

პირველი მათგანია „დეტროიტ რედ უინგზის“ მეკარე **ჯიმი ჰოვარდი**. ამჟამად 26 წლის გოლკიპერი თავის გუნდთან ერთად სტენლის თასისთვის ბრძოლას აგრძელებს.

მცველებიდან ნომინანტებს შორის მოხვდა **ტაილერ მაიერსი**, რომელიც „ბაფალო სეიბრზის“ აღმოჩენილია. მიუხედავად 20 წლის ასაკისა, ის „სეიბრზის“ მცველებს შორის ყველაზე დიდ სათამაშო დროს იღებს.

მესამე ნომინანტი გახდა „კოლორადო ეველანშის“ ფორვარდი **მეტ დუშენი** - დებიუტანტებს შორის რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. ახლა ეს თავდამსხმელი პლეი ოფში თამაშობს და „სან ხოსესთან“ სერიის ოთხ მატჩში სამი ქულა დააგროვა.

დავამატებთ, რომ სპეციალისტებისთვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა ნომინანტებს შორის „ბოსტონ ბრუინზის“ მეკარის **ტუუკი რასკის** არყოფნა.

კრივი

## ბრილიანტის ქამარი მეივეზერისთვის

მსოფლიოს საკრივო საბჭოს (WBC) პრეზიდენტმა **ხოსე სულეიმანმა ფლოიდ მეივეზერსა** და **შეინ მოსლის** ბრძოლაში გამარჯვებულისთვის თავისი ორგანიზაციის ბრილიანტის ქამარი დააწესა. მან ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, როცა შეიტყო, რომ მეივეზერი იმ შემთხვევაშიც ვერ მიიღებს WBA-ის საჩემპიონო ტიტულს, თუ 1 მაისს მოსლის დამარცხებას მოახერხებს.

*„არ შეიძლება ასეთი დონის შეხვედრა უბრალო ბრძოლად მოინათლოს, სადაც მოკრივეები რინგზე ფულის მისაღებად და გამარჯვებულის გამოსავლენად გამოდიან*, - ამბობს სულეიმანი. - *ეს არის შეხვედრა ორი უმაღლესი დონის მოკრივეს შორის, რომლებიც უკვე შევიდნენ კრივის ისტორიაში. ამიტომაც ეს ვერ იქნება ჩვეულებრივი ბრძოლა. ეჭვგარეშეა, რომ WBC-ის ბრილიანტის ქამარი ღირსეული ჯილდო იქნება გამარჯვებულისთვის“*.

სულეიმანმა ისიც დაამატა, რომ თუ მას რინგზე არ მისცემენ ჯილდოს გადაცემის უფლებას, გამარჯვებულს პრიზს გასახდელში გადასცემს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი — NHL პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# ერთი სერია დასრულდა



სტენლის თასზე პირველი მეოთხედფინალისტი გამოვლინდა. „ფილადელფია ფლაიერზმა" ნამდვილი სიურპრიზი შემოგვთავაზა, როცა აღმოსავლეთი კონფერენციის ერთ-ერთ ფავორიტს - „ნიუ ჯერსი დევილზს" ხუთ მატჩში მოუგო სერია.

ფილადელფიელთა მორიგი წარმატების მთავარი გმირი მეკარე **ბრაიან ბუშე** გახდა, რომელიც ნომინალურად კლუბის მესამე გოლკიპერად ითვლება. ბუშემ 28 დარტყმა მოიგერია და შეხვედრა გაშვებული შაიბის გარეშე დაასრულა.

სამიდან ორი გოლი „მფრინავებმა" რიცხობრივ უპირატესობაში გაიტანეს, „ნიუ ჯერსიმ" კი მთელი მატჩის განმავლობაში ცხრაჯერ (!) ვერ გამოიყენა ზედმეტი მოთამაშე.

საინტერესოა, რომ ახალ არენაზე („პრუდენშიალ ცენტრი") გადასვლის შემდეგ, „ნიუ ჯერსი" ვერ ახერხებს სტენლის თასზე პირველი ეტაპის გადალახვას. უფრო მეტიც, „ეშმაკებმა" საშინაო სტადიონზე პლეი ოფის 10 მატჩიდან მხოლოდ სამი მოიგეს.

■ ■ ■

სტენლის თასის მოქმედმა მფლობელმა „პიტსბურგ პინგვინზმა" საკუთარ მოედანზე დაკარგა „ოტავასთან" სერიის მოგების შანსი და კანადის დედაქალაქში მეექვსე მატჩის გამართვა მოუწევს. გუშინდელი შეხვედრის ბედი მესამე ოვერტაიმში გადაწყდა, როცა **მეტ კარკნერმა დანიელ ალფრედსონის** პასით 107-ე წუთსა და მესამე წამზე გაიტანა გადამწყვეტი შაიბა. ეს იყო მიმდინარე პლეი ოფის ყველაზე გრძელი მატჩი.

„პიტსბურგის" ლიდერმა **სიდნი კროსბიმ** ამ მატჩში გოლი და შედეგიანი პასი მიითვალა: კანადელი ვარსკვლავი პლეი ოფის შეხვედრებში ჯერჯერობით ორ ქულაზე ნაკლებს არ აგროვებს და 13 ქულით სტენლის თასის გათამაშების საუკეთესო ბომბარდირია.

მატჩის მთავარი გმირი კი არა მეტ კარკნერი, არამედ „ოტავას" მეკარე **პასკალ ლეკლერი** გახდა, რომლისთვისაც ეს დებიუტი იყო პლეი ოფში. მწვრთნელების ნდობის გასამართლებლად მას 56 დარტყმის მოგერიება მოუხდა.

■ ■ ■

„ჩიკაგომ" „ნეშვილში" გამარჯვებით დაიბრუნა საკუთარი მოედნის უპირატესობა. **პატრიკ შარპის** დუბლისა და **ანტი ნიემის** შათაუტის გარდა, ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ჩიკაგოელთა დაცვას, რომელიც განსაკუთრებით კარგად რიცხობრივი უმცირესობისას თამაშობდა. აღსანიშნავია, რომ ამ სერიაში „ნეშვილს" ჯერ რიცხობრივი უპირატესობა არ გამოუყენებია.

ამ გუნდს ასევე არ მატებს ოპტიმიზმს წამყვანი ფორვარდის - **პატრიკ ჰორნკვისტის** არყოფნა. შვედმა სნაიპერმა უკვე ზედიზედ მესამე მატჩი გამოტოვა და ჯერ უცნობია მისი დაბრუნების თარიღი.

■ ■ ■

„სან ხოსემ" გაანადგურა „კოლორადო ეველანში" და სერიაში პირველად გავიდა წინ. პლეი ოფში თავის 70-ე საიუბილეო შეხვედრაში შათაუტი შეასრულა **ევგენი ნაბოკოვმა** და ყველაზე მეტი წვლილი დაიდო „ზვიგენების" გამარჯვებაში.

მატჩისა და მთლიანად სათამაშო დღის ერთ-ერთი გმირი გახდა ახალგაზრდა ფორვარდი **ლოგან კუტიური,** რომლის ანგარიშზე დუბლი მოდის.

**პიტსბურგი-ოტავა 3:4 (ვო)**

**1:2, 1:0, 1:1, 0:0, 0:0, 0:1**

**გოლები:** 0:1 ფიშერი-2 (ე. კარლსონი-4, სპეცა-5), 0:2 ი. რუუტუ-2 (ფოლინო-1, კ. კელი-4), 1:2 ლეტანგი-2 (გერინი-4, მალკინი-2), 2:2 კუნიტცი-2 (კროსბი-8, გერინი-5), 3:2 კროსბი-5 (მალკინი-3), 3:3 რეგინი-3 (სპეცა-6, ე. კარლსონი-5), 3:4 კარკნერი-1 (ალფრედსონი-5, ფიშერი-2).

**სერია: 3:2**

**ნიუ ჯერსი-ფილადელფია 0:3**

**0:1, 0:2, 0:0**

**გოლები:** 0:1 ბრიერი-2 (ჟირუ-2, მ. რიჩარდსი-5), 0:2 ჟირუ-3 (მ. რიჩარდსი-6), 0:3 ჟირუ-4 (ჰარტნელი-1, ბრიერი-3).

**სერია: 1:4**

**სან ხოსე-კოლორადო 5:0**

**0:0, 3:0, 2:0**

**გოლები:** 1:0 კუტიური-1 (ჰიტლი-2, მარლო-2), 2:0 პაველსკი-3 (ბოილი-3, სეტოგუჩი-2), 3:0 ჰელმინენი-1 (ნიკოლი-1, დ. მიურეი-2), 4:0 კუტიური-2 (ქლოუ-5, სეტოგუჩი-3), 5:0 მარლო-1 (ჰიტლი-3, დემერსი-1).

**სერია: 3:2**

**ნეშვილი-ჩიკაგო 0:3**

**0:1, 0:2, 0:0**

**გოლები:** 0:1 შარპი-1 (ჰ. კეინი-2, ტეუვზი-2), 0:2 ტეუვზი-1 (მარიან ჰოსა-2, ბიკელი-1), 0:3 შარპი-2 (ჰიალმარსონი-1, სოპელი-2).

**სერია: 2:2**

# დომინატორი ისევ ჩემპიონია

ლეგენდარულმა ჩეხმა გოლკიპერმა **დომინიკ ჰაშეკმა** თავისი პრიზების კოლექცია კიდევ ერთი ჯილდოთი შეავსო. 45 წლის მეკარემ „პარდუბიცეს" შემადგენლობაში ჩეხეთის ჩემპიონატი მოიგო. ფინალური სერიის მეოთხე მატჩში „დომინატორის" გუნდმა ოვერტაიმში 3:2 მოუგო „ვიტკოვიცეს" და სერიაში გამანადგურებელი ანგარიშით - 4:0 გაიმარჯვა.

როგორც იცით, ჰაშეკმა მეორედ კარიერა 2008 წელს დაასრულა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც „დეტროიტთან" ერთად სტენლის თასი მოიგო, თუმცა მოგვიანებით „პარდუბიცეში" თამაში გადაწყვიტა. სწორედ აქ აპირებს ის სპორტიდან სამუდამოდ წასვლას.

ჰაშეკი ჩეხეთის ჩემპიონატის პლეი ოფის ერთ-ერთი მთავარი გმირი გახდა. „დომინატორი" კარიერაში მესამედ გახდა ჩეხეთის ჩემპიონი. გარდა ამისა, მას მოგებული აქვს ნაგანოს ოლიმპიური თამაშები და ორჯერ - სტენლის თასი.

ჰაშეკს მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე თამაშის შანსი ჰქონდა, მაგრამ ჩეხეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ რუჟიჩკამ** ვეტერანს „ფლორიდა პანტერზის" მეკარე **ტომაშ ვოკოუნი** ამჯობინა. საქმე ისაა, რომ „დომინატორმა" გერმანიაში გასამართ ტურნირზე პირველი მეკარის სტატუსი მოითხოვა.

მძლეოსნობა

# ოლიმპიურმა ჩემპიონმა დოპინგი აღიარა

ამერიკის მძლეოსანთა ნაკრებში გრანდიოზული დოპინგსკანდალი აგორდა. 400 მეტრზე სირბილში მსოფლიოსა და ოლიმპიადის მოქმედი ჩემპიონის - **ლაშონ მერიტის** სისხლში აკრძალული პრეპარატი აღმოაჩინეს. როგორც სპორტსმენის ადვოკატი **ჰოვარდ ჯეიკობსი** ამბობს, ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაწყებულია.

„მერიტმა თავად გამოთქვა გამოძიების დაწყების სურვილი. ის თვლის, რომ მისმა დოპინგსინჯმა დადებითი შედეგი ურეცეპტოდ გაცემული წამლის გამო აჩვენა. მერიტი ამ პრეპარატს პოტენციის ასამაღლებლად იყენებდა", - წერია ჯეიკობსის ოფიციალურ განცხადებაში.

მოგვიანებით ამ ისტორიის პირველი დეტალები გახდა ცნობილი. აკრძალული პრეპარატის კვალი სამ სინჯში აღმოჩნდა, რომლებიც 2009 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში და 2010 წლის იანვარში იქნა აღებული. დოპინგს, რომელიც მერიტმა მიიღო, პრეგნენოლონი ჰქვია.

„რთულია იმის გაცნობიერება, რომ დოპინგთან დაკავშირებული ეს სკანდალი იმის გამო აგორდა, რომ მე ამ პრეპარატს პირადი მიზნებისთვის ვხმარობდი. ნებისმიერი სასჯელი, რომელიც შეიძლება ამ საქციელისთვის მივიღო, ვერ შეედრება იმ დამცირებისა და სირცხვილის გრძნობას, რომელსაც ახლა განვიცდი. იმედი მაქვს, ჩემი ოჯახი, მეგობრები, სპონსორები და საერთოდ სპორტის სამყარო მაპატიებს ამ სულელურ და ეგოისტურ შეცდომას", - ამბობს მერიტი.



როგორც „როიტერი" იტყობინება, მერიტს 2009 წლამდე სადოპინგო სამსახურებთან პრობლემები არ შექმნია. ასე რომ, მას არ ჩამოართმევენ 2008 წლის ოლიმპიადაზე მოპოვებულ ოქროს მედალს, რომელიც მერიტმა თანამემამულე **ჯერემი უორინერის** სენსაციური დამარცხების შემდეგ მიიღო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ჩეზენა-ემპოლი | 2:3 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| რაიო ვალეკანო-ხიმნასტიკი | 2:3 |
| **გერმანია** | |
| ბოხუმი-შტუტგარტი | 0:2 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კაიზერი-ჰანზა | 0:1 |
| კარლსრუე-ალენი | 1:0 |
| სტ. პაული-კობლენცი | 6:1 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ოფენბახი-ვეენი | 3:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბასტია-სტრასბური | 1:0 |
| დიჟონი-კლერმონი | 2:3 |
| გინგამი-შატორუ | 1:1 |
| ისტრი-ბრესტი | 1:0 |
| ლავალი-აიაჩო | 2:2 |
| ნანტი-სედანი | 1:3 |
| ტური-ვანი | 1:1 |
| მეცი-არლი | 1:2 |
| ნიმი-ანჟერსი | 0:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| გრააფსხაპი-აპელდოორნი | 3:5 |
| დორდრეჰტი-ვოლენდამი | 3:2 |
| ომნივორლდი-ექსელსიორი | 2:5 |
| ცვოლე-ფორტუნა | 3:0 |
| ჰელმონდი-ემენი | 2:0 |
| მაასტრიხტი-ტოპ ოსი | 5:1 |
| როსენდაალი-კამბური | 1:0 |
| ტელსტარი-ეინდჰოვენი II | 1:2 |
| ვეენდამი-იგლზი | 1:1 |
| **ბელგია** | |
| **პლეი ოფი** | |
| კორტრიიკი-ბრიუგე | 2:0 |
| **პორტუგალია** | |
| რიუ ავე-მარიტიმუ | 0:0 |
| **ფინეთი** | |
| ტამპერე-იუვიასკიულა | 0:2 |
| **ავსტრია** | |
| ზალცბურგი-რაპიდი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ავსტრია (ლ)-გრატკორნი | 0:2 |
| ავსტრია II-ტიროლი | 2:1 |
| დორნბირნი-ზალცბურგი II | 0:2 |
| ადმირა-ლუშტენაუ | 3:4 |
| ვენა-ჰარტბურგი | 1:2 |
| **ირლანდია** | |
| სტ. პატსი-სლიგო | 1:0 |
| დანდალკი-ბოჰემიანსი | 1:0 |
| გალვეი-დროგედა | 3:1 |
| შემროკი-ბრეი | 1:0 |

| | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| დერი-შელბურნი | 1:0 |
| კორკი-მონეგანი | 0:1 |
| ლიმერიკი-უექსფორდი | 2:0 |
| უოტერფორდი-ფინ ჰარპსი | 2:0 |
| **ჩეხეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დუკლა-ჩასლავი | 2:0 |
| იჰლავა-ვიტკოვიცე | 2:0 |
| **უკრაინა** | |
| არსენალი-ილჩივეცი | 3:1 |
| **პოლონეთი** | |
| არკა-კორონა | 1:2 |
| ლეგია-პიასტი | 3:0 |
| **ხორვატია** | |
| ზაგრები-მედიმურიე | 2:1 |
| ინკერი-სლავენი | 2:0 |
| **უნგრეთი** | |
| დებრეცენი-კაპოშვარი | 5:1 |
| **რუმინეთი** | |
| ჩახლაული-ასტრა | 0:0 |
| დინამო (ბ)-პოლიტეხნიკა | 1:1 |
| **ბელარუსი** | |
| პარტიზანი-დინამო (მნ) | 0:2 |
| **ლატვია** | |
| ტრანზიტსი-ვენტსპილსი | 0:2 |
| ოლიმპსი-სკონტო | 1:3 |
| **მოლდოვა** | |
| დაჩა-ოლიმპია | 2:4 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| გიოტინგენი-ბრემერჰავენი | 100:72 |
| ერტლანდი-ულმი | 82:70 |
| გესენი-ბამბერგი | 89:70 |
| ოლდენბურგი-მიტელდოიჩე | 71:46 |
| პადერბორნი-სკაილაინერსი | 72:83 |
| ტრირი-ფინიქსი | 78:77 |
| **საფრანგეთი** | |
| ორლეანი-ნანსი | 75:78 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| მვდ-აკ ბარსი | 3:2 |
| **გერმანია** | |
| აუგსბურგი-ჰანოვერი | 2:2 დ.დ. 0:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-სლოვანი | 5:2 |
| **ფინეთი** | |
| იუვიასკიულა-კალპა | 4:0 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ბარსელონა** | |
| ფერერი-ბელუჩი | 6:4, 6:0 |
| ვერდასკო-გულბისი | 6:2, 7:6 |
| სიოდერლინგი-შვანკი | 6:2, 6:3 |
| ცონგა-დე ბაკერი | 4:6, 6:3, 3:6 |

## TV პროგრამა

### 24 აპრილი. შაბათი

**I არხი**

16:30 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ვიტ ჯორჯია-დინამო (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

15:30 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. იაპონია-უკრაინა. ტილბურგი. ჰოლანდია (LIVE).
20:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
22:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-მილანი (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემ-უიგანი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ატალანტა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

15:40 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი (LIVE).
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემ-უიგანი (LIVE).
20:25 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
22:40 იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-მილანი (LIVE).
01:05 არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-რივერ პლეიტი (LIVE).
03:10 არგენტინის ჩემპიონატი. ურაკანი-ინდეპენდიენტე (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

06:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/8 ფინალი. ვანკუვერი-ლოს ანჯელესი. V მატჩი (LIVE).
15:45 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1/2 ფინალი. იტალია-ჩეხეთი (LIVE).
00:20 პროფესიული კრივი. Super Six World Boxing Classic. კარლ ფროჩი-მიკელ კესლერი. დანია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

14:55 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიოს ტური - BRASILIA OPEN. ქალები. მე-3 ადგილისთვის (LIVE).
17:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ბაიერნი (LIVE).
19:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ხერესი (LIVE).
21:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-რეალი (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-დეპორტივო (LIVE).

**EUROSPORT**

13:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. VIII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. VIII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

13:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. VIII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
17:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. VIII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 ხელბურთი. EHF-ის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. VIII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
23:45 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. VIII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

### 25 აპრილი. კვირა

**I არხი**

19:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**რუსთავი 2**

14:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ბირმინგემი (LIVE).
17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-კალიარი (LIVE).
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-სტოკი (LIVE).
21:30 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. ავსტრია-უკრაინა. ტილბურგი. ჰოლანდია (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი (LIVE).
22:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-სამპდორია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

14:55 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ბირმინგემი (LIVE).
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-სტოკი (LIVE).
20:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ტენერიფე (LIVE).
22:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მარსელი-სენტ ეტიენი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

14:20 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1/2 ფინალი. იტალია-ჩეხეთი (LIVE).
22:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/8 ფინალი. დეტროიტი-ფინიქსი. VI მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

15:25 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიოს ტური - BRASILIA OPEN. კაცები. მე-3 ადგილისთვის (LIVE).
16:55 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიოს ტური - BRASILIA OPEN. კაცები. ფინალი (LIVE).
17:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბარნლი-ლივერპული (LIVE).
22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-სამპდორია (LIVE).

**EUROSPORT**

12:00 მძლეოსნობა. ლონდონის მარათონი. ინგლისი (LIVE).
15:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ასენი. ჰოლანდია (LIVE).
16:00 ველოსპორტი. ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი. ბელგია (LIVE).
19:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. IX დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. ბირმინგემი. ინგლისი (LIVE).
22:15 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. IX დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

06:45 ავსტრალიური ფეხბურთი. კოლინგვუდი-ესენდონი (LIVE).
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. ასენი. ჰოლანდია (LIVE).
17:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. ასენი. ჰოლანდია (LIVE).
19:00 მინი-ფეხბურთი. უეფას თასი. მე-3 ადგილისთვის. ლისაბონი. პორტუგალია (LIVE).
21:30 მინი-ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. ლისაბონი. პორტუგალია (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუკეთესო ცუდი მოთამაშე ვარ

**ამერიკული ჩოგბურთის პირველ ნომერს, ენდი როდიკს პროფესიულ ტურში პაუზა აქვს აღებული. მაიამის მასტერსის შემდეგ მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანმა ჰავაის კუნძულებზე მოიწყო არდადეგები. აქ მას მეუღლე ბრუკლინ დეკერი ახლავს, რომელსაც ჰავაიზე თავისი საქმე აქვს. კერძოდ, ფოტომოდელი ახალი რომანტიკული კომედიის (Just Go With It) გადაღებებში მონაწილეობს.**

**ჰავაიში გამგზავრებამდე როდიკმა ვრცელი ინტერვიუ მისცა ჟურნალ Inside Tennis-ს, სადაც საკუთარ თავს საუკეთესო ცუდ ჩოგბურთელს უწოდებს. გთავაზობთ ამ ინტერვიუს ფრაგმენტებს.**

**- ენდი, თქვენ სპორტის დიდ გულშემატკივრად გიცნობენ. რა გაკვეთილს იღებთ სხვადასხვა მატჩისა და ტურნირის ცქერისგან?**

- ბედს მადლობას ვწირავ იმისთვის, რომ სპორტით ვარ დაკავებული. სწორედ ამ სფერომ მომცა ცხოვრებაში ჩემი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალება. ყველა სახეობას ვაფასებ და კარგად მაქვს გაცნობიერებული, რა დიდი მსხვერპლის გაღება უწევთ პროფესიონალებს მუდმივად ფორმაში ყოფნისთვის. ბევრი ადამიანი მხოლოდ საბოლოო შედეგს ხედავს და ფიქრობს, რომ სპორტსმენმა ერთი რიგითი მატჩი ჩაატარა და მეორეს ელოდება. მაგრამ მას ყოველ დილით ადრე ადგომა და სავარჯიშოდ წასვლა უწევს. აღფრთოვანებული ვარ ამ ადამიანების ნებისყოფით.

**- არჩევანის საშუალება რომ გქონოდათ, ჩოგბურთის ნაცვლად სპორტის რომელ სახეობას გაჰყვებოდით?**

- ამერიკულ ფეხბურთში მინდოდა ძალები მეცადა, კერძოდ, კვოტერბეკის პოზიცია მაინტერესებდა. ამ ამპლუაში თამაში გონებრივ შრომას მოითხოვს. მეტად რთული საქმეა.

**- რამდენადაც ცნობილია, ცხოვრებაში ოთხი მიზანი გქონდათ. სამს უკვე მიაღწიეთ: მოიგეთ ამერიკის ღია პირველობა, იყავით მსოფლიოს პირველი ჩოგანი და მოიპოვეთ დევისის თასი. დარჩა უიმბლდონი...**

- დროთა განმავლობაში მიზნების კორექტირება ხდება, მაგრამ უიმბლდონის მოგება კვლავაც მთავარ ამოცანად რჩება. ამ ტურნირზე გამარჯვება ძალიან მინდა და ვგრძნობ, რომ ამისთვის მზად ვარ. შესაძლოა, აქამდე ეს იმიტომ ვერ შევძელი, რომ ტურნირის სახელწოდება მთრგუნავდა. უიმბლდონზე გამოსვლა ფსიქოლოგიურ ზეწოლასთანაც არის დაკავშირებული.

**- მოგვიყევით ამ ტურნირზე, მის ცერემონიებზე, აურაზე...**

- ძალიან მომწონს იქაური ატმოსფერო, ტრადიციები, ვარჯიშები, აკრძალვები... იქ საშუალო არაფერია და ამის გამო ტურნირი ყოველთვის ბრწყინვალე გამოდის. ის ან გიყვარს, ან გძულს, მესამე არ არსებობს. მომწონს უიმბლდონის სოფელში ყოფნა. იქ ბევრი ნაცნობი სახეა და სიმშვიდე და სიმყუდროვე გაჯადოებს.

**- ცენტრალური კორტი?**

- ეს ნამდვილი საკათედრო ტაძარია. მთავარი საჩოგბურთო მოედანი მსოფლიოში. მას ბეისბოლის „ფენუეი პარკს" შევადარებდი. ყველაფერი განსაკუთრებული აურითა და მაგიით არის გაჟღენთილი. ავსტრალიის ღია პირველობა მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობს - წლის დასაწყისში ყველა კარგ ხასიათზეა. რაც შეეხება ამერიკის ღია პირველობას, ეს ნამდვილი შოუა - ფეიერვერკები და ღამის მატჩები. უიმბლდონი - ტრადიციაა, საჩოგბურთო მექა. მას შოუ არ სჭირდება, რადგან ის თავად ზრუნავს საკუთარ თავზე.

**- ბევრ სპეციალისტს მიაჩნია, რომ თქვენი ძლიერი მხარეა გამარჯვებისკენ სწრაფვა და ბრძოლის სურვილი. თავად კი ამბობთ, რომ ისტორიაში საუკეთესო ცუდი მოთამაშე ხართ.**

- მუდმივად მესმის ლაპარაკი იმაზე, თუ რა კარგად ასრულებენ ჩემი კონკურენტები ამა თუ იმ დარტყმას. მაგალითად, ვიგებ, რომ გასკეს საუკეთესო ბექჰენდი ჰქონია. ხალხი ყოველთვის ლაპარაკობს სისულელეებს, ათასგვარ მოსაზრებას გვიზიარებს, აწყობს რეიტინგებს და ასე შემდეგ. ამ ყველაფრის შეჯამების შემდეგ კეთდება დასკვნა, რომ მრავალი ჩოგბურთელის წინააღმდეგ წარმატების არანაირი შანსი არ მაქვს, მაგრამ მე მათ მუდმივად ვამარცხებ. ამიტომაც მივანიჭე ჩემს თავს საუკეთესო ცუდი მოთამაშის ტიტული. საუკეთესო ვარ შედეგების მიხედვით, ცუდი კი არაკეთილისმსურველებმა მიწოდეს.

**- დღეს ჩოგბურთში დიდი კონკურენციაა. 21 წლის ბიჭებს შეუძლიათ ფედერერის ან ნადალის დამარცხება. გრძნობთ, რომ კარიერის დასასრული მოახლოვდა და არც ისე დიდი დრო დაგრჩათ?**

- ერთი რამ ვიცი - დროს ვერ გააჩერებ. ახლა რომ ვთქვა, ჩემი კარიერის ბოლო მესამედი ჯერ არ დამდგარა-მეთქი, ეს სრული სისულელე იქნებოდა. მაგრამ მე ჯიუტად ვმუშაობ საკუთარ თავზე. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა.

**- მაგრამ ფსიქოლოგიური ზეწოლა იგრძნობა?**

- მე მუდმივად მიწევს ამა თუ იმ ზეწოლისთვის გამკლავება. თითქოს მხრებზე მთელი ქვეყნის ტვირთი მაწევს. ყოველთვის ასე იყო. სპორტსმენისთვის სასიამოვნოა ამის შეგრძნება. თუ თქვენ შეგიძლიათ გაუმკლავდეთ ამგვარ სირთულეებს, გამოდის, იმდენად კარგი ხართ, რომ ადამიანები თქვენგან გარკვეულ მიღწევებსა და წარმატებებს ელიან.

**- ერთხელ თქვით, რომ მუშაობა, ვარჯიში და თამაში ღირს იმ 10-15 წამისთვის, რომელიც რაიმე დიადი გამარჯვების შემდეგ მოდის.**

- ასეც არის. ეს შესანიშნავი გრძნობაა. ყველაფერი დასრულდა, მოვიდა წარმატება. ეს ეიფორიაა.



**- როგორი იყო თქვენი პირველი რეაქცია, როცა ავსტრალიის ღია პირველობაზე ნადალთან წაგების შემდეგ მტირალი როჯერ ფედერერი იხილეთ?**

- მე გავიფიქრე: „გეყოფა, როჯერ! შენ ისედაც საკმარისად მოიგე!" შვეიცარიელი ატირდა იმის გამო, რომ კონკრეტულად ის ტიტული სჭირდებოდა. ფედერერი გრძნობდა, რომ რაფა მიუახლოვდა მის დონეს და საუკეთესო ფორმაში შევიდა. „მაგრამ შენ ხომ „დიდი სლემის" 13 ტიტული გაქვს მოგებული, ხომ შეიძლება სხვამაც გაიხაროს"! სიმართლე გითხარათ, როჯერის ცრემლების დანახვის შემდეგ მის მიმართ არანაირი თანაგრძნობა ან სიმპათია არ მიგრძნია. თუმცა ეს არაფერს ნიშნავს, ჩვენი ურთიერთობა არ გაფუჭებულა. შესანიშნავიც არის, რომ მას ასე უნდოდა მოგება.

**- მართალია, რომ თქვენი კერპი იყვნენ ანდრე აგასი, ლენს არმსტრონგი და მუჰამედ ალი?**

- ბევრი დიადი სპორტსმენი მინახავს, მაგრამ ალი განსაკუთრებულია. მე მას ცალკე პოდიუმზე დავაყენებდი. კარიერის პიკზე ის მყარად იცავდა საკუთარ იდეალებს და ამის გამო შვიდი წლის გამოტოვებამ მოუწია, არადა, ამ დროს შეეძლო მეტი დიდებისთვის მიეღწია. ლენსმა წარმატებას მიაღწია და მოიგო კიბოსთან ბრძოლა. შიდსის ვირუსის მიუხედავად, არტურ ეშსაც ღირსეულად ეჭირა თავი. თავის მხრივ, ანდრე გრანდიოზული ფილანტროპია, ბილი-ჯინ კინგი კი სქესთა თანასწორობისთვის იბრძოდა. ეს ადამიანები გმირები არიან. საკუთარი მიღწევები მათ მეგობრების დასახმარებლად გამოიყენეს.

**- აგასიმ აღიარა, რომ აქტიური კარიერის პერიოდში მეტამფეტამინს იღებდა. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

- ადამიანებს იმის მიხედვით განვსჯი, თუ როგორ იქცეოდნენ ჩემ მიმართ, როგორ აისახა მათი მოღვაწეობა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გლობალური პრობლემების გადაწყვეტაზე. ანდრეს გავლენა სამყაროზე - პოზიტიურია. მე არ გავკიცხავ ადამიანს იმით, თუ რა უსიამოვნებები ჰქონდა ცხოვრებაში. ალკოჰოლიზმისგან განკურნებული ადამიანი მხოლოდ შექებას იმსახურებს. ჩემთვის უფრო შოკისმომგვრელი გახდა ის სისწრაფე, რომლითაც საჩოგბურთო სამყარომ ზურგი შეაქცია აგასის მისი სკანდალური აღიარების შემდეგ. იმ ცნობილი ამბების შემდეგ ანდრეს ველაპარაკე. მან მითხრა, რომ მაშინ დეპრესიაში იყო და ეგონა, რომ ნარკოტიკი მეორე შანსს და ყველაფრის თავიდან დაწყების შესაძლებლობას მისცემდა. აგასის ისტორია იმ ადამიანების დახმარებისთვის არის განკუთვნილი, რომლებიც ფსკერზე აღმოჩნდნენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

„ალკოლიზინი" ✕ „პახმელიას"

„ალკოლიზინი" უნიკალური პრეპარატია, მას სამედიცინო სფეროში ანალოგი არ გააჩნია!

„ალკოლიზინის" დახმარებით თქვენ თავიდან შეგიძლიათ აიცილოთ „პახმელიის სინდრომი", დაიცვათ ღვიძლი ალკოჰოლური გადაგვარებისაგან.

„ალკოლიზინი" დამზადებულია ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებისგან. ალკოლიზინს გვერდითი მოვლენები და უკუჩვენებები არ გააჩნია. ალკოჰოლის მიღების წინ არ დაგავიწყდეთ „ალკოლიზინი", ის თქვენ ცხოვრებას უფრო სასიამოვნოს გახდის. გამოიყენება პროფილაქტიკის მიზნითაც 3 კვირის განმავლობაში.



მოგვაკითხეთ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. №28 ან მიმართეთ „ნეოფარმის" და „ჯი პი სის" სააფთიაქო ქსელს, როგორც თბილისში, ასევე ქუთაისსა და ბათუმში. დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე 99 00 14; 92 19 68; 893 668318; 899 21 02 32
e-mail - promolia@mail.ru
nikosanltd@mail.ge

მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

